



საგანმანათლებლო პროგრამების კატალოგი

2020-2021 წელი

საგანმანათლებლო პროგრამები

უმაღლესი განათლების პირველი საფეხურის საგანმანათლებლო პროგრამები

ბიზნესის ადმინისტრირების საბაკალავრო პროგრამა (ქართულენოვანი)

ბიზნესის ადმინისტრირების საბაკალავრო პროგრამა (ინგლისურენოვანი)

სამართლის საბაკალავრო პროგრამა

საერთაშორისო ურთიერთობებისა და დიპლომატიის საბაკალავრო პროგრამა

ინგლისური ფილოლოგიის საბაკალავრო პროგრამა

ქართული ფილოლოგიის საბაკალავრო პროგრამა

ისტორიის საბაკალავრო პროგრამა

მშენებლობის საბაკალავრო პროგრამა

ინფორმატიკის საბაკალავრო პროგრამა

დიპლომირებული მედიკოსის ერთსაფეხურიანი პროგრამა

უმაღლესი განათლების მეორე საფეხურის საგანმანათლებლო პროგრამები

ბიზნესის ადმინისტრირების სამაგისტრო პროგრამა

სამართლის სამაგისტრო პროგრამა

საერთაშორისო ურთიერთობების და დიპლომატიის სამაგისტრო პროგრამა

ევროპული ინტეგრაციის და შრომითი ურთიერთობების სამაგისტრო პროგრამა (ერთობლივი)

ვებ და მულტიმედიური პროექტის ტექნოლოგიების და მართვის სამაგისტრო პროგრამა

უმაღლესი განათლების მესამე საფეხურის საგანმანათლებლო პროგრამები

ბიზნესის ადმინისტრირების სადოქტორო პროგრამა

სამართლის სადოქტორო პროგრამა

საერთაშორისო ურთიერთობების სადოქტორო პროგრამა (ინგლისურენოვანი)

უნივერსიტეტის შესახებ:

ქართულ-ამერიკული უნივერსიტეტი (GAU) 2005 წელს დაფუძნდა და დღემდე მნიშვნელოვანი წვლილი შეაქვს ქართულ საგანმანათლებლო სივრცეში, კონკურენტუნარიანი პროფესიონალებისა და მაღალი მოქალაქეობრივი თვითშეგნების მქონე პიროვნებების ჩამოყალიბებაში.

უნივერსიტეტი ახორციელებს უმაღლესი განათლების სამივე საფეხურის პროგრამებს და ამჟამად წარმოდგენილია ხუთი ძირითადი საგანმანათლებლო ერთეულით - სკოლით:

- სამართლის, სოციალური მეცნიერებების და დიპლომატიის სკოლა
- ბიზნესის სკოლა
- ინფორმატიკისა და ინჟინერიის სკოლა
- ჰუმანიტარულ მეცნიერებათა და ლიბერალური განათლების სკოლა
- მედიცინის სკოლა

ზემოაღნიშნული სკოლების ფარგლებში უნივერსიტეტი მოიცავს 18 საგანმანათლებლო პროგრამას, რომლებშიც 1500-ზე მეტი სტუდენტი სწავლობს.

უნივერსიტეტის აკადემიური პერსონალი მაღალკვალიფიციური ქართველი და უცხოელი პროფესორებისგან შედგება.

უნივერსიტეტის კამპუსი (3700 კვ. მ. შენობის ფართობი), ინფრასტრუქტურა და მატერიალურ-ტექნიკური ბაზა (ბიბლიოთეკა, ულტრათანამდროვე ლაბორატორია - ჯეოლაბი, საკონფერენციო სივრცეები და სხვა) სრულად აკმაყოფილებს თანამედროვე საუნივერსიტეტო სტანდარტებს. შექმნილი ატმოსფერო აკადემიური პროცესის ეფექტურად წარმართვის ხელსაყრელ წინაპირობებს ქმნის და ამავდროულად, სტუდენტებისთვის მრავალფეროვანი გამოცდილების შექმნის შესაძლებლობას იძლევა.

უნივერსიტეტი უზრუნველყოფს პროფესიული ინგლისური ენის სწავლებას. ამავდროულად, მოქმედებს ინგლისურენოვანი პროგრამები, რომელსაც უცხოელ პარტნიორებსა და კოლეგებთან მუშაობის დიდი გამოცდილების ინგლისურენოვანი პროფესორები უძღვებიან. შესაბამისად, ბიბლიოთეკა მდიდარია ინგლისურენოვანი სახელმძღვანელოებითა და დამატებითი ლიტერატურით, რომლებიც აშშ და ევროპის წამყვან უნივერსიტეტებში გამოიყენება.

უნივერსიტეტისთვის პრიორიტეტულია განათლების ინტერნაციონალიზაცია და შესაბამისად, წლიდან წლამდე იზრდება იმ ევროპული თუ ამერიკული წამყვანი უმაღლესი სასწავლებლებისა და საერთაშორისო ორგანიზაციების რიცხვი, რომელთანაც ქართულ-ამერიკული უნივერსიტეტი საქმიან კავშირებს ამყარებს. შესაბამისად GAU-ს სტუდენტებს სულ უფრო მეტი შესაძლებლობა ეძლევათ, ჩაერთონ გაცვლით პროგრამებში და ინტერნაციონალურ განათლებასთან ერთად, კულტურული მრავალფეროვნების, სხვადასხვა საუნივერსიტეტო ცხოვრების გამოცდილება მიიღონ. ამასთან, Erasmus+ პროგრამების ფარგლებში დღითიდღე იზრდება GAU-ს პარტნიორი ევროპული უნივერსიტეტების რიცხვი. ასევე, GAU სარგებლობს გაცვლითი

პროგრამებით თურქეთის სხვადასხვა უნივერსიტეტთან, სადაც GAU-ს სტუდენტს ეძლევა სტიპენდია მევლანას პროგრამის ფარგლებში. ევროპული უმაღლესი სასწავლებლების გარდა, GAU-ს სტუდენტებს ასევე აქვთ შესაძლებლობა, ისარგებლონ გაცვლითი პროგრამებით აშშ-ის წამყვან უნივერსიტეტებთან, მაგალითად უნივერსიტეტი ახორციელებს სხვადასხვა ტიპის თანამშრომლობას ფორდჰამის უნივერსიტეტთან.

უნივერსიტეტისთვის ცენტრალურ ფაქტორს წარმოადგენენ სტუდენტები, რასაც ცხადყოფს ის ფაქტიც, რომ GAU-ს სტუდენტები, უნივერსიტეტის ადმინისტრაციის მხარდაჭერით, გეგმავენ და ახორციელებენ შემეცნებით, სპორტულ, გასართობ და საქველმოქმედო პროექტებს. GAU სტუდენტების ინტერესის გათვალისწინებით ხორციელდება საჯარო აქტივობების ორგანიზება სხვადასხვა სფეროს ლიდერების, ექსპერტების, ახალგაზრდებისთვის საინტერესო ადამიანების მონაწილეობით. ამასთან, GAU-ში ფუნქციონირებს ომბუდსმენის ოფისი, რომელიც არის გარანტი იმისა, რომ სტუდენტთა უფლებები და თავისუფლებები არის სრულყოფილად დაცული.

GAU-ს სტუდენტებისა და კურსდამთავრებულების დასაქმების მაჩვენებელი ყოველწლიურად იზრდება. სტატისტიკის მიხედვით, დასაქმებულია კურსდამთავრებულთა 95%-ზე მეტი. ამ მაჩვენებელს არსებითად განსაზღვრავს ის ფაქტი, რომ თითოეული ძირითადი საგანმანათლებლო ერთეული მჭიდროდ თანამშრომლობს დასაქმებულებთან, პროგრამები და სწავლების მეთოდოლოგია თანხვედრაშია შრომის ბაზრის მოთხოვნებთან.

საკონტაქტო ინფორმაცია:

მისამართი: საქართველო, თბილისი, მერაბ ალექსიძის ქ. №10

საფოსტო ინდექსი: 0160

დაწესებულების ვებ-გვერდი: www.gau.edu.ge

დაწესებულების ელ-ფოსტა: info@gau.edu.ge

ტელეფონი /ფაქსი: (+995) 32 220 65 20, (+995)32 249 22 55 / (+995)32 220 65 19

პროგრამის სახელწოდება	ბიზნესის ადმინისტრირება/ Business Administration
საფეხური	ბაკალავრიატი
მისანიჭებელი კვალიფიკაცია	ბიზნესის ადმინისტრირების ბაკალავრი / Bachelor of Business Administration
ECTS	240
განხორციელების ენა	ქართული
განმახორციელებელი ძირითადი ერთეული	ბიზნესის სკოლა
განხორციელების ადგილი	მერაბ ალექსიძის №10, ქ. თბილისი, 0160, საქართველო
პროგრამის მიზანი	
<p>ბიზნესის ადმინისტრირების საბაკალავრო პროგრამის მიზანია სტუდენტის აღჭურვა ფართო ცოდნით ბიზნესის ადმინისტრირების სფეროში, რომელიც მისცემს მას საშუალებას გაანალიზოს ბიზნესის პრობლემები და მოამზადოს საკითხები ისეთი გადაწყვეტილებების მისაღებად, რომლებიც უზრუნველყოფენ ბიზნესის ეფექტურ ფუნქციონირებას და შემდგომ განვითარებას.</p> <p>ბიზნესის ადმინისტრირების საბაკალავრო პროგრამის მიზანი შეესაბამება ქართულ-ამერიკული უნივერსიტეტის მისიას და ითვალისწინებს:</p> <ul style="list-style-type: none"> ➤ აღიზარდოს მაღალი აკადემიური და ეთიკური სტანდარტების შესაბამისი კვალიფიციური სპეციალისტი, რომელიც ეფექტურად იმუშავებს ბიზნესის სფეროში და უზრუნველყოფს თანამედროვე მეთოდების დანერგვას; ➤ შეიქმნას პირობები იმისათვის, რომ სტუდენტებმა გამოავლინონ თავის ნიჭისა და შესაძლებლობების მაქსიმუმი და მიღებული ცოდნის საფუძველზე შეიტანონ წვლილი თავიანთი სფეროს განვითარებაში. 	
პროგრამაზე დაშვების წინაპირობა	
<p>ბაკალავრიატში სწავლის უფლება აქვს აბიტურიენტს, რომელიც უნივერსიტეტში საბაკალავრო პროგრამაზე სწავლის უფლებას მოიპოვებს ერთიანი ეროვნული გამოცდების შედეგების საფუძველზე და, თანახმად საქართველოს კანონმდებლობისა, საქართველოს მოქალაქეებს და სხვა ქვეყნების მოქალაქეებს, რომლებმაც მიიღეს სრული ზოგადი განათლება ან მისი ექვივალენტი უცხოეთში.</p> <p>საბაკალავრო პროგრამაზე ჩასარიცხად აბიტურიენტმა უნდა იცოდეს უცხო ენა (ინგლისური) B1 დონეზე და ერთიანი ეროვნული გამოცდებზე უცხო ენის გამოცდაზე ჩააბაროს ინგლისური ენა. ხოლო ეროვნული გამოცდის გარეშე ჩარიცხულმა პირებმა უნდა წარმოადგინონ საბუთები/სერთიფიკატი რომლებიც ადასტურებენ ინგლისური ენის ცოდნას B1 დონეზე.</p>	
სწავლის შედეგი	
<p>საბაკალავრო პროგრამის წარმატებით დასრულების შემდეგ კურსდამთავრებულს შეუძლია:</p> <ul style="list-style-type: none"> ➤ ბიზნესის ადმინისტრირების საფუძვლების ფართო ცოდნისა და თეორიებისა და პრინციპების კრიტიკული გააზრების შედეგად მარკეტინგის, მენეჯმენტისა და ფინანსების ძირითადი კონცეფციებისა და ზოგიერთი უახლესი ასპექტების განმარტება, სფეროში არსებულ პრობლემატიკის აღწერა და ამ პრობლემების ამოსახსნელად შესაბამისი მეთოდების იდენტიფიცირება; ➤ ბიზნესის ადმინისტრირების რთული და გაუთვალისწინებელი პრობლემების გაანალიზება და ამ პრობლემების გადაჭრის გზების მოძიება; ➤ ლექტორის მითითებების დახმარებით ბიზნეს ადმინისტრირების კვლევითი და პრაქტიკული პროექტების განხორციელება; 	

- ბიზნეს პრობლემებთან დაკავშირებული მონაცემების ორგანიზება და ზოგიერთი მათემატიკური, სტატისტიკური და ბიზნესის მოდელირების უახლესი მეთოდების გამოყენებით პრობლემების ანალიზი და მიღებული შედეგების ინტერპრეტირება;
- ბიზნეს ადმინისტრირებასთან დაკავშირებული იდეების, არსებული პრობლემებისა და მათი გადაჭრის გზების ილუსტრირება როგორც აკადემიურ, ისე პროფესიულ საზოგადოებასთან ეთიკური ნორმების დაცვით და ტექნოლოგიების გამოყენებით;
- კომპლექსურ და არაპროგნოზირებად ბიზნესის გარემოში ბაკალავრის დონის შესაბამისი დამოუკიდებლობის ხარისხით ბიზნესის პრობლემების გადასაჭრელად განვითარებაზე ორიენტირებული საქმიანობის დაგეგმვა და განხორციელების გზების ილუსტრაცია ბიზნეს ეთიკის პრინციპების დაცვით;
- საკუთარი და სხვების უწყვეტი პროფესიული განვითარებისა და შემდგომი სწავლის საჭიროებების დაგეგმვა და განხორციელების ხელშეწყობა.

დასაქმების სფერო

ბაკალავრიატის სრული კურსის ათვისება შესაძლებლობას აძლევს ბაკალავრს წარმატებით იმუშაოს ნებისმიერ კომერციული და არაკომერციული ორგანიზაციების შემდეგ პოზიციებზე: დაბალი და საშუალო დონის მენეჯერი, ბუღალტერი, მარკეტოლოგი, გაყიდვების მენეჯერი, ფირმების საფინანსო განყოფილებების მენეჯერები, და ა. შ.

პროგრამის სტრუქტურა

ძირითადი სწავლის სფეროს სავალდებულო სასწავლო კურსები - 186 კრედიტი;

ძირითადი სწავლის სფეროს არჩევით კომპონენტები - 36 კრედიტი;

თავისუფალ კომპონენტი - 18 კრედიტი;

პროგრამის ხელმძღვანელი

ირაკლი ჭელიძე - პროფესორი
 ტელ.: (+995) 574 91 16 91
 ელ.ფოსტა: iraklichelidze@gau.edu.ge

საგანმანათლებლო პროგრამა და სასწავლო გეგმა იხ. ბმულზე:

<https://www.gau.edu.ge/storage/app/media/School%20Program%20Files/Business%20School/bba-curriculum-geo.pdf>

<https://www.gau.edu.ge/storage/app/media/School%20Program%20Files/Business%20School/bba-plan-geo.pdf>

პროგრამის სახელწოდება	ბიზნესის ადმინისტრირება/ Business Administration
საფეხური	ბაკალავრიატი
მისანიჭებელი კვალიფიკაცია	ბიზნესის ადმინისტრირების ბაკალავრი / Bachelor of Business Administration
ECTS	240
განხორციელების ენა	ინგლისური
განმახორციელებელი ძირითადი ერთეული	ბიზნესის სკოლა
განხორციელების ადგილი	მერაბ ალექსიძის №10, ქ. თბილისი, 0160, საქართველო
პროგრამის მიზანი	
<p>ბიზნესის ადმინისტრირების საბაკალავრო პროგრამის მიზანია სტუდენტის აღჭურვა ფართო ცოდნით ბიზნესის ადმინისტრირების სფეროში, რომელიც მისცემს მას საშუალებას გაანალიზოს ბიზნესის პრობლემები და მოამზადოს საკითხები ისეთი გადაწყვეტილებების მისაღებად, რომლებიც უზრუნველყოფენ ბიზნესის ეფექტურ ფუნქციონირებას და შემდგომ განვითარებას.</p> <p>ბიზნესის ადმინისტრირების საბაკალავრო პროგრამის მიზანი შეესაბამება ქართულ-ამერიკული უნივერსიტეტის მისიას და ითვალისწინებს:</p> <ul style="list-style-type: none"> ➤ აღზარდოს მაღალი აკადემიური და ეთიკური სტანდარტების შესაბამისი კვალიფიციური სპეციალისტი, რომელიც ეფექტურად იმუშავებს ბიზნესის სფეროში და უზრუნველყოფს თანამედროვე მეთოდების დანერგვას; ➤ შექმნას პირობები იმისათვის, რომ სტუდენტებმა გამოავლინონ თავისი ნიჭისა და შესაძლებლობების მაქსიმუმი და მიღებული ცოდნის საფუძველზე შეიტანონ წვლილი თავიანთი სფეროს განვითარებაში. 	
პროგრამაზე დაშვების წინაპირობა	
<p>ბაკალავრიატში სწავლის უფლება აქვს აბიტურიენტს, რომელიც უნივერსიტეტში საბაკალავრო პროგრამაზე სწავლის უფლებას მოიპოვებს ერთიანი ეროვნული გამოცდების შედეგების საფუძველზე და, თანახმად საქართველოს კანონმდებლობისა, საქართველოს მოქალაქეებს და სხვა ქვეყნების მოქალაქეებს, რომლებმაც მიიღეს სრული ზოგადი განათლება ან მისი ექვივალენტი უცხოეთში.</p> <p>საბაკალავრო პროგრამაზე ჩასარიცხად აბიტურიენტმა უნდა იცოდეს უცხო ენა (ინგლისური) B1 დონეზე და მიიღოს უცხო ენის (ინგლისურის) გამოცდაში (ერთიანი ეროვნული გამოცდებზე) ნედლი ქულის 70% ან მეტი. ხოლო ეროვნული გამოცდის გარეშე ჩარიცხულმა პირებმა უნდა წარმოადგინონ საბუთები/სერთიფიკატი რომლებიც ადასტურებენ ინგლისური ენის ცოდნას B1 დონეზე</p>	
სწავლის შედეგი	
<p>საბაკალავრო პროგრამის წარმატებით დასრულების შემდეგ კურსდამთავრებულს შეუძლია:</p> <ul style="list-style-type: none"> ➤ ბიზნესის ადმინისტრირების საფუძვლების ფართო ცოდნისა და თეორიებისა და პრინციპების კრიტიკული გააზრების შედეგად მარკეტინგის, მენეჯმენტისა და ფინანსების ძირითადი კონცეფციებისა და ზოგიერთი უახლესი ასპექტების განმარტება, სფეროში არსებულ პრობლემატიკის აღწერა და ამ პრობლემების ამოსახსნელად შესაბამისი მეთოდების იდენტიფიცირება; ➤ ბიზნესის ადმინისტრირების რთული და გაუთვალისწინებელი პრობლემების გაანალიზება და ამ პრობლემების გადაჭრის გზების მოძიება; ➤ ლექტორის მითითებების დახმარებით ბიზნეს ადმინისტრირების კვლევითი და პრაქტიკული პროექტების განხორციელება; 	

- ბიზნეს პრობლემებთან დაკავშირებული მონაცემების ორგანიზება და ზოგიერთი მათემატიკური, სტატისტიკური და ბიზნესის მოდელირების უახლესი მეთოდების გამოყენებით პრობლემების ანალიზი და მიღებული შედეგების ინტერპრეტირება;
- ბიზნეს ადმინისტრირებასთან დაკავშირებული იდეების, არსებული პრობლემებისა და მათი გადაჭრის გზების ილუსტრირება როგორც აკადემიურ, ისე პროფესიულ საზოგადოებასთან ეთიკური ნორმების დაცვით და ტექნოლოგიების გამოყენებით;
- კომპლექსურ და არაპროგნოზირებად ბიზნესის გარემოში ბაკალავრის დონის შესაბამისი დამოუკიდებლობის ხარისხით ბიზნესის პრობლემების გადასაჭრელად განვითარებაზე ორიენტირებული საქმიანობის დაგეგმვა და განხორციელების გზების ილუსტრაცია ბიზნეს ეთიკის პრინციპების დაცვით;
- საკუთარი და სხვების უწყვეტი პროფესიული განვითარებისა და შემდგომი სწავლის საჭიროებების დაგეგმვა და განხორციელების ხელშეწყობა.

დასაქმების სფერო

ბაკალავრიატის სრული კურსის ათვისება შესაძლებლობას აძლევს ბაკალავრს წარმატებით იმუშაოს ნებისმიერ კომერციული და არაკომერციული ორგანიზაციების შემდეგ პოზიციებზე: დაბალი და საშუალო დონის მენეჯერი, ბუღალტერი, მარკეტოლოგი, გაყიდვების მენეჯერი, ფირმების საფინანსო განყოფილებების მენეჯერები, და ა. შ.

პროგრამის სტრუქტურა

ძირითადი სწავლის სფეროს სავალდებულო სასწავლო კურსები - 198 კრედიტი;

ძირითადი სწავლის სფეროს არჩევით კომპონენტები - 24 კრედიტი;

თავისუფალ კომპონენტი - 18 კრედიტი;

პროგრამის ხელმძღვანელი

დინა ასლამაზიშვილი - პროფესორი

ტელ.: (+995) 598 45 63 97

ელ.ფოსტა: dinaaslamazishvili@gau.edu.ge

თამაზ უზუნაშვილი - პროფესორი

ტელ.: (+995) 577 46 50 48

ელ.ფოსტა: tamaz.uzunashvili@gau.edu.ge

საგანმანათლებლო პროგრამა და სასწავლო გეგმა იხ. ბმულზე:

<https://www.gau.edu.ge/storage/app/media/School%20Program%20Files/Business%20School/bba-curriculum-english-geo.pdf>

<https://www.gau.edu.ge/storage/app/media/School%20Program%20Files/Business%20School/bba-eng-plan-geo.pdf>

პროგრამის სახელწოდება	სამართალი/Law
საფეხური	ბაკალავრიატი
მისანიჭებელი კვალიფიკაცია	სამართლის ბაკალავრი/Bachelor of Law
ECTS	240
განხორციელების ენა	ქართული
განმახორციელებელი ძირითადი ერთეული	სამართლის, სოციალური მეცნიერებების და დიპლომატიის სკოლა
განხორციელების ადგილი	მერაბ ალექსიძის №10, ქ. თბილისი, 0160, საქართველო
პროგრამის მიზანი	
<p>სამართლის საბაკალავრო პროგრამის ძირითადი დანიშნულებაა სახელისუფლებო და თვითმმართველობის სისტემაში შემავალი და კერძო სტრუქტურებისათვის იურისტის კვალიფიკაციის მქონე კონკურენტუნარიანი კადრების მომზადება.</p> <p>აქედან გამომდინარე, სამართლის საბაკალავრო პროგრამის მიზანია სტუდენტს:</p> <ul style="list-style-type: none"> ➤ შესძინოს ფართო თეორიული ცოდნა ეროვნული სამართლის სისტემის ძირითადი თავისებურებების, პრინციპებისა და ინსტიტუტების, ზოგადსამართლებრივი პრინციპების, ფასეულობების, ზოგადსაკაცობრიო და ეროვნული და ღირებულებების, სამართლის პოლიტიკური, ფილოსოფიური, ისტორიული, საზოგადოებრივი და ეკონომიკური ასპექტების შესახებ; ➤ შეასწავლოს სამართლებრივი საკითხები და გამოუმუშავოს სამართლის სფეროში მიღებული ცოდნის პრაქტიკული საქმიანობისას ეფექტურად გამოყენებისა და კვალიფიციური იურიდიული კონსულტაციის გაწევის უნარი; ➤ გამოუმუშაოს კვლევით ნაშრომზე მუშაობის უნარი წინასწარ განსაზღვრული მითითებების შესაბამისად; ➤ გამოუმუშავოს სამართლებრივ დოკუმენტებზე მუშაობის (შედგენა, განახლება, განმარტება და სხვა) უნარი; ➤ გამოუმუშავოს პროფესიული ეთიკა და მის ფარგლებში მოქმედების უნარი; ➤ გამოუმუშავოს პროფესიული გამბედაობა და ცოდნის მუდმივად განახლების უნარი; ➤ ჩამოუყალიბოს სამართლიანობის, ადამიანის უფლებების სოციალური და დემოკრატიული ფასეულობების გათვალისწინებით მოქმედების უნარი, მაღალი სოციალური და მორალური პასუხისმგებლობა. 	
პროგრამაზე დაშვების წინაპირობა	
<p>საბაკალავრო პროგრამაზე სწავლის უფლება აქვს მხოლოდ სრული ზოგადი განათლების დამადასტურებელი სახელმწიფო სერტიფიკატის/ატესტატის ან მასთან გათანაბრებული დოკუმენტის მფლობელს ან მასთან გათანაბრებულ პირს, რომელიც ჩაირიცხება ერთიანი ეროვნული გამოცდების შედეგების საფუძველზე.</p> <p>ერთიანი ეროვნული გამოცდების გარეშე სამართლის საბაკალავრო პროგრამაზე სტუდენტთა ჩარიცხვა შესაძლებელია მხოლოდ საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებულ გამონაკლის შემთხვევებში.</p>	
სწავლის შედეგი	
სამართლის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის დასრულების შემდეგ კურსდამთავრებული:	

➤ **აღწერს:**

- სამართლის არსს, სისტემას, ძირითად პრინციპებს, სამართლებრივ სისტემებს, სამართლის ნორმას და მისი განმარტების მეთოდებს, ქართული სამართლის ისტორიულ წყაროებს, ძველი ქართული სამართლის დარგებს, ინსტიტუტებს, ფუნდამენტურ პრინციპებსა და სამართალგანვითარების ტენდენციებს;
- სახელმწიფო მოწყობის ძირითად პრინციპებს და ეროვნული მოდელის თავისებურებებს, ადგილობრივი თვითმმართველობის სისტემას და თავისებურებებს, სახელმწიფო სახსრებს და მის ძირითად წყაროებს, გარემოს დაცვით ურთიერთობებს, ადამიანის ძირითად უფლებებსა და თავისუფლებებს, ძირითად უფლებათა კონცეპტუალურ და ღირებულებით საკითხებს, შეზღუდვის პრინციპებსა და დაცვის ეროვნული მექანიზმის თავისებურებებს, საკონსტიტუციო სამართალწარმოების თავისებურებებს,
- ადმინისტრაციული სამართლის პრინციპებსა და რეგულირების თავისებურებებს, საჯარო მმართველობის ორგანიზაციული მოწყობის ფორმებს, ადმინისტრაციული ორგანოების საქმიანობის ფორმებს, ადმინისტრაციული წარმოების სახეებს, ადმინისტრაციული სამართალწარმოების თავისებურებებს, ადმინისტრაციულ სამართალდარღვევებს;
- კერძო სამართლის სისტემას, სამოქალაქო სამართლის უზოგადეს ცნებებს, პრინციპებს და რეგულირების თავისებურებებს, სანივთო სამართლის სისტემას და პრინციპებს, სახელშეკრულებო და კანონისმიერ ვალდებულებით ურთიერთობებს, საოჯახო და მემკვიდრეობით სამართლებრივ ურთიერთობებს, შრომის სამართლის პრინციპებსა და შრომის უფლების დაცვის ეროვნულ მექანიზმებს, სამეწარმეო სამართლის პრინციპებსა და სამეწარმეო თავისუფლების დაცვის ეროვნულ მექანიზმებს, საწარმოს ორგანიზაციულ-სამართლებრივ ფორმებს, სამოქალაქო სამართალწარმოების თავისებურებებს;
- სისხლის სამართლის პრინციპებს, დანაშაულის არსსა და სახეებს, სასჯელის სისტემას, სისხლის სამართალწარმოების სტადიებსა და თავისებურებებს;
- საერთაშორისო სამართლის სისტემას, ძირითად პრინციპებს, ინსტიტუტებს, საერთაშორისო-სამართლებრივი პასუხისმგებლობების მექანიზმებს, საერთაშორისო და ეროვნული სამართლის თანაფარდობას;

➤ **განსაზღვრავს** სამართლებრივი დავის წარმოშობის მიზეზებს, ძირითად მახასიათებლებსა და მათი სამართლებრივი საშუალებებით გადაწყვეტის გზებს;

➤ **ამოიცნობს** საჯარო, კერძო და სისხლის სამართლის სფეროში არსებულ რთულ და გაუთვალისწინებელ პრობლემებს და სტანდარტული ან/და ზოგიერთი უახლესი მეთოდების გამოყენებით შეიმუშავებს მათი გადაწყვეტის შესაბამის გზებს; გასცემს კვალიფიციურ იურიდიულ დასკვნებსა და კონსულტაციებს;

➤ **აანალიზებს** საჯარო, კერძო და სისხლის სამართლის ნორმებს, წყაროებს, მეთოდებს საქმის ფაქტობრივი გარემოებების დადგენის, მათი შეფასების, სამართლებრივ დავაში პოზიციების დასაბუთების, კონკრეტული იურიდიული მოქმედებების განხორციელების ან სხვა იურიდიული ამოცანის გადაწყვეტის მიზნით;

➤ **ადგენს** სამართლებრივი დოკუმენტების, მათ შორის, სამოქალაქო და ადმინისტრაციული ხელშეკრულებების, სამართალშეფარდებითი აქტების, საპროცესო დოკუმენტების (სარჩელი, შესაგებელი, შუამდგომლობა, შუალედური საპროცესო აქტები, სააპელაციო საჩივარი, საკასაციო საჩივარი და ა.შ.), ინდივიდუალური და ნორმატიული ადმინისტრაციული აქტების პროექტებს; შეიმუშავებს კვლევით ნაშრომს წინასწარ განსაზღვრული მითითებების შესაბამისად;

➤ **შეიმუშავებს** დავის გადაწყვეტის სტრატეგიასა და ტაქტიკას, დავის გადაწყვეტის კანონიერი საშუალებებისა და ეთიკის ნორმების გათვალისწინებით;

➤ **მსჯელობს** საკუთარი იდეების, არსებული სამართლებრივი პრობლემებისა და მათი გადაჭრის გზების შესახებ სპეციალისტებთან და არასპეციალისტებთან ზეპირი და წერიტი ფორმით, ლოგიკურად, თანმიმდევრულად და მკაფიოდ; აქვს სამართლებრივ არგუმენტებზე სწრაფი და

ადეკვატური რეაგირების უნარი, განსხვავებული შეხედულებების პატივისცემის გათვალისწინებით; ეფექტურად იყენებს საკომუნიკაციო ტექნოლოგიებს;

- მოიძიებს და გამოარჩევს საჭირო ინფორმაციას, მათ შორის, ეროვნული და საერთაშორისო სამართლის წყაროებს, საკანონმდებლო ცვლილებებს, სასამართლო პრაქტიკას, სამეცნიერო სიახლეებს, ელექტრონული საბიბლიოთეკო სისტემებისა და სხვა მონაცემთა ბაზების, ძირითადი სამართლებრივი საინფორმაციო სისტემების მეშვეობით; აყალიბებს დასკვნებს იურისტის პროფესიისთვის დამახასიათებელი სოციალური და ეთიკური პრინციპების გათვალისწინებით;
- **ცნობს** იურისტის ეთიკური სტანდარტების საჭიროებას, მოქმედებს იურისტის ეთიკური და პროფესიული ქცევის ნორმების ფარგლებში, პატივს სცემს ადამიანის უფლებებს, მონაწილეობს შესაბამისი სამართალწარმოების პროცესში სამართლებრივი და მორალური ღირებულებების გათვალისწინებით;
- **წარმართავს** საკუთარი და სხვების განვითარებაზე ორიენტირებულ საქმიანობას, ინდივიდუალური და გუნდური მუშაობის ძირითადი პრინციპების დაცვით; ეფექტურად **მართავს** დროსა და რესურსებს; აქვს ორგანიზაციული უნარი, შეუძლია მიიღოს და განახორციელოს ინიციატივა, აიღოს მასზე პასუხისმგებლობა;
- **ავლენს** საკუთარი ცოდნის მუდმივად განახლების უნარს, „მთელი ცხოვრების განმავლობაში სწავლის“ პრინციპის დაცვით.

დასაქმების სფერო

სამართლის საბაკალავრო პროგრამის კურსდამთავრებულს ექნება შესაძლებლობა, იმუშაოს ნებისმიერ სამსახურსა და იმ თანამდებობაზე, სადაც არ მოითხოვება სამართლის მაგისტრის აკადემიური ხარისხი, აგრეთვე იგი უფლებამოსილია, სწავლა განაგრძოს სამაგისტრო პროგრამით, რომელიც ორიენტირებულია შემდგომი დონის სპეციალისტის მომზადებაზე.

პროგრამის სტრუქტურა

ძირითადი სწავლის სფეროს სავალდებულო სასწავლო კურსები - 211 კრედიტი;
ძირითადი სწავლის სფეროს არჩევით კომპონენტები - 18 კრედიტი;
თავისუფალ კომპონენტი - 11 კრედიტი;

პროგრამის ხელმძღვანელი

ზაზა რუხაძე - პროფესორი
ტელ.: (+995) 557 11 33 11
ელ.ფოსტა: zrukhadze@gau.edu.ge

საგანმანათლებლო პროგრამა და სასწავლო გეგმა იხ. ბმულზე:

<https://www.gau.edu.ge/storage/app/media/School%20Program%20Files/Law%20Social%20Sciences%20and%20Diplomacy/law-ba-curriculum-geo.pdf>

<https://www.gau.edu.ge/storage/app/media/School%20Program%20Files/Law%20Social%20Sciences%20and%20Diplomacy/law-ba-plan-geo.pdf>

პროგრამის სახელწოდება		საერთაშორისო ურთიერთობები/International Relations
საფეხური		ბაკალავრიატი
მისანიჭებელი კვალიფიკაცია		ბაკალავრი/Bachelor of International Relations
ECTS		240
განხორციელების ენა		ქართული
განმახორციელებელი ძირითადი ერთეული		სამართლის, სოციალური მეცნიერებების და დიპლომატიის სკოლა
განხორციელების ადგილი		მერაბ ალექსიძის №10, ქ. თბილისი, 0160, საქართველო
პროგრამის მიზანი		
<p>საერთაშორისო ურთიერთობების და დიპლომატიის საბაკალავრო პროგრამის მიზანია სტუდენტს:</p> <ul style="list-style-type: none"> ➤ შესძინოს ცოდნა საერთაშორისო ურთიერთობების თეორიებისა და კონცეფციების შესახებ; ➤ მისცეს საერთაშორისო ურთიერთობების განმაპირობებელი ფაქტორების, გლობალური პოლიტიკის მნიშვნელოვან პრობლემების ამოცნობისა და ანალიზის უნარი; ➤ შეასწავლოს მმართველობისა და პოლიტიკის ძირითად პრინციპები, სახელმწიფოს ვერტიკალური და ჰორიზონტალური ორგანიზაციის ფორმები; ➤ გამოუმუშავოს გლობალური და ეროვნულ პოლიტიკის ანალიზის, გადაწყვეტილების მიღებისა და მისი დასაბუთების უნარი; ➤ ჩამოუყალიბოს მსოფლიოში მიმდინარე პოლიტიკური მოვლენების სისტემატური თვალყურის მიდევნების, მათთან დაკავშირებით ინფორმაციის მოძიების და ანალიზის უნარი; ➤ შეასწავლოს სოციალური მეცნიერებების კვლევის მეთოდები; ➤ გამოუმუშავოს ინფორმაციის ქართულ და ინგლისურ ენაზე მოძიებისა და ფართო საზოგადოების ინტერესების გათვალისწინებით, ზეპირი და წერიტი ფორმით კომუნიკაციის უნარი; ➤ გამოუმუშავოს კვლევით ნაშრომზე მუშაობის უნარი წინასწარ განსაზღვრული მითითებების შესაბამისად; ➤ გამოუმუშავოს დროისა და რესურსების მართვის, ცოდნის მუდმივად განახლების უნარი; ➤ გამოუმუშავოს პროფესიული გამხედრობა; ➤ გამოუმუშავოს პროფესიული ეთიკა და მის ფარგლებში მოქმედების უნარი; ➤ ჩამოუყალიბოს სამართლიანობის, ადამიანის უფლებების სოციალური და დემოკრატიული ფასეულობების გათვალისწინებით მოქმედების უნარი, მაღალი სოციალური და მორალური პასუხისმგებლობა. 		
პროგრამაზე დაშვების წინაპირობა		
<p>საბაკალავრო პროგრამაზე სწავლის უფლება აქვს მხოლოდ სრული ზოგადი განათლების დამადასტურებელი სახელმწიფო სერტიფიკატის/ატესტატის ან მასთან გათანაბრებული დოკუმენტის მფლობელს ან მასთან გათანაბრებულ პირს, რომელიც ჩაირიცხება ერთიანი ეროვნული გამოცდების შედეგების საფუძველზე.</p> <p>ერთიანი ეროვნული გამოცდების გარეშე საერთაშორისო ურთიერთობების და დიპლომატიის საბაკალავრო პროგრამაზე სტუდენტთა ჩარიცხვა შესაძლებელია მხოლოდ საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებულ გამონაკლის შემთხვევებში.</p>		
სწავლის შედეგი		
პროგრამის დასრულების შემდეგ კურსდამთავრებული:		

- **აღწერს:**
 - საერთაშორისო ურთიერთობების თეორიებსა და კონცეფციებს;
 - სამართლებრივ, პოლიტიკურ, ეკონომიკურ, სოციალურ, საზოგადოებრივ, ფილოსოფიურ, ისტორიულ და კულტურულ ფაქტორებს, რომლებიც გავლენას ახდენს საერთაშორისო ურთიერთობებზე;
 - დიპლომატიის ჩამოყალიბებისა და განვითარების ძირითად ასპექტებს;
 - გლობალური პოლიტიკის მნიშვნელოვან პრობლემებს;
 - მმართველობისა და პოლიტიკის ძირითად პრინციპებს;
 - სახელმწიფოს ვერტიკალური და ჰორიზონტალური ორგანიზაციის ძირითადი ფორმებს;
- **განმარტავს** სოციალური მეცნიერებების კვლევის მეთოდებს;
- **განსაზღვრავს** ახალ მსოფლიო წესრიგში სხვადასხვა სახელმწიფოებისა და ინტეგრაციული წარმონაქმნების როლსა და დანიშნულებას; თანამედროვე საერთაშორისო სისტემაში საქართველოს, როგორც პატარა სახელმწიფოს ადგილს;
- **ახორციელებს** საერთაშორისო აქტორების ქცევის ინტერპრეტაციასა და მსოფლიოში მიმდინარე პოლიტიკური მოვლენების შეფასებას საერთაშორისო ურთიერთობების თეორიების ეფექტურად გამოყენების მეშვეობით;
- **აანალიზებს** გლობალურ და ეროვნულ პოლიტიკას; **შეიმუშავებს** პოლიტიკურ დოკუმენტებს;
- ფართო საზოგადოების ინტერესების გათვალისწინებით, **ახდენს** გლობალურ საკითხებთან, პოლიტიკასთან, პროცესებსა და ტენდენციებთან დაკავშირებით, ინტერდისციპლინარული ცოდნისა და კრიტიკული აზროვნების **დემონსტრირებას** წერილობითი და ზეპირი ფორმით ლოგიკურად, თანმიმდევრულად და მკაფიოდ; ეფექტურად **იყენებს** საკომუნიკაციო ტექნოლოგიებს;
- **მოიძიებს** ინფორმაციას ქართულ და ინგლისურ ენაზე (ეფექტურად იყენებს მეორე უცხო ენასაც), **აყალიბებს** დასკვნებს პროფესიისთვის დამახასიათებელი სოციალური და ეთიკური პრინციპების გათვალისწინებით. ქმნის კვლევით ნაშრომს წინასწარ განსაზღვრული მითითებების შესაბამისად;
- **აფასებს** საკუთარ და სხვების შესაძლებლობებს, უწყვეტი პროფესიული განვითარების დაგეგმარებისა და განხორციელების გზით ეფექტურად მართავს დროსა და რესურსებს. თვალს ადევნებს მეცნიერულ სიახლეებს და ახდენს ცოდნის მუდმივად განახლებას;
- **აქვს** ორგანიზაციული უნარი, შეუძლია მიიღოს და განახორციელოს ინიციატივა, აიღოს მასზე პასუხისმგებლობა;
- **ცნობს** პროფესიული ეთიკის ფარგლებს. მოწოდებულია, იმოქმედოს სამართლიანობის, ადამიანის უფლებების, დემოკრატიული ფასეულობების, სოციალური და მორალური პასუხისმგებლობის გათვალისწინებით.

დასაქმების სფერო

საერთაშორისო ურთიერთობებისა და დიპლომატიის საბაკალავრო პროგრამის კურსდამთავრებულს ექნება შესაძლებლობა, იმუშაოს ნებისმიერ სამსახურსა და თანამდებობაზე, სადაც არ მოითხოვება მაგისტრის აკადემიური ხარისხი, კერძოდ, მას შეუძლია დასაქმდეს საჯარო და დიპლომატიურ სამსახურში, საერთაშორისო და საზოგადოებრივ ორგანიზაციებსა და სხვა.

იგი უფლებამოსილია, სწავლა განაგრძოს სამაგისტრო პროგრამით, რომელიც ორიენტირებულია შემდგომი დონის სპეციალისტის მომზადებაზე.

პროგრამის სტრუქტურა

ძირითადი სწავლის სფეროს სავალდებულო სასწავლო კურსები - 150 კრედიტი;

ძირითადი სწავლის სფეროს არჩევით სასწავლო კურსები - 65 კრედიტი;

მეორე უცხო ენა - 16 კრედიტი;

თავისუფალ კომპონენტი - 9 კრედიტი;

პროგრამის ხელმძღვანელი	გელა ცაავა - ასოცირებული პროფესორი ტელ.: (+995) 593 22 63 22 ელ.ფოსტა: gela.tsaava@gau.edu.ge
საგანმანათლებლო პროგრამა და სასწავლო გეგმა იხ. ბმულზე: https://www.gau.edu.ge/storage/app/media/School%20Program%20Files/Law%20Social%20Sciences%20and%20Diplomacy/ir-ba-curriculum-geo.pdf https://www.gau.edu.ge/storage/app/media/School%20Program%20Files/Law%20Social%20Sciences%20and%20Diplomacy/ir-ba-plan-geo.pdf	

პროგრამის სახელწოდება	ინგლისური ფილოლოგია/ English Philology
საფეხური	ბაკალავრიატი
მისანიჭებელი კვალიფიკაცია	ინგლისური ფილოლოგიის ბაკალავრი / Bachelor of English Philology
ECTS	240
განხორციელების ენა	ქართული (ინგლისურენოვანი კომპონენტებით)
განმახორციელებელი ძირითადი ერთეული	ჰუმანიტარულ მეცნიერებათა და ლიბერალური განათლების სკოლა
განხორციელების ადგილი	მერაბ ალექსიძის №10, ქ. თბილისი, 0160, საქართველო
პროგრამის მიზანი	
<p>ინგლისური ფილოლოგიის პროგრამის ძირითადი დანიშნულებაა ხელი შეუწყოს ინგლისური ენის მაღალკვალიფიციური, მრავალფეროვანი ზოგადი თუ პროფესიული ცოდნით, ფართე ერუდიციითა და წარმატებული საქმიანობისთვის საჭირო ზოგადი, ტრანსფერული და დარგობრივ-პროფესიული უნარ-ჩვევებით აღჭურვილი, მაღალკონკურენტული სპეციალისტების აღზრდას.</p> <p>აქედან გამომდინარე ინგლისური ფილოლოგიის პროგრამა მიზნად ისახავს სტუდენტს:</p> <ul style="list-style-type: none"> ➤ სიღრმისეულ დონეზე შეასწავლოს, როგორც ზოგადი პროფილის პრაქტიკული ინგლისური ენა C 1 დონეზე, ისე დარგობრივ - პროფესიულ ინგლისური თავისი მრავალმხრივი თემატიკითა და მრავალფეროვანი პროფესიულ-დარგობრივი ტერმინოლოგიით. ამავდროულად, შეასწავლოს მის მიერ არჩეული ერთ-ერთი მეორე უცხო ენა (რუსული, ესპანური, ფრანგული, გერმანული) მოცემული ენის A 2 დონეზე მიზანმიმართულად გამოყენების მიზნით; ➤ ხელი შეუწყოს მისი აზროვნების ჩამოყალიბებისა და შემდგომი განვითარების პროცესს, როგორც ინგლისური ენის გრამატიკული, ფონეტიკურ - ფონოლოგიური და ლექსიკურ-სემანტიკური სისტემების თავისებურებისა და მათი სისტემური კვლევის მეთოდების შესწავლის გზით, ისე ზოგადი და დარგობრივი ენათმეცნიერებისა და მრავალსაუკუნოვანი ევროპული ლიტერატურის განვითარების პროცესის კრიტიკული გააზრების მეშვეობით; აღუძრას სამეცნიერო კვლევის სურვილი; 	

- გამოუმუშავოს ინგლისურ ენაზე წერისა და მეტყველების კულტურა სხვადასხვა ტიპის პროფესიულ-დარგობრივ და სამეცნიერო - კვლევით კონტექსტში, ასწავლოს სხვადასხვა ტიპის დარგობრივ - პროფესიული თუ მხატვრული /არამხატვრული მასალის ლოგიკური და კრიტიკული გააზრება, ხელი შეუწყოს მისი პირადი აზრისა და შეფასებების გამოხატვაში, ჩამოუყალიბოს მხატვრული გემოვნება;
- დაეხმაროს გააცნობიეროს არსებული ციფრული საინფორმაციო ტექნოლოგიების მნიშვნელობა რეალურ ცხოვრებაში და მათზე მიზანმიმართული, თანმიმდევრული მუშაობით ხელი შეუწყოს ნებისმიერ პროფესიაზე მორგებული, ზოგადი და სპეციფიური ტრანსფერული უნარ-ჩვევების ჩამოყალიბებაში;
- ხელი შეუწყოს პროფესიონალიზმის მაღალი სტანდარტების ჩამოყალიბებასა და მათი განხორციელებისთვის საჭირო გზების დასახვაში, ეროვნული ფასეულობებისა და ზოგადსაკაცობრიო ღირებულებების ჩამოყალიბების გზით გამოუმუშავოს პროფესიული გამბედაობა ზნეობრივი პრინციპების ერთიანი სისტემისა და პროფესიულ - ეთიკური ქცევის კოდექსის ფარგლებში, გაუღვიძოს მოქალაქეობრივი და სოციალური პასუხისმგებლობის გრძობა, ჩამოუყალიბოს ტოლერანტული დამოკიდებულება უცხოენოვანი კულტურების მიმართ;
- გამოუმუშავოს საბაკალავრო ნაშრომზე ან კვლევით ჯგუფურ პროექტზე მუშაობის უნარ - ჩვევები და დახმარება გაუწიოს მათ მომზადებაში.

პროგრამაზე დაშვების წინაპირობა

ბაკალავრიატში სწავლის უფლება აქვს მხოლოდ სრული ზოგადი განათლების დამადასტურებელი სახელმწიფო სერტიფიკატის მფლობელს ან მასთან გათანაბრებულ პირს, რომელიც ჩაირიცხება ერთიანი ეროვნული გამოცდების შედეგების საფუძველზე და ჩაბარებული აქვს გამოცდა ინგლისურ ენაში.

ერთიანი ეროვნული გამოცდების გარეშე ინგლისური ფილოლოგიის საბაკალავრო პროგრამაზე სტუდენტთა ჩაირიცხვა შესაძლებელია მხოლოდ საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული გამონაკლის შემთხვევებში.

სწავლის შედეგი

ინგლისური ფილოლოგიის პროგრამის კურსდამთავრებული:

- C1 დონეზე ფლობს და მიზანმიმართულად იყენებს ინგლისური ენის ოთხ ძირითად უნარ-ჩვევას: აღნიშნულ დონეზე ინგლისური ენის კომპეტენციის ფარგლებში თავისუფლად კითხულობს, წერს, ლაპარაკობს, ესმის ნათქვამი და ადეკვატურად რეაგირებს მასზე. პროგრამის ფარგლებში შეუძლია გავიდეს საერთო ევროპული სარეკომენდაციო რეფერენციული ჩარჩოს (CEFR) სტანდარტით განსაზღვრულ C1 დონის კემბრიჯის საერთაშორისო გამოცდაზე (CAE) ენის საერთაშორისო კვალიფიკაციის მოსაპოვებლად; ასევე, შეუძლია მეორე უცხო ენის 12 - კრედიტიანი კურსის გავლის შემდეგ ჩააბაროს იგივე ტიპის საერთაშორისო გამოცდა მის მიერ არჩეულ მეორე უცხო ენაში და მოიპოვოს ენის საერთაშორისო კვალიფიკაცია A2 დონეებზე.
- ერთი მხრივ, სიღრმისეულად აცნობიერებს ზოგადად ენის და ამავდროულად თანამედროვე ინგლისური ენის გრამატიკული (მორფოლოგიურ - სინტაქსური), ფონეტიკურ - ფონოლოგიური და ლექსიკურ-სემანტიკური სისტემების ერთიანობას და მათი ერთობლივი ფუნქციონირების თავისებურებებს, ხოლო მეორე მხრივ, მრავალსაუკუნოვანი ინგლისური სალიტერატურო ენის ნაირგვარ ფუნქციებსა და მათი გამომსახველობითი შესაძლებლობების გამოვლენის ხერხებს წერით თუ ზეპირ მეტყველებაში, ასევე სიღრმისეულად აქვს გააზრებული დარგობრივ - პროფესიული ინგლისური ენის თემატური მრავალგვარობა, მისი ფუნქციონირების სფეროების ურთიერთკავშირი და მნიშვნელობა.

- გაიაზრებს, მრავალფეროვანი პროფესიულ - დარგობრივი ენის სათანადო რეგისტრის ფარგლებში აღწერს და განმარტავს სხვადასხვა ენის მეცნიერებებისა და ლიტერატურული მიმდინარეობების განვითარების გზებსა და დარგთაშორის მსგავსება - განსხვავებებს და მათი განხრით მიღებული თეორიულ ცოდნის საფუძველზე დამაჯერებლად ასაბუთებს კონკრეტულ სფეროში არსებული სამეცნიერო ინფორმაციის ღირებულებას საკუთარ ნააზრევთან მიმართებით.
- როგორც ინგლისურენოვან დისკუსიებსა და დებატებში მონაწილეობისას, ისე თანამედროვე ფორმის მქონე, ტექნოლოგიურად გამართული პროფესიული პრეზენტაციებისა და საკონფერენციო მოხსენებების წარდგენისას, თამამად გამოხატავს თავის აზრებს, დამოკიდებულებებსა და შეფასებებს, თანმიმდევრულად და არგუმენტირებულად მსჯელობს მრავალფეროვან ზოგად და პროფესიულ თემებზე, გამოაქვს დასაბუთებული დასკვნები.
- კონკრეტული აკადემიური თუ დარგობრივ - პროფესიული მოთხოვნებიდან გამომდინარე, ასრულებს სხვადასხვა ტიპის წერით ნაშრომს ინგლისურ ენაზე: წერს სხვადასხვა ტიპის საკურსო შრომას (მაგ. რეფერატი), სხვადასხვა ტიპის ესეს (მაგ. არგუმენტირებული ესეს), განხორციელებული ინდივიდუალური ან ჯგუფური პროექტის ანგარიშს, რეცენზიას ფილმზე/წიგნზე, მოთხრობის ან სტატიის მოკლე შინაარსს და ა.შ.
- მუშაობს საოფისე პროგრამებთან, ფაილების გაცვლის სისტემებთან, ქმნის საიტებსა და ბლოგებს, შეუძლია Google-ის ღრუბლოვანი სერვისების გამოყენება;
- მოიძიებს ნებისმიერი ტიპის ინფორმაციას (სამეცნიერო, დარგობრივ - პროფესიული, მხატვრული, არამხატვრული, საქმიანი) კონკრეტულ თემასთან ან ტექსტთან კავშირში, დარგის მოთხოვნების საფუძველზე კრიტიკულად გაიაზრებს და ამუშავებს მოპოვებულ ინფორმაციას, ახდენს მის სისტემატიზაციასა და კონტექსტუალურ ინტერპრეტაციას აქტუალურ ან საკვლევ საკითხთან მიმართებით, შესაფერისი აკადემიური ფორმით აყალიბებს მას.;
- საჭიროებისამებრ გამოავლენს და იყენებს სწავლის ავტონომიურ უნარ-ჩვევებსა და სტრატეგიებს და შეფასებისა და თვით-შეფასების კრიტერიუმებს აკადემიური პროცესის მსვლელობის გააზრების მიზნით;
- წერს სამეცნიერო კვლევით ნაშრომს ან მონაწილეობს კვლევითი ხასიათის ჯგუფურ პროექტში წინასწარ მიღებული მითითებების საფუძველზე.
- თვალყურს ადევნებს ჰუმანიტარულ მეცნიერებათა გლობალური განვითარების პროცესს, მეცნიერების სიახლეებსა და მიღწევებს; ახდენს თავისი პროფესიული ცოდნის პერმანენტულ განახლებას, არსებული უნარ-ჩვევების დახვეწასა და ახალი, ეფექტური უნარ-ჩვევების ჩამოყალიბება - განვითარებას.
- რეალისტურად აფასებს საკუთარ თავს, თავის ცოდნასა და უნარ - ჩვევებს, თავად გეგმავს თავისი შემდგომი პროფესიული განვითარების გზას, ეფექტურად მართავს თავის დროსა და რესურსებს. არის მცოდნე, განათლებული, შრომისმოყვარე, აქტიური, თავდაჯერებული, ორგანიზებული, მიზანსწრაფული, დამოუკიდებელი/თვითკმარი, მაღალი ეთიკური და მორალური ფასეულობებისა და მაღალი სოციალური პასუხისმგებლობის მქონე ადამიანი.

დასაქმების სფერო

ჰუმანიტარულ მეცნიერებათა და ლიბერალური განათლების სკოლის ინგლისური ფილოლოგიის ბაკალავრს პროგრამის გავლის შემდეგ შესაძლებლობა ექნება იმუშაოს ყველა ტიპის დაწესებულებაში (საჯარო, კერძო, არასამთავრობო ორგანიზაციები), რადგან პროგრამის დასრულების შედეგად მის მიერ შეძენილ მრავალმხრივ ცოდნასა და მრავალფეროვან პროფესიულ თუ ზოგად ტრანსფერულ უნარ-ჩვევებს როგორც ინგლისური და ქართული ენების, ისე სხვა ნებისმიერი უცხო ენის შემთხვევაში საქართველოს მაღალკონკურენტუნარიან შრომით ბაზარზე განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება.

აქედან გამომდინარე, ინგლისური ფილოლოგიის პროგრამის კურსდამთავრებულებს შესაძლებლობა ექნებათ იმუშაონ:

- მხატვრული, დარგობრივ-პროფესიული, სამეცნიერო - კვლევითი ლიტერატურის, ინგლისურენოვანი ფილმების, სცენარებისა და პიესების, ასევე ნებისმიერი ტიპის დოკუმენტაციის მთარგმნელებად გამოიმყვანონ, ტელე - / კინოკომპანიებსა და საინფორმაციო ცენტრებში.
- დარგობრივ - პროფესიული, სამეცნიერო - კვლევითი და მხატვრული ლიტერატურის რედაქტორ - კორექტორებად და რედაქტორების თანაშემწეებად სხვადასხვა ტიპის (მათ შორის, ონლაინ) დარგობრივ, სამეცნიერო და ლიტერატურულ ჟურნალებში; ორენოვანი (ქართული და ინგლისური) დოკუმენტაციის, სარეკლამო და საინფორმაციო ბროშურების, ბუკლეტებისა და ფლაერების, ვებ გვერდებისა და სხვადასხვა ტიპის სოციალური მედიისთვის გამიზნული საპრეზენტაციო და/ან პრესრელიზებისთვის საჭირო ტექსტური ნაწილის შემდგენელ-რედაქტორ-კორექტორებად საქართველოში, საჯარო და კერძო დაწესებულებებში, ტურისტულ, სარეკლამო და საინფორმაციო სააგენტოებში.
- მასწავლებლების თანაშემწეებად სახელმწიფო და კერძო ზოგადსაგანმანათლებლო სკოლებში, ენების სასწავლებლებსა და ცენტრებში, როგორც ტრადიციული ისე დისტანციური/ ონლაინ სწავლების პირობებში.
- ჟურნალ-გაზეთებისა და რადიო-ტელევიზიის გადაცემების რედაქტორების, ნოტარიუსების, მოსამართლეებისა და ადვოკატების, ოფისმენეჯერებისა და პროექტის მენეჯერების, თეატრში ლიტერატურული ნაწილის გამგეებისა და სპიჩრაიტერების თანაშემწეებად;
- დიქტორებად, კორესპონდენტებად და კორესპონდენტების ასისტენტებად, სოციალური მედიის ადმინისტრატორებად, სადღესასწაულო ღონისძიებების ორგანიზატორებად, დიჯეებად, წამყვანებად, გიდებად და ექსკურსია - მძღოლებად მარკეტინგის, მენეჯმენტისა და საზოგადოებასთან ურთიერთობების განყოფილებების თანამშრომლებად და ა. შ.

ინგლისური ფილოლოგიის საბაკალავრო პროგრამის კურსდამთავრებულს უფლება ექნება სწავლა გააგრძელოს სამაგისტრო პროგრამით როგორც ენის მეცნიერებების, ლიტერატურათმცოდნეობის, ინგლისური ენის სწავლების მეთოდოლოგიის, ანგლისტიკის, ამერიკანისტიკის, ისე სხვა მისთვის საინტერესო ჰუმანიტარული დარგის მიმართულებით, თუ მის მიერ განხორციელებული ქმედება წინააღმდეგობაში არ მოდის საქართველოს მოქმედ კანონმდებლობასთან.

პროგრამის სტრუქტურა

ძირითადი სწავლის სფეროს სავალდებულო სასწავლო კურსები - 135 კრედიტი;

ძირითადი სწავლის სფეროს არჩევით სასწავლო კურსები - 42 კრედიტი;

თავისუფალ კომპონენტი - 63 კრედიტი;

პროგრამის ხელმძღვანელი

რუსუდან ციციშვილი

ტელ.: (+995) 599 51 55 64

ელ.ფოსტა: rusudantsitsishvili@gau.edu.ge

საგანმანათლებლო პროგრამა და სასწავლო გეგმა იხ. ბმულზე:

<https://www.gau.edu.ge/storage/app/media/School%20Program%20Files/Humanities%20and%20Liberal%20Arts/eng-philologi-curriculum-geo.pdf>

<https://www.gau.edu.ge/storage/app/media/School%20Program%20Files/Humanities%20and%20Liberal%20Arts/eng-philology-plan-geo.pdf>

პროგრამის სახელწოდება	ქართული ფილოლოგია/ Georgian Philology
საფეხური	ბაკალავრიატი
მისანიჭებელი კვალიფიკაცია	ქართული ფილოლოგიის ბაკალავრი/ Bachelor of Georgian Philology
ECTS	240
განხორციელების ენა	ქართული
განმახორციელებელი ძირითადი ერთეული	ჰუმანიტარულ მეცნიერებათა და ლიბერალური განათლების სკოლა
განხორციელების ადგილი	მერაბ ალექსიძის №10, ქ. თბილისი, 0160, საქართველო
პროგრამის მიზანი	
<p>ქართული ფილოლოგიის საბაკალავრო პროგრამის მიზანია, მოამზადოს ქართული ენისა და ლიტერატურის მაღალკვალიფიციური სპეციალისტი, რომელიც აღჭურვილი იქნება არა მხოლოდ პროფესიული ცოდნით, არამედ ფართო ერუდიციითაც, ინტელექტით, ჰუმანიზმითა და ტოლერანტობით, რაც მას დიდად შეუწყობს ხელს, გონივრულად დაგვემოს თავისი საგანმანათლებლო პროფილი თუ სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობა.</p> <p>ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, ქართული ფილოლოგიის საბაკალავრო პროგრამა მიზნად ისახავს:</p> <ul style="list-style-type: none"> ➤ სტუდენტს შეასწავლოს ენათმეცნიერების ამოსავალი ცნებები, ლინგვისტიკური ანალიზის ძირითადი პრინციპები და მეთოდები, უნივერსალურ კანონზომიერებათა ტიპები, ენის მანქანური (კომპიუტერული) დამუშავების პრობლემები, წინადადებათა საინფორმაციო სტრუქტურების ძირითადი მოდელები, სტანდარტული ენის ფუნქციონირების სფეროები, ენის ეკოლოგიის პრობლემები; გაააზრებინოს ფონეტიკა-ფონოლოგიის ძირითადი საკითხები; შეასწავლოს ძველი და თანამედროვე ქართული ენის მორფოლოგია-სინტაქსი (პირველი ეტაპის გათვალისწინებით: სახელთა ფორმაწარმოება; მარტივი წინადადების პრობლემა); გააცნოს ქართული ენის ლექსიკოლოგიურ-სემანტიკური სისტემები, აზრის ენობრივ გარსში გამოხატვის საშუალებანი; გაააზრებინოს ევროპული და ქართული გრამატიკული აზროვნების ურთიერთმიმართების საკითხები, ანტიკურ-ბიბლიური ენობრივი თეორიები და წარმოუჩინოს ქართული გრამატიკული აზრის ჩამოყალიბების ისტორია; ➤ განსხვავებული ასპექტებით დაანახვოს მრავალსაუკუნოვანი ქართული ლიტერატურის შედეგები: ჰაგიოგრაფიისა და ჰიმნოგრაფიის გამორჩეული ნიმუშები; შეასწავლოს ქართული ლიტერატურის ოქროს ხანის ძეგლები, რენესანსისა და აღორძინების პერიოდის ნაწარმოებები, სახოტბო პოეზია; აგრეთვე – გააცნოს ახალი და უახლესი ქართული ლიტერატურის ძირითადი ჟანრები და მიმდინარეობანი (პირველი ეტაპის გათვალისწინებით: XIX საუკუნის პირველი ნახევარი; XX საუკუნის პირველი ნახევარი); ქართული ლიტერატურა წარმოუჩინოს მსოფლიო ლიტერატურის კონტექსტში; ასწავლოს ლიტერატურათმცოდნეობის მეთოდოლოგიური კონცეფციები და ცნება-ტერმინები; ➤ სიღრმისეულად შეასწავლოს ძველი და თანამედროვე ქართული ენის მორფოლოგია-სინტაქსის საკითხები (მეორე ეტაპის გათვალისწინებით: ზმნის ფორმაწარმოება, უდეტრები; შერწყმული და რთული წინადადებები, ზერთული კონსტრუქციები); გააცნობიერებინოს ენის ფუნქციონირების განსხვავებული სტილები, ქართული ენის სისტემებისა და სტრუქტურების ისტორიული ტრანსფორმაციის ძირითადი ეტაპები; გაააზრებინოს ენის სტილისტიკური მახასიათებლები; გააცნოს ისტორიულ-შედარებითი ენათმეცნიერების ამოცანები, კვლევის მეთოდები და თანამედროვე მიდწევები; საფუძვლიანად შეასწავლოს ენათა ტიპოლოგიური და გენეალოგიური კლასიფიკაციის პრინციპები, უნივერსალურ კანონზომიერებათა ტიპები, ტექსტის ლინგვისტიკის ძირითადი თეორიები, ინფორმაციის გადაბმის საშუალებანი და მათი სახეები; დაანახვოს კავკასიის ენობრივი სივრცის სოციოლინგვისტიკური პრობლემები; გააცნოს გეოგრაფიული და სოციალური დიალექტები; უჩვენოს საფრთხის ქვეშ მყოფ ენათა სტატუსი; ცოდნა შესძინოს აკადემიური წერის სფეროში; ჩამოუყალიბოს ზეპირი მეტყველების კულტურა; დაამლევინოს აუდიტორიასთან ურთიერთობის სირთულენი; 	

- ცოდნა გაულრმამოს ძველი, ახალი და თანამედროვე ქართული ლიტერატურის სფეროში (მეორე ეტაპის გათვალისწინებით: XIX საუკუნის II ნახევარი; XX საუკუნის II ნახევარი); დაანახვოს მხატვრული სამყაროსა და რეალობის ურთიერთმიმართების საკითხები, პოსტმოდერნიზმის არსი და ტენდენციები; გააცნოს (ლიტერატურათმცოდნეობაში დანერგილი კვლევის მეთოდების საშუალებით) ქართული კლასიკური ტექსტების წაკითხვის უახლესი ინტერპრეტაციები; გამოუმუშაოს ეპოქისა და კულტურის ურთიერთმიმართებაზე დაკვირვების უნარი; შეასწავლოს უცნობი და ნაკლებად შესწავლილი ტექსტები; წარმოაჩინოს ეროვნული იდენტობის აღქმის ძირითადი კონცეფციები; შეამეცნებინოს ლიტერატურათმცოდნეობის ძირითადი მეთოდოლოგიური მიმდინარეობანი; გაააზრებინოს ლიტერატურის ზოგადსაკაცობრიო ღირებულება;
- შეასწავლოს ინგლისური ენა საერთო ევროპული ჩარჩოს B1+ დონის შესაბამისად;
- გააცნოს ქართული ენისა და ლიტერატურის სწავლების ყველაზე ეფექტური მეთოდები, სიტუაციის ანალიზისა და მიმდინარე პროცესების კანონზომიერებათა დადგენის საშუალებები;
- გამოუმუშაოს პრაქტიკული უნარ-ჩვევები (რაც მიიღწევა სხვადასხვა კვლევით ინსტიტუტსა თუ სკოლასთან თანამშრომლობით);
- ასწავლოს საბაკალავრო ნაშრომსა თუ კვლევით ჯგუფურ პროექტზე მუშაობა;
- ცოდნა შესძინოს თანამედროვე ინფორმაციული და კომპიუტერული ტექნოლოგიების სფეროებში;
- ხელი შეუწყოს მის პროფესიულ წინსვლას; გაუღვიძოს მოქალაქეობრივი და სოციალური პასუხისმგებლობის გრძნობა სამშობლოსადმი; ჩამოუყალიბოს ტოლერანტული დამოკიდებულება უცხოური კულტურის მიმართ.

პროგრამაზე დაშვების წინაპირობა

საბაკალავრო პროგრამაზე სწავლის უფლება აქვს მხოლოდ სრული ზოგადი განათლების დამადასტურებელი სახელმწიფო სერტიფიკატის/ატესტატის ან მასთან გათანაბრებული დოკუმენტის მფლობელს, ან კიდევ – მასთან გათანაბრებულ პირს, რომელიც ჩაირიცხება უმაღლეს სასწავლებელში ერთიანი ეროვნული გამოცდების შედეგების საფუძველზე.

ერთიანი ეროვნული გამოცდების გარეშე ქართული ფილოლოგიის საბაკალავრო პროგრამაზე სტუდენტთა ჩარიცხვა შესაძლებელია მხოლოდ საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებულ გამოწვევის შემთხვევებში.

სწავლის შედეგი

ქართული ფილოლოგიის საბაკალავრო პროგრამის კურსდამთავრებული:

- სიღრმისეულად აცნობიერებს ენათმეცნიერების ამოსავალ ცნებებსა და ლინგვისტიკური ანალიზის ძირითად პრინციპებს; აანალიზებს თანამედროვე ქართული ენის ფონეტიკურ-ფონოლოგიურ სისტემას, სამეტყველო აპარატის საწარმოთქმო ჩვევებს, ფონეტიკურ მოვლენებსა და პროცესებს; განიხილავს (ძველი და თანამედროვე ქართული ენის მონაცემთა გათვალისწინებით) სახელთა ფორმაწარმოების საკითხებს; გამოყოფს და ახასიათებს ფუძესა და სადერივაციო ფორმანტებს, გრამატიკული ფორმის მცვლელ აფიქსებს; გაიაზრებს (ასევე ძველი და თანამედროვე ქართული ენის მონაცემთა გათვალისწინებით) სიტყვათა სინტაქსური შეკავშირების სახეებს, წინადადებებს რაგვარობის მიხედვით, მთავარ და არამთავარ წევრებს, მარტივი წინადადების ტიპებს; ახასიათებს ქართული ენის ლექსიკოლოგიურ-სემანტიკურ სისტემებს, სიტყვის მრავალმნიშვნელობას, სინონიმებს, ანტონიმებს, ომონიმებს, პარონიმებს – თანამედროვე ქართული ენის ლექსიკას შედგენილობისა და გამოყენების თვალსაზრისით; ფლობს ენის მანქანური (კომპიუტერული) დამუშავების უნარ-ჩვევებს – შეიმუშავებს უნივერსალურ წესებს მეტყველების ნაწილთა მანქანური დამუშავებისათვის და ამზადებს მონაცემთა ბაზას; განიხილავს ევროპული და ქართული გრამატიკული აზროვნების ურთიერთმიმართების საკითხებს; წერს საკურსო ნაშრომს მისთვის საინტერესო სფეროს გათვალისწინებით;
- აანალიზებს მრავალსაუკუნოვანი ქართული ლიტერატურის შედეგებს – ჰაგიოგრაფიისა და ჰიმნოგრაფიის გამორჩეულ თხზულებებს, ოქროს ხანისა და აღორძინების პერიოდის ძეგლებს, სახოტბო

პოეზიას; აცნობიერებს ქართული ლიტერატურის მიმართებას ბიბლიურ კულტურასა და მწერლობასთან; ახასიათებს ახალი (XIX საუკუნის I ნახევრის) და უახლესი (XX საუკუნის I ნახევრის) ქართული ლიტერატურის ჟანრებსა და მიმდინარეობებს მსოფლიო მწერლობის კონტექსტში; წარმოაჩენს და განიხილავს ლიტერატურათმცოდნეობის კონცეფციებს; გამოყოფს (საკუთარი ინტერესების გათვალისწინებით) საინტერესო თემას და წერს საკურსო ნაშრომს;

- განიხილავს ზმნის ფორმაწარმოების საკითხებს, ფორმაუცვლელ სიტყვა-გამოთქმებსა და სინტაქსურ კონსტრუქციებს ძველი ქართული ენის მონაცემთა გათვალისწინებით (ძველი ქართული ენა II); აანალიზებს ზმნის კატეგორიებსა და უდრეტებს თანამედროვე ქართული ენის მიხედვით (მორფოლოგია II); ახასიათებს შერწყმულ და რთულ (პარატაქსი, ჰიპოტაქსი) წინადადებებს ახალი ქართული ენის მონაცემების შესაბამისად (სინტაქსი II); გამოყოფს ტექსტური ინფორმაციის გადაბმის საშუალებებს; განიხილავს ენათა ტიპოლოგიური და გენეალოგიური კლასიფიკაციის პრინციპებს, კავკასიის ენობრივი სივრცის სოციოლინგვისტიკურ პრობლემებს, ქართველური ენებისა და გეოგრაფიულ-სოციალური დიალექტების თავისებურებებს; ირჩევს (საკუთარი ინტერესების შესაბამისად) რომელიმე საკითხს და წერს კვლევით ნაშრომს;
- ახასიათებს ძველი (მეორე ეტაპის მიხედვით), ახალი (XIX საუკუნის II ნახევრის) და უახლესი (XX საუკუნის II ნახევრისა და XXI საუკუნის დასაწყისის) ქართული ლიტერატურის ქმნილებებს, უცნობ და ნაკლებად ცნობილ თხზულებებს; განიხილავს ქართულ-კლასიკურ ტექსტებს უახლესი ინტერპრეტაციების გათვალისწინებით; აანალიზებს ეპოქისა და კულტურის ურთიერთმიმართების პრობლემას; გაიაზრებს ლიტერატურის ზოგადსაკაცობრიო ღირებულებას; წერს კვლევით ნაშრომს (ერთ-ერთი საკითხის გათვალისწინებით);
- იცის ინგლისური ენა საერთო ევროპული ჩარჩოს B1+ დონის შესაბამისად;
- განიხილავს ქართული ენისა და ლიტერატურის სწავლების ყველაზე ეფექტურ მეთოდებს, სიტუაციის ანალიზისა და მიმდინარე პროცესების კანონზომიერებათა დადგენის საშუალებებს;
- ფლობს პრაქტიკულ უნარ-ჩვევებს (რაც მიიღწევა სხვადასხვა კვლევით ინსტიტუტსა თუ სკოლასთან თანამშრომლობით);
- წერს საბაკალავრო ნაშრომსა თუ კვლევით ჯგუფურ პროექტს;
- იყენებს თანამედროვე ციფრულ-ტექნოლოგიურ რესურსებს;
- თვალყურს ადევნებს ჰუმანიტარულ მეცნიერებათა გლობალური განვითარების პროცესს, მეცნიერების სიახლეებსა და მიღწევებს; გეგმავს პროფესიული განვითარების შემდგომ შესაძლებლობებს; ეფექტურად მართავს დროსა და რესურსებს.

დასაქმების სფერო

ქართული ფილოლოგიის საბაკალავრო პროგრამის კურსდამთავრებულს უფლება ექნება, სწავლა გააგრძელოს სამაგისტრო პროგრამით როგორც ენის მეცნიერებათა, ისე ლიტერატურათმცოდნეობის, აგრეთვე ქართული ენისა და ლიტერატურის სწავლების მეთოდოლოგიისა თუ სხვა (მისთვის საინტერესო) ჰუმანიტარული დარგის მიმართულებით, თუ ის (მისი არჩევანი) არ ეწინააღმდეგება საქართველოს მოქმედ კანონმდებლობას.

ჰუმანიტარულ მეცნიერებათა და ლიბერალური განათლების სკოლის ქართული ფილოლოგიის ბაკალავრს (პროგრამის გავლის შემდეგ) შესაძლებლობა ექნება იმუშაოს ყველა სახის დაწესებულებაში (საჯარო, კერძო, არასამთავრობო ორგანიზაციები), რადგან დასახელებული პროგრამის მიხედვით შექმნილ ცოდნასა და უნარ-ჩვევებს, აგრეთვე მრავალმხრივ პროფესიულ თუ ზოგადტრანსფერულ გამოცდილებას განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება საქართველოს მაღალკონკურენტუნარიან შრომით ბაზარზე.

ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, ქართული ფილოლოგიის პროგრამის კურსდამთავრებულებს შესაძლებლობა ექნებათ იმუშაონ:

- ჟურნალ-გაზეთების კორექტორ-რედაქტორებად (მათ შორის – ინტერნეტგამოცემების);
- რადიო და სატელევიზიო გადაცემების რედაქტორებად სხვადასხვა ტელეკომპანიაში;
- ტექსტების რედაქტორებად სარეკლამო სააგენტოებში;
- მთარგმნელებად (ქართულ-ინგლისური, ინგლისურ-ქართული) სხვადასხვა ოფისში;

- თარჯიმნებად სამეცნიერო კონფერენციებსა და სემინარებზე;
- სხვადასხვა სახის საგრანტო პროექტების რედაქტორ-მენეჯერებად (სამინისტროებსა თუ სხვა სახის უწყებებში);
- ინგლისურენოვანი ფილმების მთარგმნელებად ტელე- და კინოკომპანიებში;
- სცენარებისა და პიესების მთარგმნელ-რედაქტორ-კორექტორებად;
- აღზრდელებად ბაგა-ბალებში;
- კოორდინატორად სკოლაში;
- საქმის ქაღალდების (მათ შორის, საჯარო გამოსვლის) რედაქტორ-შემდგენლებად სხვადასხვა ოფისში;
- გახანგრძლივებული კლასების კოორდინატორებად;
- ნოტარიუსების, მოსამართლეებისა და ადვოკატების თანაშემწეებად (შესაბამისი საქმის ქაღალდების გაფორმება-მომზადების მიზნით);
- ოფისმენეჯერის თანაშემწეებად (ტექსტური ნაწილის მომზადება-რედაქტირების თვალსაზრისით);
- საპრეზენტაციო ცენტრებში თანაშემწეებად (პრესრელიზებისა თუ სხვა სახის საქმის ქაღალდების მომზადების მიზნით);
- ნებისმიერი სახის პროექტებში ტექსტური ნაწილის მთარგმნელ-რედაქტორ-კორექტორებად;
- საელჩოებში ქართულ-ინგლისური თუ ინგლისურ-ქართული დოკუმენტაციის შემდგენელ-რედაქტორებად;
- საზოგადოებასთან ურთიერთობის განყოფილებების თანამშრომლებად სხვადასხვა კომპანიაში;
- გიდებად;
- გასართობი ცენტრებისა და საბავშვო გადაცემების ორგანიზატორ-დიჯეი-კონფერენსიებად;
- საოფისე პრესსამსახურის ტექსტური ნაწილის შემდგენელ-რედაქტორებად;
- დარგობრივ-პროფესიული, სამეცნიერო-კვლევითი თუ მხატვრული ლიტერატურის რედაქტორ-კორექტორებად და რედაქტორების თანაშემწეებად სხვადასხვა ტიპის (მათ შორის ელექტრონულ) ჟურნალებში;
- დიქტორებად (საჭიროების შემთხვევაში – სუფლიორებად), კორესპონდენტების ასისტენტებად, სოციალური მედიის ადმინისტრატორებად, სხვადასხვა სახის ღონისძიების (სადღესასწაულო თუ სხვა) ორგანიზატორებად, წამყვანებად; მარკეტინგის, მენეჯმენტისა და საზოგადოებასთან ურთიერთობის განყოფილებათა თანამშრომლებად და ა.შ.

პროგრამის სტრუქტურა

ძირითადი სწავლის სფეროს სავალდებულო სასწავლო კურსები -135 კრედიტი;

ძირითადი სწავლის სფეროს არჩევით სასწავლო კურსები - 42 კრედიტი;

თავისუფალ კომპონენტი - 63 კრედიტი;

პროგრამის ხელმძღვანელი

თამარ ვაშაკიძე

ტელ.: (+995) 595 33 07 09

ელ.ფოსტა: tamarvashakidze@gau.edu.ge

საგანმანათლებლო პროგრამა და სასწავლო გეგმა იხ. ბმულზე:

<https://www.gau.edu.ge/storage/app/media/School%20Program%20Files/Humanities%20and%20Liberal%20Arts/geo-philology-curriculum-geo.pdf>

<https://www.gau.edu.ge/storage/app/media/School%20Program%20Files/Humanities%20and%20Liberal%20Arts/geo-philology-plan-geo.pdf>

პროგრამის სახელწოდება	ისტორია/ History
საფეხური	ბაკალავრიატი
მისანიჭებელი კვალიფიკაცია	ისტორიის ბაკალავრი/Bachelor of History
ECTS	240
განხორციელების ენა	ქართული
განმახორციელებელი ძირითადი ერთეული	ჰუმანიტარულ მეცნიერებათა და ლიბერალური განათლების სკოლა
განხორციელების ადგილი	მერაბ ალექსიძის №10, ქ. თბილისი, 0160, საქართველო
პროგრამის მიზანი	
<p>ისტორიის პროგრამის ძირითადი დანიშნულებაა მოამზადოს მაღალკვალიფიციური სპეციალისტი, რომელიც ფლობს პროფესიულ ცოდნას, გამოიჩინებს ფართო ერუდიციით, აღჭურვილია როგორც დარგობრივი ისე წარმატებული საქმიანობისთვის საჭირო ზოგადი, ტრანსფერული უნარ - ჩვევებით. პროგრამის მიზანია მომავალ სპეციალისტს ჩამოუყალიბოს ზოგადსაკაცობრიო ღირებულებების , როგორც საკუთარი ისე სხვა ერების ტრადიციებისა და კულტურის პატივისცემა.</p> <p>აქედან გამომდინარე ისტორიის საბაკალავრო პროგრამის მიზანია:</p> <ul style="list-style-type: none"> ➤ სტუდენტს მისცეს საბაზო ცოდნა საქართველოსა და მსოფლიოს ისტორიაში უძველესი დროიდან დღემდე. შეასწავლოს, ძირითადი ცნებები და ტერმინები, რომლებითაც ოპერირებს თანამედროვე ისტორიული მეცნიერება. ასწავლოს ისტორიული პროცესების გააზრება, ფაქტობრივი მასალის გაანალიზება. გააცნოს ისტორიულ წყაროთა მრავალფეროვნება. შეასწავლოს ისტორიულ წყაროებსა და ტექსტებზე მუშაობა. წყაროების ერთმანეთთან შეჯერება. გამოუმუშავოს ისტორიული ფაქტებისა და პრობლემების ანალიზის, გააზრებისა და დისკუსიის კულტურა; ➤ შეასწავლოს სტუდენტებს არქეოლოგიისა და ეთნოლოგიის საფუძვლები. გააცნოს საქართველოს ტერიტორიაზე გამოვლენილი და შესწავლილი მსოფლიო მნიშვნელობის არქეოლოგიური ძეგლები და ქართული ეთნოკულტურა. შეასწავლოს ბაკალავრებს სამუზეუმო და საარქივო საქმე; ➤ ხელი შეუწყოს სტუდენტს თანმიმდევრულად დაეუფლოს პრაქტიკულ ინგლისურ ენას B 2 + დონეზე. შეასწავლოს დარგობრივი ტერმინოლოგია. გამოუმუშავოს სწრაფი კითხვის, მოსმენისა და მოსმენილი მასალის ადეკვატური აღქმის უნარი ინგლისური ენის სხვადასხვა სირთულის მასალაზე. ხელი შეუწყოს ინგლისურ ენაზე (აღნიშნულ დონეზე) პროფესიული პრეზენტაციის მომზადებაში; ➤ სასწავლო პროცესის მოთხოვნილებიდან გამომდინარე სტუდენტი ჩასწვდეს ციფრული საინფორმაციო ტექნოლოგიების გამოყენების არსსა და მნიშვნელობას. გამოუმუშავოს თანამედროვე საინფორმაციო ტექნოლოგიების გამოყენების უნარ-ჩვევები, როგორც სამეცნიერო ისე რეალური ცხოვრების ყველა სფეროში; ➤ გამოუმუშავოს კვლევითი კომპონენტის ნაშრომზე მუშაობის უნარ-ჩვევები და ჯგუფურ პროექტზე მუშაობის კულტურა. პასუხისმგებლობით მოეკიდოს აკადემიური ეთიკის ნორმების დაცვას; ➤ დაეხმაროს გამოიმუშავოს სათანადო ინდივიდუალური სტრატეგიები საკუთარი სასწავლო პროცესის ავტონომიური დაგეგმვისა და ეფექტური მართვის მიზნით. ჩამოუყალიბოს თავისუფალი, კრიტიკული, ლოგიკური და შემოქმედებითი აზროვნება. გამოუმუშავოს პროფესიული გამბედაობა. მაღალი ზნეობრივი ნორმებისა და პრინციპების ერთიანი სისტემა. ეთიკური ქცევის კოდექსის ფარგლებში,, გამოუმუშავოს ტოლერანტობა განსხვავებული აზრისა და კულტურის მიმართ. 	
პროგრამაზე დაშვების წინაპირობა	

საბაკალავრო პროგრამაზე სწავლის უფლება აქვს მხოლოდ სრული ზოგადი განათლების დამადასტურებელი სახელმწიფო სერტიფიკატის/ატესტატის ან მასთან გათანაბრებული დოკუმენტის მფლობელს პირს, რომელიც ჩაირიცხება ერთიანი ეროვნული გამოცდების შედეგების საფუძველზე.

ერთიანი ეროვნული გამოცდების გარეშე ისტორიის საბაკალავრო პროგრამაზე სტუდენტთა ჩაირიცხვა შესაძლებელია მხოლოდ საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებულ გამონაკლის შემთხვევებში.

სწავლის შედეგი

ისტორიის პროგრამის კურსდამთავრებული:

- ფლობს მსოფლიო ისტორიის საბაზო ცოდნას. აცნობიერებს ახლო აღმოსავლეთის ქვეყნებისა და ანტიკური აზროვნების სპეციფიკას და მნიშვნელობას ზოგადსაკაცობრიო კულტურაში. განმარტავს შუა საუკუნეების ევროპის სახელმწიფოების განვითარების პროცესს. გააზრებული აქვს ევროპის სახელმწიფოების ახალ და უახლესი ისტორია და ამერიკის შეერთებული შტატების როლი თანამედროვე საერთაშორისო ურთიერთობებში;
- გააზრებული აქვს საქართველოს ისტორია მსოფლიო ისტორიის კონტექსტში. აანალიზებს და აფასებს საქართველოს ადგილსა და როლის კავკასიის ხალხთა მრავალსაუკუნოვან ურთიერთობებში. არგუმენტირებულად მსჯელობს და კრიტიკულად იაზრებს საქართველოს ურთიერთობის ისტორიას მეზობელ სახელმწიფოებთან;
- ფლობს არქეოლოგიისა და ეთნოლოგიის საფუძვლების ცოდნას. გაცნობიერებული აქვს ჩვენი ქვეყნის ტერიტორიაზე აღმოჩენილი არქეოლოგიური ძეგლებისა და ეთნიკური კულტურის მსოფლიო ისტორიული მნიშვნელობა. აქვს სამუზეუმო და საარქივო საქმის ცოდნა. გააზრებული აქვს არქივისა და მუზეუმის დანიშნულება და მნიშვნელობა;
- აცნობიერებს ისტორიის კვლევისა და წარსულის რეკონსტრუქციისათვის საჭირო სამეცნიერო მეთოდებს, კვლევის პროცესში ისტორიული წყაროების მიზანმიმართული გამოყენების მნიშვნელობას. აქვს ისტორიულ წყაროებში ასახული მოვლენებისა და ფაქტების კრიტიკული ანალიზისა და ინტერპრეტაციის უნარი. იყენებს ცნებებს და ტერმინებს, რომლებითაც ოპერირებს თანამედროვე ისტორიული მეცნიერება. გააზრებული აქვს ისტორიული პროცესი და აანალიზებს ფაქტობრივ მასალას, განსაზღვრავს ისტორიული ეპოქების ძირითადი მახასიათებლებს. ისტორიული მეცნიერებების სფეროში მიღებულ ცოდნას ადეკვატურად იყენებს პრაქტიკაში;
- ფლობს ინგლისურ ენას B + 2 დონეზე. აქვს როგორც წერითი ისე ზეპირი კომუნიკაციის, კრიტიკული აზრის გამოთქმის და დისკუსიაში ჩართვის უნარი ქართულ და ინგლისურ ენებზე. ამზადებს პრეზენტაციას აღნიშნულ დონეზე;
- ფლობს კომპიუტერული და საინფორმაციო ტექნოლოგიების გამოყენების უნარ-ჩვევებს. სასწავლო პროცესის მოთხოვნილებიდან გამომდინარე აცნობიერებს სპეციალისტისთვის ტრანსფერული უნარების მნიშვნელობას. აქვს კომუნიკაციის ძირითადი ნიშნებისა და ინდიკატორების ცოდნა. აცნობიერებს ინფორმაციული საზოგადოების კულტურაში არსებული ადამიანის ყოფიერების თავისებურებებს;
- ამზადებს პრეზენტაციებს და საჯარო გამოსვლებს ისტორიული ტერმინოლოგიის და საინფორმაციო ტექნოლოგიების, როგორც საკომუნიკაციო და სასწავლო ინსტრუმენტების გამოყენებით. სათანადოდ იყენებს აკადემიური წერისა და მეტყველების კულტურის მოთხოვნებს. აუდიტორიის ფაქტორისა და ინტერესების გათვალისწინებით ფლობს ვერბალური და არავერბალური კომუნიკაციის მრავალფეროვანი ფორმების სწორად გამოყენების უნარს. მსჯელობს პრობლემებზე, მონაწილეობს

დისკუსია-დებატებში. ყურადღებით ისმენს და აანალიზებს სხვათა შეხედულებებს თანამიმდევრულად და არგუმენტირებულად აყალიბებს საკუთარ აზრს;

- აქვს მაღალი პასუხისმგებლობა და იცავს აკადემიური ეთიკის ნორმებს პროფესიული ინფორმაციის მოძიების, მისი კრიტიკული გაანალიზების, ისტორიულ ესეს, რეფერატის, საკურსოს და საბაკალავრო ნაშრომის დაწერისა და ჯგუფურ პროექტში მონაწილეობისას. დისკუსიის წარმოების დროს სათანადო არგუმენტებით იცავს საკუთარ პოზიციას. აქტიურად ერთვება გუნდური მუშაობის პროცესში და ამყდავენებს სხვისი აზრის პატივისცემის უნარს;
- რეალურად აფასებს თავის შესაძლებლობებს, არის თვითკრიტიკული, მოტივირებული, ავტონომიურად გეგმავს სწავლის შემდგომ საფეხურს. უწყვეტი პროფესიული განვითარების ორგანიზებისა და განხორციელების მიმართულებით რაციონალურად მართავს დროსა და რესურსებს;
- ხელს უწყობს ინდივიდთა უფლებების განხორციელებას და მოქმედებს სამართლიანობის, ადამიანის უფლებების დაცვის, დემოკრატიული ფასეულობების, სოციალური და მორალური პასუხისმგებლობის გათვალისწინებით. აქვს ორგანიზატორული უნარი, შეუძლია მიიღოს გადაწყვეტილება და განახორციელოს ინიციატივა, აიღოს მასზე პასუხისმგებლობა. აქვს საკუთარი და სხვათა კულტურული მემკვიდრეობის ცოდნა და პატივისცემა; იცავს აკადემიური ეთიკის ნორმებს.

დასაქმების სფერო

ჰუმანიტარულ მეცნიერებათა და ლიბერალური განათლების სკოლის ისტორიის პროგრამის კურსდამთავრებულებს შეუძლიათ იმუშაონ საჯარო სამსახურებში, არასამთავრობო ორგანიზაციებში, კერძო სტრუქტურებში. სხვადასხვა კულტურულ-სოციალურ დაწესებულებებში.

აქედან გამომდინარე, ისტორიის ბაკალავრის პროგრამის კურსდამთავრებულებს შესაძლებლობა ექნებათ იმუშაონ:

- დამხმარე მასწავლებლებად სკოლებში და გახანგრძლივებული კლასების მასწავლებლებად. სახელმწიფო და კერძო ზოგადსაგანმანათლებლო სკოლებში, როგორც ტრადიციული ისე დისტანციური/ ონლაინ სწავლების პირობებში;
- მათ შეეძლებათ დაიკავონ დამხმარე ფუნქცია სამეცნიერო-კვლევით დაწესებულებებში და ცენტრებში;
- ისინი შესძლებენ იმუშაონ უმაღლეს და პროფესიულ სასწავლებლებში არა აკადემიურ თანამდებობებზე;
- არქეოლოგიურ და ეთნოლოგიურ ექსპედიციებში;
- სხვადასხვა ტიპის მუზეუმებში, ისტორიულ და სხვა დანიშნულების არქივებში;
- უმაღლეს სასწავლებლებთან არსებულ სამეცნიერო ბიბლიოთეკებში, საქალაქო და რაიონულ ბიბლიოთეკებში;
- სახელმწიფო და კერძო გამომცემლობებში, რედაქციებში. სპეციალურ სამეცნიერო და ენციკლოპედიების რედაქციებში დამხმარე პოზიციებზე;
- დასაქმება შესაძლებელია ტურიზმის სფეროში კერძოდ: გიდებად, სარეკლამო და საინფორმაციო ბროშურების, ბუკლეტებისა და ფლაერების შემდგენლებად ტურისტულ, სარეკლამო და საინფორმაციო სააგენტოებში;
- უხო ენის მაღალ დონეზე ცოდნა ისტორიასთან და ქართულ ეთნოკულტურასთან ერთად განაპირობებს მათ დასაქმებას ტურისტულ კომპანიებში ექსკურსიამდლოლებად და ექსკურსიის ორგანიზატორებად;
- საზოგადოებასთან ურთიერთობების განყოფილებების თანამშრომლებად საბრენდო მაღაზიებსა, ბანკებსა და კომპანიებში;
- კორესპონდენტებად და კორესპონდენტების ასისტენტებად ტელეკომპანიებსა და ჟურნალ-გაზეთებში;
- რადიოში და ტელევიზიაში როგორც დარგობრივი ისე საინფორმაციო გადაცემების რედაქციის თანამშრომლებად;
- დარგობრივი ვებ-გვერდის ტექსტური ნაწილის შემდგენელ-რედაქტორ-კორექტორებად.

საბაკალავრო პროგრამის კურსდამთავრებულს უფლება ექნება სწავლა გააგრძელოს სამაგისტრო პროგრამით მსოფლიო ისტორიის, საქართველოს ისტორიის არქეოლოგიის, ეთნოლოგიის ისე სხვა მისთვის

საინტერესო ჰუმანიტარულ, სოციალური და პოლიტიკური მეცნიერებების მიმართულებით თუ ეს ქმედება წინააღმდეგობაში არ მოდის საქართველოს მოქმედ კანონმდებლობასთან.

პროგრამის სტრუქტურა

ძირითადი სწავლის სფეროს სავალდებულო სასწავლო კურსები - 141 კრედიტი;
 ძირითადი სწავლის სფეროს არჩევით სასწავლო კურსები - 51 კრედიტი;
 თავისუფალ კომპონენტი - 48 კრედიტი.

პროგრამის ხელმძღვანელი

თამარ გვიანიშვილი
 ტელ.: 577 11 75 20;
 ელ.ფოსტა: tamarigvianishvili@gau.edu.ge

საგანმანათლებლო პროგრამა და სასწავლო გეგმა იხ. ბმულზე:

<https://www.gau.edu.ge/storage/app/media/School%20Program%20Files/Humanities%20and%20Liberal%20Arts/history-curriculum-geo.pdf>

<https://www.gau.edu.ge/storage/app/media/School%20Program%20Files/Humanities%20and%20Liberal%20Arts/history-plan-geo.pdf>

პროგრამის სახელწოდება	მშენებლობა/Construction
საფეხური	ბაკალავრიატი
მისანიჭებელი კვალიფიკაცია	მშენებლობის ინჟინერიის ბაკალავრი/Bachelor of Construction Engineering
ECTS	240
განხორციელების ენა	ქართული
განმახორციელებელი ძირითადი ერთეული	ინფორმატიკისა და ინჟინერიის სკოლა
განხორციელების ადგილი	მერაბ ალექსიძის №10, ქ. თბილისი, 0160, საქართველო

პროგრამის მიზანი

საქართველოს თანამედროვე განვითარების პროცესში ერთ-ერთი მნიშვნელოვანი როლი ენიჭება სამშენებლო დარგს, რომლის აღმავლობისათვის საჭიროა ისეთი თეორიული და პრაქტიკული საკითხების შესწავლა, რომელიც საშუალებას მისცემს კურსდამთავრებულს აქტიური მონაწილეობა მიიღოს სამოქალაქო, სამრეწველო, განსაკუთრებული დანიშნულების შენობა-ნაგებობათა დაპროექტება - აგებაში, ტექნოლოგიური და ორგანიზაციული სამუშაოების ჩატარებაში.

აქედან გამომდინარე, მშენებლობის საბაკალავრო პროგრამის მიზანია:

- მოამზადოს სამშენებლო-საპროექტო საქმიანობაზე ორიენტირებული მშენებლობის ინჟინერიის ბაკალავრი, რომელიც მყარი ბაზისური ცოდნითა და ტრანსფერული უნარებით შეძლებს დინამიკურად ცვლად გარემოში ორიენტაციას და საერთაშორისო ბაზარზე ანალოგიური პროფილის უცხოელ სპეციალისტებთან კონკურენციის გაწევას.

- მოამზადოს თანამედროვე მოთხოვნების შესაბამისი კვალიფიციური, კონკურენტუნარიანი, მაღალი მორალური პასუხისმგებლობის მქონე სპეციალისტი ღირსეული კარიერისათვის, რომელიც მოტივირებული იქნება მიადწიოს მეტს პროფესიული თვალსაზრისით.
- შეასწავლოს მოქმედი სამშენებლო ნორმებისა და წესების დაცვით სამშენებლო-საპროექტო საქმიანობის ძირითადი ამოცანების შესრულების პრინციპები, მეთოდები და მექანიზმები თანამედროვე ტექნოლოგიების გამოყენებით.
- შეასწავლოს სამშენებლო მასალების, ნაკეთობებისა და მანქანა-მექანიზმების მშენებლობაში მიზანმიმართულად, უსაფრთხოდ გამოყენების წესები და მეთოდები.
- შეასწავლოს მშენებლობის რაციონალურად ორგანიზებისა და წარმართვის წესები, დარგთან დაკავშირებული პრობლემების დასაბუთებულად და საიმედოდ გადაჭრის გზები და პირობები მშენებლობაში წარმოქმნილი რისკ-ფაქტორების გააზრების საფუძველზე.
- განუვითაროს არქიტექტურული ფორმების ჩამოყალიბებასა და კონსტრუქციული აზროვნებას შორის კავშირის დამყარების, სპეციალისტებისა და არასპეციალისტებისათვის მიღებული შედეგების წარდგინების უნარი.
- შეასწავლოს ევრონორმებისა და საქართველოში მოქმედი ნორმების დაცვით სამოქალაქო და სამრეწველო ნაგებობების ოპტიმალური კონსტრუქციული სქემების შერჩევისა და გამოხაზვის მეთოდები, ასევე პრაქტიკული ხასიათის პროექტის შესრულება თანამედროვე გამოთვლითი პროგრამების გამოყენებით.
- შეასწავლოს შენობა-ნაგებობათა საინჟინრო აღჭურვისა და ენერგოეფექტურობის თანამედროვე მეთოდები.
- ჩამოუყალიბოს ადამიანის უფლებების სოციალური და დემოკრატიული ფასეულობების გათვალისწინებით, პროფესიული ეთიკისა და მის ფარგლებში მოქმედების უნარი, მაღალი სოციალური და მორალური პასუხისმგებლობა.

პროგრამაზე დაშვების წინაპირობა

საბაკალავრო პროგრამაზე სწავლის უფლება აქვს მხოლოდ სრული ზოგადი განათლების დამადასტურებელი სახელმწიფო სერტიფიკატის/ატესტატის ან მასთან გათანაბრებული დოკუმენტის მფლობელს ან მასთან გათანაბრებულ პირს, რომელიც ჩაირიცხება ერთიანი ეროვნული გამოცდების შედეგების საფუძველზე.

ერთიანი ეროვნული გამოცდების გარეშე მშენებლობის საბაკალავრო პროგრამაზე სტუდენტთა ჩაირიცხვა შესაძლებელია მხოლოდ საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებულ გამონაკლის შემთხვევებში.

სწავლის შედეგი

საგანმანათლებლო პროგრამის დასრულების შემდეგ კურსდამთავრებულნი:

- აღწერს მშენებლობის თანამედროვე მეთოდების ძირითად თავისებურებებსა და პრინციპებს, შენობა-ნაგებობების დაპროექტებისა და მშენებლობის პროცესების წარმოების ზოგიერთ უახლეს მეთოდს, შენობა-ნაგებობათა საინჟინრო აღჭურვისა და ენერგოეფექტურობის თანამედროვე მეთოდებს.
- აღწერს სფეროს კომპლექსურ (დაპროექტების, სამშენებლო მასალებისა და ნაკეთობების წარმოების, მშენებლობის წარმოების ორგანიზაციისა და მისი ექსპლუატაციაში მიღების) საკითხებს.
- განმარტავს საშენი მასალებისა და ნაკეთობების ფიზიკურ-მექანიკური თვისებების მნიშვნელობას; შენობა-ნაგებობათა კონსტრუქციების გაანგარიშების მეთოდებს; მშენებლობაში ინფორმაციული ტექნოლოგიებისა და კომპიუტერული პროექტირების საკითხების გამოყენების წესებს; საქართველოში მოქმედი სამშენებლო ნორმებისა და წესებს; ევრონორმების გამოყენების პრინციპებს; ეკონომიკისა და მენეჯმენტის ძირითად საკითხებს.
- განმარტავს სამშენებლო სფეროში შრომის უსაფრთხოების მნიშვნელობასა და დარგის სპეციალისტის პროფესიული პასუხისმგებლობის საკითხებს.

- ახდენს სამუშაო გარემოში საფრთხეების იდენტიფიცირებას, რისკების განსაზღვრას და პრევენციული ზომების შემუშავებას მშენებლობის რაციონალურად ორგანიზებისა და წარმართვისათვის.
- ქმნის კვლევით (საბაკალავრო) ნაშრომს წინასწარ განსაზღვრული მითითებების შესაბამისად.
- ასრულებს კონსტრუქციული სქემების გადაწყვეტებზე დაყრდნობით პრაქტიკული ხასიათის პროექტს.
- მოიძიებს ინფორმაციას მშობლიურ და უცხოურ ენაზე სამშენებლო დარგში არსებულ თანამედროვე მასალების, ტექნოლოგიების, მანქანა-მექანიზმების შესახებ და აყალიბებს დასკვნებს მშენებლის პროფესიისთვის დამახასიათებელი ეთიკური პრინციპების გათვალისწინებით.
- სპეციალისტების და არასპეციალისტების ინტერესის გათვალისწინებით, წარმოადგენს ინფორმაციას, საკუთარ არგუმენტებს სამშენებლო ტერმინოლოგიის გამოყენებით წერილობითი და ზეპირი ფორმით ლოგიკურად, თანმიმდევრულად და მკაფიოდ; ეფექტურად იყენებს საკომუნიკაციო ტექნოლოგიებს.
- ახდენს ცოდნის მუდმივად განახლებას სამშენებლო დარგში შრომის უსაფრთხოებისა და სამშენებლო ნორმების საკანონმდებლო ცვლილებების გათვალისწინებით.
- აფასებს საკუთარ და სხვების შესაძლებლობებს, უწყვეტი პროფესიული განვითარების დაგეგმარებისა და განხორციელების გზით ეფექტურად მართავს დროსა და რესურსებს.
- ცნობს მშენებლის საქმიანობის ეთიკის ფარგლებს, ითავისებს სოციალურ და მორალურ პასუხისმგებლობას, მიიღებს და განახორციელებს ინიციატივას.

დასაქმების სფერო

ბაკალავრს შეუძლია წარმატებით დასაქმდეს ყველა იმ ორგანიზაციაში, რომელთა საქმიანობა დაკავშირებულია მშენებლობასთან, კერძოდ: საპროექტო ფირმებში; სამშენებლო ფირმებში; საშენი მასალების და ნაკეთობების მწარმოებელ ფირმებში; შენობა-ნაგებობათა აღდგენა-სარესტავრაციო ფირმებში; სამეცნიერო-კვლევითი ლაბორატორიებში; საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის სამინისტროს დაქვემდებარებულ სამსახურებში; სახელმწიფო დაწესებულებებში, რომლებიც კურირებენ ქალაქგეგმარებას, მშენებლობას, მშენებლობის ზედამხედველობას, სამშენებლო მასალებისა და ნაკეთობების წარმოებას, მშენებლობის ხარისხის კონტროლს, შენობა-ნაგებობათა მონიტორინგს და სხვ.

პროგრამის სტრუქტურა

ძირითადი სწავლის სფეროს სავალდებულო სასწავლო კურსები - 186 კრედიტი;

თავისუფალ კომპონენტი - 54 კრედიტი;

პროგრამის ხელმძღვანელი

ოთარ ჩაკვეტაძე - პროფესორი

ტელ.: (+995) 599 15 93 55

ელ. ფოსტა: otarchakvetadze@gau.edu.ge

ქეთევან დავითაძე - მოწვეული სპეციალისტი

ტელ.: (+995) 551 45 50 10;

ელ. ფოსტა: ketevan.davitadze@gau.edu.ge

პროგრამის კოორდინატორი

საგანმანათლებლო პროგრამა და სასწავლო გეგმა იხ. ბმულზე:

<https://www.gau.edu.ge/storage/app/media/School%20Program%20Files/Informatics%20and%20Engineering%20School/construction-curriculum-geo.pdf>

<https://www.gau.edu.ge/storage/app/media/School%20Program%20Files/Informatics%20and%20Engineering%20School/construction-plan-geo.pdf>

პროგრამის სახელწოდება	ინფორმატიკა/Informatics
საფეხური	ბაკალავრიატი
მისანიჭებელი კვალიფიკაცია	ინფორმატიკის ბაკალავრი/Bachelor of Informatics
ECTS	240
განხორციელების ენა	ქართული
განმახორციელებელი ძირითადი ერთეული	ინფორმატიკისა და ინჟინერიის სკოლა
განხორციელების ადგილი	მერაბ ალექსიძის №10, ქ. თბილისი, 0160, საქართველო
პროგრამის მიზანი	
<p>საბაკალავრო პროგრამის ძირითადი დანიშნულებაა მომზადდეს სპეციალისტი - ინფორმატიკის ბაკალავრი, რომელსაც შეეძლება პროგრამული უზრუნველყოფის ან/და აპლიკაციების (ვებ და მულტიმედია) დაპროექტება, მართვა და გამოყენება სხვადასხვა საინჟინრო და ფიზიკური პროცესების მოდელირებაში, კომერციულ, სამეცნიერო, სარეკლამო და მედია სფეროში, ინოვაციურ საგანმანათლებლო და შემოქმედებით საქმიანობაში.</p> <p>აქედან გამომდინარე, საბაკალავრო პროგრამის მიზანია:</p> <ul style="list-style-type: none"> ➤ შეასწავლოს ინფორმატიკის ფართო სფერო, რომელიც მოიცავს თეორიებისა და პრინციპების კრიტიკულ გააზრებას, პროგრამული უზრუნველყოფისა და აპლიკაციების შექმნას, განვითარებასა და ანალიზს, კომპიუტინგის გარემოს დიზაინსა და მისი განვითარების მეთოდებს; ➤ შეასწავლოს კომპიუტერული ტექნოლოგიების ძირითადი მეთოდები, ამ მეთოდების ფართო გამოყენება, IT პროექტების შექმნასა და მართვაში; ➤ გამოუმუშავოს პროექტზე ან მის ნაწილზე მუშაობის (დაგეგმვა, შედგენა, განახლება, განმარტება, პრეზენტაცია და სხვა) წესები და პირობები; ➤ გამოუმუშავოს კვლევით ნაშრომზე მუშაობის უნარი წინასწარ განსაზღვრული მითითებების შესაბამისად; ➤ გამოუმუშავოს პროფესიული ეთიკა და პროფესიული გამბედაობა და მის ფარგლებში მოქმედების უნარი. 	
პროგრამაზე დაშვების წინაპირობა	
<p>საბაკალავრო პროგრამაზე სწავლის უფლება აქვს მხოლოდ სრული ზოგადი განათლების დამადასტურებელი სახელმწიფო სერტიფიკატის/ატესტატის ან მასთან გათანაბრებული დოკუმენტის მფლობელს ან მასთან გათანაბრებულ პირს, რომელიც ჩაირიცხება ერთიანი ეროვნული გამოცდების შედეგების საფუძველზე.</p> <p>ერთიანი ეროვნული გამოცდების გარეშე ინფორმატიკის საბაკალავრო პროგრამაზე სტუდენტთა ჩაირიცხვა შესაძლებელია მხოლოდ საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებულ გამონაკლის შემთხვევებში.</p>	
სწავლის შედეგი	
<p>საბაკალავრო პროგრამის დასრულების შემდეგ კურსდამთავრებულს:</p> <ul style="list-style-type: none"> ➤ აქვს ინფორმატიკის სფეროს ფართო ცოდნა, ფლობს ალგორითმიკის, ინფორმაციული ტექნოლოგიების, დაპროგრამების ტექნოლოგიების, აპლიკაციების (ვებ და მულტიმედია) დაპროგრამების ძირითად თეორიებსა და პრინციპებს; ამასთან ერთად ფლობს კომპიუტერული გრაფიკის, ანიმაციის და დაპროექტების ორ და სამგანზომილებიან სისტემებს; ➤ შეუძლია პროექტების მართვა და საკომუნიკაციო ტექნოლოგიების და სისტემების ზოგადი მენეჯმენტი და მარკეტინგი; 	

- ქმნის, განავითარებს და აანალიზებს პროგრამულ პროდუქტს და აპლიკაციებს; შეუძლია ინტერდისციპლინარული ინტერაქტიული პროექტების შექმნა; ახორციელებს სხვადასხვა ფიზიკური, საინჟინრო და ტექნოლოგიური პროცესების მოდელირებას, ვიზუალიზებას და ანიმაციურ მოდელირებას; შეუძლია შექმნას პროდუქტი წინასწარ განსაზღვრული მითითებების შესაბამისად, განყენებული მონაცემებისა და/ან სიტუაციების ანალიზი, დასაბუთებული დასკვნის ჩამოყალიბება;
- ახდენს ინფორმაციული ტექნოლოგიების სფეროში პროექტის მიზნისა და ამოცანების ფორმულირებას, კონცეპტუალური მონაცემების შეგროვებას, ანალიზსა და დამუშავებას, საჭირო ადამიანური და ტექნიკური რესურსების განსაზღვრას, შედეგების ურთიერთვაკვირის დადგენას;
- მოიძიებს შესაბამის ინფორმაციას და შემოქმედებითად გადაწყვეტს სხვადასხვა დარგში დაპროგრამების, მულტიმედიური ტექნოლოგიების გამოყენების და დანერგვის ამოცანებს;
- მსჯელობს სპეციალისტებთან და არასპეციალისტებთან კონტექსტისათვის შესაბამისი ფორმებით ინფორმაციული ტექნოლოგიების სფეროში საკუთარი იდეების, არსებული პრობლემებისა და მათი გადაჭრის გზების შესახებ;
- აქვს ორგანიზაციული უნარი, შეუძლია მიიღოს და განახორციელოს ინიციატივა, აიღოს მასზე პასუხისმგებლობა. თვალს ადევნებს პრაქტიკას, მეცნიერების სიახლეებს და ახდენს ცოდნის მულტიმედიურ განახლებას. ეთიკის პრინციპების დაცვით დამოუკიდებლად გეგმავს და ახორციელებს კომპლექსურ ამოცანებს დაპროგრამების და დიზაინის სფეროში, იღებს მასზე პასუხისმგებლობას;
- ადგენს საკუთარი შემდგომი სწავლის საჭიროებებს და ახორციელებს დამოუკიდებლობის მაღალი ხარისხით.

დასაქმების სფერო

ბაკალავრს ინფორმატიკაში, შეუძლია წარმატებით იმუშაოს ნებისმიერ ორგანიზაციაში, როგორც კომერციული, სახელმწიფო, სამეცნიერო, საინჟინრო, სარეკლამო, საგანმანათლებლო, საბანკო ან სხვა ორგანიზაციები.

ინფორმატიკის ბაკალავრი უპირატესად მომზადებულია კომპიუტერული ტექნოლოგიების, პროგრამული უზრუნველყოფისა და აპლიკაციების (ვებ და მულტიმედიური) განვითარება და ანალიზის, პროექტების შექმნასა და მენეჯმენტის მეთოდების გამოყენებისათვის. მას შეუძლია იმუშაოს შემდეგ პოზიციებზე: დაბალი და საშუალო დონის პროგრამისტი, პროგრამისტ-დიზაინერი, დიზაინერ-მენეჯერი, პროგრამისტ-მენეჯერი, და სხვა.

პროგრამის სტრუქტურა

ძირითადი სწავლის სფეროს სავალდებულო სასწავლო კურსები - 165 კრედიტი;

ძირითადი სწავლის სფეროს არჩევით სასწავლო კურსები - 63 კრედიტი;

თავისუფალ კომპონენტი - 12 კრედიტი;

პროგრამის ხელმძღვანელი

ნინა კარბელაშვილი
 ტელ.: (+995) 568 98 82 52
 ელ.ფოსტა: ninakarbelashvili@gau.edu.ge

საგანმანათლებლო პროგრამა და სასწავლო გეგმა იხ. ბმულზე:

<https://www.gau.edu.ge/storage/app/media/School%20Program%20Files/Informatics%20and%20Engineering%20School/it-ba-curriculum-geo.pdf>

<https://www.gau.edu.ge/storage/app/media/School%20Program%20Files/Informatics%20and%20Engineering%20School/it-ba-plan-geo.pdf>

პროგრამის სახელწოდება	დიპლომირებული მედიკოსის ერთსაფეხურიანი პროგრამა/ Undergraduate MD (Medical Doctor) program
საფეხური	ერთსაფეხურიანი (მედიცინა)
მისანიჭებელი კვალიფიკაცია	დიპლომირებული მედიკოსი/ Certified Physician (Medical Doctor (MD))
ECTS	360
განხორციელების ენა	ინგლისური
განმახორციელებელი ძირითადი ერთეული	მედიცინის სკოლა
განხორციელების ადგილი	მერაბ ალექსიძის №10, ქ. თბილისი, 0160, საქართველო
პროგრამის მიზანი	
<p>დიპლომირებული მედიკოსის პროგრამის მიზანს წარმოადგენს მოამზადოს კარგად გათვითცნობიერებული, კონკურენტუნარიანი ექიმები, რომლებიც სამედიცინო განათლების მსოფლიო ფედერაციის საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად მოწოდებულები იქნებიან მთელი სიცოცხლის მანძილზე ისწავლონ.</p>	
პროგრამაზე დაშვების წინაპირობა	
<p>დიპლომირებული მედიკოსის პროგრამაზე სწავლის უფლება აქვს აბიტურიენტს, რომელიც უნივერსიტეტში შესაბამის პროგრამაზე სწავლის უფლებას მოიპოვებს ერთიანი ეროვნული გამოცდების შედეგების საფუძველზე და, თანახმად საქართველოს კანონმდებლობისა, საქართველოს მოქალაქეებს და სხვა ქვეყნების მოქალაქეებს, რომლებმაც მიიღეს სრული ზოგადი განათლება ან მისი ექვივალენტი უცხოეთში.</p> <p>დიპლომირებული მედიკოსის პროგრამაზე ჩასარიცხად აბიტურიენტმა უნდა იცოდეს უცხო ენა (ინგლისური) B2 დონეზე და მიიღოს უცხო ენის (ინგლისურის) გამოცდაში (ერთიანი ეროვნული გამოცდებზე) ნედლი ქულის 70% ან მეტი. ხოლო ეროვნული გამოცდის გარეშე ჩარიცხულმა პირებმა უნდა წარმოადგინონ საბუთები/სერთიფიკატი რომლებიც ადასტურებენ ინგლისური ენის ცოდნას B2 დონეზე.</p>	
სწავლის შედეგი	
ცოდნა და გაცნობიერება	
<p>სწავლების დასრულების შემდეგ კურსდამთავრებული:</p> <ul style="list-style-type: none"> • ავლენს როგორც თეორიული პრინციპების, ასევე მედიცინაში გამოყენებული კვლევითი მეთოდოლოგიის სიღრმისეულ ცოდნას სამედიცინო სფეროსათვის სპეციფიკურ დისციპლინებში; • კრიტიკულად უდგება ახალ ინფორმაციას; • აანალიზებს და აერთიანებს სხვადასხვა სახის ინფორმაციას, სათანადო დასკვნების გამოტანისა და მათი შემდგომი თვით-განვითარებისათვის გამოყენების მიზნით. 	
უნარები	
<p>კურსდამთავრებულს ექნება შემდეგი უნარები:</p> <ul style="list-style-type: none"> • კომპლექსური ხასიათის პრობლემის მულტიდისციპლინურ გუნდში გადაწყვეტა, უახლესი ინფორმაციის გამოყენების გზით; • კვლევის განხორციელება, ვალიდური და თანამედროვე მეთოდოლოგიის გამოყენებით; • შეგროვილი ინფორმაციის პროფესიულ საქმიანობაში გამოყენება; • დროის მართვის, მომავალი აქტივობების სწორად დაგეგმვისა, მათ შესრულებაზე; პასუხისმგებლობის აღებისა და რესურსების ეფექტურად გადანაწილების უნარები; • საგანმანათლებლო და საინფორმაციო რესურსების სრული სპექტრის გამოყენება; • შეხვედრებში მონაწილეობა და საკუთარი აზრის ვერბალური და წერილობითი ფორმით ნათლად გადმოცემა; 	

- სამედიცინო სფეროსთან დაკავშირებული როგორც ეთიკური, ასევე სამართლებრივი პრინციპების შესაბამისად მოქმედება და პაციენტის უფლებების დაცვა;
- პროფესიული სახის მოლაპარაკებების წარმოება და კონფლიქტის მოგვარება ნებისმიერ პირთან, მათი სოციალური, კულტურული, რელიგიური ან ეთნიკური კუთვნილების მიუხედავად;
- კოლეგებთან და პაციენტებთან სათანადო კომუნიკაცია, სამართლიანობის პრინციპისა და სოციალ-დემოკრატიული ღირებულებების დაცვით.

პასუხისმგებლობა და ავტონომია

კურსდამთავრებულს ექნება უნარი, გამოავლინოს შემდეგი:

- სამუშაო ჯგუფში ადაპტაცია;
- შესაბამისი რესურსების ეფექტურად დაგეგმვა და ადეკვატურად გადანაწილება, მოსალოდნელი აქტივობებთან შესაბამისად;
- სამუშაოს შესრულებაზე პასუხისმგებლობა;
- მუდმივად სწავლისა და სიახლეების კურსში ყოფნის მნიშვნელობის გაცნობიერება;
- გუნდის გაძლიერება და პროფესიული სუბორდინაციის დაცვის უნარი/ ახალი ინფორმაციის მოპოვებისა და მისი გამოყენების უნარი.

დარგობრივი კომპეტენციები

1. დარგობრივი ცოდნა

- ბიოსამედიცინო, კლინიკური და სოციალური დისციპლინების სიღრმისეული ცოდნა;
- დიაგნოსტიკისა და მკურნალობის პრინციპების საფუძვლიანი ცოდნა;
- ჯანმრთელობის ხელშეწყობისა და ავადობის პრევენციის სიღრმისეული ცოდნა;
- ქცევითი მეცნიერებებისა და სამედიცინო ეთიკის ზედმიწევნით ცოდნა.

2. პაციენტისათვის კონსულტაციის გაწევა

- ანამნეზის შეკრება;
- ფიზიკური გამოკვლევის ჩატარება;
- პაციენტის ფსიქოემოციური მდგომარეობის სტატუსის შეფასება;
- ვალიდური კლინიკური გადაწყვეტილებების მიღება;
- პაციენტათვის განმარტებების, რჩევების მიცემა და მხარდაჭერის აღმოჩენა.

3. კლინიკური შემთხვევის შეფასება, გამოკვლევების დანიშვნა, დიფერენციული დიაგნოზის გატარება, დაავადების მართვის გეგმის შესახებ მსჯელობა

- დაავადების კლინიკური მანიფესტაციის სირთულის იდენტიფიცირება და შეფასება;
- შესაბამისი გამოკვლევების დანიშვნა და შედეგების ინტერპრეტაცია;
- დიფერენციული დიაგნოზის გატარება;
- პაციენტის პრობლემების საპასუხოდ, კლინიკური პრობლემის ეფექტურად გადაჭრის და გადაწყვეტილების მიღების უნარის დემონსტრირება, მათ შორის არსებულ მონაცემთა ინტერპრეტაციითა და ინფორმაციის ინტეგრირებით დიფერენციული დიაგნოზის გატარება და მართვის გეგმის შემუშავება;
- პაციენტთან და მის გარემოცვასთან კოლაბორაციით, პაციენტის მდგომარეობის მართვის გეგმის შემუშავება;
- ტერმინალურ მდგომარეობაში მყოფი პაციენტის და მისი გარემოცვის მიმართ მზრუნველობა;
- ქრონიკული დაავადების მართვა, პაციენტის ასაკის, ქრონიკული დაავადების სახის, და ფსიქოლოგიური ზეგავლენის გათვალისწინებით და შესატყვისი სამკურნალო საშუალებების სათანადო გამოყენება.

4. გადაუდებელი სამედიცინო მდგომარეობის დროს დახმარების გაწევა (პირველადი დახმარება და სარეანიმაციო ღონისძიებების გატარება)

- გადაუდებელი სამედიცინო მდგომარეობების იდენტიფიცირება და შეფასება;
- გადაუდებელი სამედიცინო მდგომარეობების მართვა;
- ბაზისური პირველადი დახმარების გაწევა, ასაკობრივი თავისებურებების გათვალისწინებით (ბავშვებში, ხანდაზმულებში);
- ბაზისური სიცოცხლის შემანარჩუნებელი ღონისძიებების განხორციელება აქტუალური სახელმძღვანელო პრინციპების (გაიდლაინების) შესაბამისად;
- აქტუალური სახელმძღვანელო პრინციპების (გაიდლაინების) შესაბამისი გაფართოებული სიცოცხლისშემანარჩუნებელი ღონისძიებების ჩატარება;
- სიცოცხლის გასაუმჯობესებელი ზომების მიღება, თანამედროვე გაიდლაინების თანახმად;
- ტრავმების მართვა აქტუალური გაიდლაინების შესაბამისად.

5. მედიკამენტების გამოწერა

- მედიკამენტების ნათლად და მართებულად გამოწერა, პაციენტის ასაკის გათვალისწინებით;
- კლინიკურ კონტექსტთან შესაბამისი წამლების დაკავშირება;
- მედიკამენტებისა და სხვა სახის მკურნალობების შესაბამისობის განხილვა და პაციენტისათვის პოტენციური სარგებლისა და რისკის შეფასება;
- პაციენტისათვის დანიშნული წამლების შესახებ შესაბამისი ინფორმაციის მიწოდება;
- ტკივილისა და დისტრესის მართვა;
- მკურნალობის დანიშნისას მედიკამენტების თავსებადობისა და ურთიერთქმედების გათვალისწინება;
- წამლების ურთიერთქმედების შესაძლებლობების, და არასასურველი ეფექტების იდენტიფიცირება და აღრიცხვა.

6. პრაქტიკული პროცედურების ჩატარება

- სასიცოცხლო ნიშნების: პულსი, სუნთქვა, ტემპერატურა, განსაზღვრა;
- წნევის გაზომვა;
- პერიფერიული ვენის ვენოპუნქტურა (სიმულატორის გამოყენებით);
- პერიფერიული ვენის კათეტერიზაცია (სიმულატორის გამოყენებით);
- სამკურნალო საშუალებების ვენაში შეყვანა და ინფუზიის მოწყობილობის გამოყენება (სიმულატორის გამოყენებით)
- კანქვეშ ან/და კუნთში ინექციის განხორციელება (სიმულატორის გამოყენებით ან პაციენტზე, ზედამხედველობის ქვეშ);
- ჟანგბადის მიწოდება;
- პაციენტის ტრანსპორტირება და მათთან მოპყრობა;
- ნაკერის დადება (სიმულატორის გამოყენებით);
- შარდის ბუშტის კათეტერიზაცია (სიმულატორის გამოყენებით)
- შარდის ანალიზის ჩატარება (სკრინინგ-ტესტების და–Dipstick მეთოდით);
- ელექტროკარდიოგრამის გადაღება;
- ელექტროკარდიოგრამის ინტერპრეტაცია;
- სასუნთქი სისტემის ფუნქციური ტესტების ჩატარება.

7. ეფექტური კომუნიკაცია სამედიცინო კონტექსტში

- პაციენტთან კომუნიკაცია;
- კოლეგებთან კომუნიკაცია;
- კომუნიკაცია ცუდი ამბის შეტყობინებისას;
- პაციენტის გარემოცვასთან კომუნიკაცია;
- შეზღუდული შესაძლებლობების ან/და განსაკუთრებული საჭიროებების მქონე პირებთან კომუნიკაცია;
- კომუნიკაცია ინფორმირებული თანხმობის მიღების მიზნით;
- წერილობითი კომუნიკაცია (მათ შორის სამედიცინო ჩანაწერების წარმოება);
- აგრესიასთან და კონფლიქტურ სიტუაციებთან გამკლავება და შესაბამისი კომუნიკაცია;

- კომუნიკაცია პაციენტებთან, ვისაც ესაჭიროებათ დამხმარე პირი; (თარგმნას ან/და გადმოცემაში)
- კომუნიკაცია სამართლებრივ ორგანიზაციებთან და მასობრივი ინფორმაციის წყაროებთან;
- კომუნიკაცია ნებისმიერ პირთან, მისი სოციალური, კულტურული, რელიგიური და ეთნიკური კუთვნილების მიუხედავად;
- პაციენტზე ორიენტირებული ინტერვიუს წარმოება, რელევანტური ბიოსამედიცინო და ფსიქოლოგიური ინფორმაციის ეფექტურად შეკრების მიზნით;
- სათანადო კომუნიკაციური უნარებისა და სტრატეგიების გამოყენება, პაციენტთა და მათი გარემოცვისათვის ჯანმთელობის შესახებ ინფორმირებული გადაწყვეტილების მიღების გამარტივების მიზნით.

8. სამედიცინო პრაქტიკაში ეთიკური და სამართლებრივი პრინციპების გამოყენება

- კონფიდენციალურობის დაცვა;
- ეთიკური პრინციპებისა და ანალიტიკური უნარების გამოყენება კლინიკური საქმიანობის დროს;
- ინფორმირებული თანხმობის მიღება და შესაბამისი ჩანაწერის ჯეროვნად გაკეთება;
- სიკვდილის ცნობის გაცემა;
- ავტოფსიის მოთხოვნა (საქართველოს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად);
- მკურნალობისას საქართველოს და საერთაშორისო კანონმდებლობის მოქმედი ნორმების გამოყენება;
- სამედიცინო საქმიანობის მულტიკულტურულ საზოგადოებაში წარმართვა;
- პაციენტის ღირსებისა და უფლებების პატივისცემა, მათ შორის სამედიცინო ხასიათის გადაწყვეტილებისა მიღების და სამედიცინო დახმარების არჩევანის უფლება.

9. პაციენტის დაავადებასთან დაკავშირებული ფსიქოლოგიური და სოციალური ასპექტების შეფასება

- დაავადების გამოვლინებისა და მისი პაციენტზე ზემოქმედების ფსიქოლოგიური ფაქტორების შეფასება;
- დაავადების გამოვლინებისა და მისი პაციენტზე ზემოქმედების სოციალური ფაქტორების შეფასება;
- დაავადებასთან დაკავშირებული სტრესის ამოცნობა და იდენტიფიცირება;
- წამალსა და ალკოჰოლზე დამოკიდებულების ამოცნობა;
- პაციენტზე ორიენტირებული ინტერვიუს წარმართვისა უნარი, ბიოსამედიცინო და ფსიქოლოგიური ხასიათის ინფორმაციის შეკრებისას;
- პაციენტის არავერბალური ქცევების გათვალისწინება, დაავადებასთან დაკავშირებული ფსიქო-სოციალური ფაქტორების ამოცნობის მიზნით.

10. მტკიცებულებებზე დაფუძნებული მედიცინის პრინციპების, უნარებისა და ცოდნის გამოყენება

- საექიმო საქმიანობაში მტკიცებულებების გამოყენება;
- შესაბამისი ლიტერატურული კვლევის სწორად განსაზღვრა და ჩატარება;
- გამოქვეყნებული ლიტერატურის კრიტიკულად შეფასების, დასკვნების გამოტანისა და მათი პრაქტიკაში გამოყენების უნარი;
- სხვადასხვა ლიტერატურული წყაროდან მტკიცებულებების მოპოვების და მტკიცებულებების ხარისხის შეფასების საფუძველზე პაციენტის მდგომარეობისათვის რელევანტური გადაწყვეტილების გამოტანის უნარი.

11. სამედიცინო კონტექსტში უახლესი ინფორმაციისა და საინფორმაციო ტექნოლოგიების გამოყენება

- კლინიკური ჩანაწერების სათანადოდ წარმოება და შენახვა სრული სახით
- სამედიცინო პრაქტიკის ფარგლებში საინფორმაციო ტექნოლოგიების გამოყენება
- სპეციფიკური საინფორმაციო რესურსების მოძიების უნარი;
- ინფორმაციის შენახვის და შემდგომში გამოყენების უნარი;
- პირადი ჩანაწერების (პორტფოლიო) წარმოებისა და მათი შენახვის უნარი;
- კონფიდენციალობისა და პერსონალურ მონაცემთა დაცვა, სამართლებრივი მოთხოვნების შესაბამისად;
- სამედიცინო ინფორმაციის პრინციპების, მეთოდებისა და არსებული ცოდნის მიმართ ცნობიერება და მათი პრაქტიკაში გამოყენების უნარი.

12. სამეცნიერო საქმიანობის პრინციპების, მეთოდებისა და ცოდნის გამოყენება სამედიცინო პრაქტიკასა და კვლევაში

- სამეცნიერო კვლევის წარმოების მეთოდოლოგიის ცოდნა;
- კვლევის დიზაინის, დეტალური დაგეგმვის, მიღებული შედეგების დამუშავებისა და დასკვნების გაკეთების უნარი;
- ბიოსამედიცინო მეცნიერებების მიღწევების პრაქტიკულ საქმიანობაში გამოყენების უნარი;
- ბიოსამედიცინო სფეროში არსებული სამეცნიერო ლიტერატურის კრიტიკული ანალიზის საფუძველზე მიმოხილვის/მოხსენების აკადემიურ დონეზე დაწერის უნარი;
- სამეცნიერო კვლევის წარმოების ეთიკური პრინციპების ცოდნა.

13. ჯანმრთელობის ხელშეწყობის ღონისძიებების განხორციელება, საზოგადოებრივი ჯანდაცვის საკითხებში ჩართულობა, ჯანდაცვის სისტემაში ეფექტურად მუშაობა

- პაციენტისათვის ზიანის მიყენების მინიმალური რისკის მატარებელი მკურნალობის ჩატარება;
- ინფექციის გავრცელების პრევენციისათვის აუცილებელი ზომების მიღება;
- საკუთარი ჯანმრთელობის პრობლემების გაცნობიერება და მათი ადეკვატურად შეფასება, პროფესიულ მოვალეობებთან მიმართებით;
- ჯანდაცვის ხელშეწყობ ღონისძიებებში ჩართულობა ინდივიდისა და პოპულაციის დონეზე;
- ჯანდაცვის სისტემის გაუმჯობესებისათვის ლიდერული თვისებების გამოვლენა;
- ჯანდაცვის სისტემაში ცვლილებების განხორციელების ხელშეწყობა, სამედიცინო სერვისებზე ხელმისაწვდომობისა და შედეგების გაუმჯობესების მიზნით;
- პაციენტებთან და მათ ოჯახის წევრებთან მუშაობა, ჯანმრთელობასთან დაკავშირებული ქცევების დანერგვისა და გაუმჯობესების მიზნით;
- საზოგადოებისა და პოპულაციის ჯანმრთელობის გაუმჯობესებაში წვლილის შეტანა.

14. პროფესიონალიზმი

პროფესიონალიზმის ზოგადი მასახასიათებლები

- მიუკერძოებლობა, კეთილსინდისიერება და ეთიკის პრინციპების დაცვა;
- სამედიცინო საქმიანობის სათანადო ხარისხით განხორციელებისათვისა და პროფესიული სრულყოფისთვის მზაობა;
- კრიტიკული და თვით-კრიტიკული დამოკიდებულება, კრიტიკის მიმღებლობა;
- ემპათია (თანაგრძნობა);
- კრეატიულობა;
- ინიციატიურობა, წარმატებულობის სურვილი;
- ინტერპერსონალური უნარები;
- ლიდერული უნარები;

პროფესიონალიზმი საქმიანობაში

- საკუთარი შესაძლებლობების საზღვრების გაანალიზება და დახმარების თხოვნის უნარი;
- საჭიროებისამებრ დამოუკიდებლად საქმიანობის უნარი;
- პრობლემების გადაწყვეტის უნარი;
- გადაწყვეტილების მიღების უნარი;
- მულტიდისციპლინურ გუნდში მუშაობის უნარი;
- სხვა დისციპლინების ექსპერტებთან კომუნიკაციის უნარი ;
- სხვათა გაძღოლის უნარი;
- ახალ სიტუაციებთან მორგების უნარი;
- ორგანიზაციული, დაგეგმვის და დროის მართვის უნარები;

ექიმი, როგორც ექსპერტი

- ანალიზისა და დასკვნების გაკეთების უნარი;
- სწავლის (მათ შორის პროფესიული, ცხოვრების განმავლობაში სწავლა) უნარი;

- ცოდნის პრაქტიკულ საქმიანობაში გამოყენების უნარი;
- სხვათათვის სწავლების უნარი;
- სამეცნიერო-კვლევითი უნარები;

ექიმი გლობალურ კონტექსტში

- მრავალფეროვნებისა მიმართ ცნობიერება და მულტიკულტურულ საზოგადოებაში მუშაობის უნარი;
- სხვა ქვეყნების კულტურისა და მასთან დაკავშირებული თავისებურებების გაცნობიერება;
- საერთაშორისო კონტექსტის გათვალისწინებით მუშაობის უნარი;
- მეორე ენის ფლობა;
- ზოგადი ცოდნა, სამედიცინო სფეროს მიღმა;

დასაქმების სფერო

საქართველოს მოქმედი კანონმდებლობის თანახმად, ერთსაფეხურიანი საგანმანათლებლო სამედიცინო პროგრამის კურსდამთავრებულს არ აქვს დამოუკიდებელი საექიმო საქმიანობის განხორციელების უფლება, თუმცა მათ შეუძლიათ დასაქმდნენ უმცროსი ექიმის პოზიციაზე და შეასრულონ ექიმის მოვალეობები დამოუკიდებელი საექიმო საქმიანობის უფლების მქონე პირის ზედამხედველობის ქვეშ. (საქართველოს კანონი საექიმო საქმიანობის შესახებ, მუხლი 5). უმაღლესი სამედიცინო განათლების მქონე კურსდამთავრებულს უფლება აქვს განხორციელოს შემდეგი ქმედებები: ა) გააგრძელოს სწავლა დიპლომისშემდგომ საგანმანათლებლო პროგრამაზე (რეზიდენტურა) და მისი დასრულების შემდეგ მოიპოვოს დამოუკიდებელი სამედიცინო საქმიანობის განხორციელების უფლება, შესაბამისი სახელმწიფო სასერტიფიკატო გამოცდის ჩაბარების შემდეგ; ბ) გააგრძელოს მოღვაწეობა როგორც სამეცნიერო-კვლევითი, (მაგისტრატურა, დოქტორანტურა) ასევე აკადემიური მიმართულებებით, მედიცინის თეორიულ, ან ჯანდაცვის ნებისმიერ ნაწილში, რომელიც არ არის დაკავშირებული დამოუკიდებელ საექიმო საქმიანობასთან. (საქართველოს კანონი საექიმო საქმიანობის შესახებ, მუხლი 17).

პროგრამის სტრუქტურა

პროგრამის სავალდებულო კომპონენტი - 336 კრედიტი

პროგრამის არჩევითი კომპონენტი - 24 კრედიტი

საათების საერთო ოდენობა - 10800:

- საათები დამოუკიდებელი მუშაობისათვის - 5023;
- საკონტაქტო საათები - 5206 (სალექციო საათები - 837, პრაქტიკული მეცადინეობები - 4369);
- შეფასება - 571;

სამედიცინო პროგრამა იყოფა 4 ფაზად:

I ფაზა - ადამიანის ორგანიზმის სტრუქტურა და ფუნქციები (I-II კურსი)

მედიცინის საფუძვლების ფაზა მოიცავს ბიოსამედიცინო მეცნიერებებისა და ადამიანის ორგანიზმის აგებულება-ფუნქციის შესახებ ძირეულ კონცეფციებს. პირველი ორი კურსის განმავლობაში, სტუდენტები გაეცნობიან ადამიანის სხეულის აგებულებას, სიცოცხლის შემსწავლელ მეცნიერებებს და აღნიშნულ სფეროში კვლევის პრინციპებს, კლინიკურ და პროფესიულ უნარებს (კომუნიკაციური და პროცედურული უნარები, სამედიცინო ეთიკა), საზოგადოებრივი ჯანდაცვის საფუძვლებს. აღნიშნული ინტეგრირებული მოდულების სწავლება განხორციელდება სწავლების სხვადასხვა მეთოდის გამოყენებით (ინტერაქტიული ლექციები, როლური თამაშები, პრაქტიკული მუშაობა, სიმულაციურ ლაბორატორიაში მუშაობა და სხვ.). სტუდენტები დაეუფლებიან საკვანძო პრაქტიკულ უნარებს (პაციენტთან ინტერვიუ) კლინიკურ გარემოში. სიმულაციური სწავლების გზით სტუდენტები მიიღებენ გამოცდილებაზე დაყრდნობილ ცოდნას; ასევე კონკრეტული კლინიკური შემთხვევების ვირტუალური დისექციის და მანეკენებზე განხილვის მეშვეობით სტუდენტები შეისწავლიან რეგიონულ ანატომიას. ამასთან, მეორე კურსიდან სტუდენტები ჩაერთვებიან პრობლემაზე დაფუძნებული სწავლების (PBL - problem-based learning) კურსში, რომელსაც გრძობი ხასიათი ექნება.

II ფაზა - ჯანმრთელობის და ავადობის მექანიზმები (III კურსი)

მეორე ფაზის განმავლობაში (პრეკლინიკური კურსი) ძირითადი ყურადღება ეთმობა შესავალს კლინიკურ მედიცინაში, (პროპედევტიკა და კლინიკური უნარები), ზოგად პათოლოგიას და ფარმაკოლოგიას. აღნიშნული ფაზა ძირითადად ორიენტირებულია იმ დაავადებათა ყველაზე ხშირ სიმპტომებსა და ნიშნებზე, რომლებიც ყველაზე ნათლად ასახავს აღნიშნული დისციპლინების ძირითად კონცეფციებს. ამასთან, სტუდენტები სრულყოფენ ფიზიკური გასინჯვის უნარებს. III კურსის განმავლობაში სტუდენტები სწავლობენ დიაგნოსტიკურ აზროვნებას სხვადასხვა სამედიცინო მიმართულების ქეისების განხილვის გზით, რაც თავის მხრივ ხელს უწყობს მიღებული ცოდნის ინტეგრირებას და ამზადებს სტუდენტებს კლინიკური საგნების სრულფასოვნად აღქმისაკენ, რომელთა. ინიცირებაც პროგრამაში შემდეგი წლიდან ხდება. კლინიკური და პროფესიული უნარების გრძივი მოდულის ფარგლებში სტუდენტები ერთვებიან კლინიკური პრობლემის გადაჭრის პროცესში, რაც თავის მხრივ ხორციელდება სხვადასხვა კლინიკური სცენარების გზით (კლინიკური აზროვნების კურსი); აღნიშნული მეთოდით ძირითადი აქცენტი კეთდება სტუდენტებს შორის როგორც სიღრმისეულ ანალიზსა და ინფორმაციის სინთეზზე, ასევე მის პრაქტიკულ გამოყენებაზე კლინიკურ კონტექსტში.

III ფაზა - ძირითადი კლინიკური როტაციები (IV-V კურსი)

IV და V კურსების განმავლობაში სტუდენტები სწავლობენ კლინიკური როტაციების სახით ძირითად კლინიკურ საგნებს - შინაგანი მედიცინა (სისტემაზე დაფუძნებული), ქირურგია, მეანობა და გინეკოლოგია, გადაუდებელი მედიცინა, პედიატრია, ფსიქიატრია, რადიოლოგია, ოტორინოლარინგოლოგია და სხვ. ამის პარალელურად, სტუდენტები აგრძელებენ კლინიკური და პროფესიული უნარების შესწავლას, რომელიც მოიცავს პროფესიული ქცევის სრულყოფას კლინიკური უნარ-ჩვევების ლაბორატორიასა და კლინიკურ გარემოში. აღნიშნული მოდულების სწავლება ხდება როგორც ამბულატორიულ, ასევე კლინიკურ გარემოში. თითოეული როტაციის დასასრულს, სტუდენტი აბარებს ინტეგრირებულ გამოცდას. (ტესტური კითხვები მრავალარჩევანიანი პასუხებით OSCE).

IV ფაზა - (VI კურსი)

VI დამამთავრებელი კურსის განმავლობაში, სტუდენტებს ექნებათ დამატებითი კლინიკური საქმიანობა, რათა განამტკიცონ და სრულყონ კომპეტენციები, სპირალური კურიკულუმის მოთხოვნებისა და ინტეგრაციის პრინციპების თანახმად, დამამთავრებელი კურსების მოდულების ფარგლებში ხდება საბაზისო საგნების (მაგ: ფარმაკოლოგია და სამედიცინო გენეტიკა) გადახედვა. ამავე კურსის ფარგლებში, სტუდენტების მცირე ჯგუფს ეძლევა სხვადასხვა ამბულატორიული და ჰოსპიტალური კლინიკური დავალება, რომელთა შესრულებაც ამზადებს დამამთავრებელი კურსის სტუდენტებს მომავალი სპეციალიზაციისა და დიპლომის შემდგომი სარეზიდენტო პროგრამისათვის. დამამთავრებელი კურსის ბოლოს, სტუდენტები აბარებენ ინტეგრირებულ გამოცდას (OSCE).

პროგრამის ხელმძღვანელი

შორენა ტუკვაძე - ასოცირებული პროფესორი

ტელ.: (+995) 599 21 71 00

ელ.ფოსტა: stukvadze@gau.edu.ge

გიორგი გაბისონია - მოწვეული ლექტორი

ტელ.: (+995) 558 12 41 56

ელ.ფოსტა: giorgigabisonia@gau.edu.ge

პროგრამის კოორდინატორი

საგანმანათლებლო პროგრამა და სასწავლო გეგმა იხ. ბმულზე:

https://www.gau.edu.ge/storage/app/media/School%20Program%20Files/Medical%20School/MD%20Programme_GEO.pdf

https://www.gau.edu.ge/storage/app/media/School%20Program%20Files/Medical%20School/MD-Plan_GEO.pdf

პროგრამის სახელწოდება	ბიზნესის ადმინისტრირება / Business Administration
საფეხური	მაგისტრატურა
მისანიჭებელი კვალიფიკაცია	ბიზნესის ადმინისტრირების მაგისტრი / Master of Business Administration
ECTS	120
განხორციელების ენა	ქართული
განმახორციელებელი ძირითადი ერთეული	ბიზნესის სკოლა
განხორციელების ადგილი	მერაბ ალექსიძის №10, ქ. თბილისი, 0160, საქართველო
პროგრამის მიზანი	
<p>ბიზნესის ადმინისტრირების სამაგისტრო პროგრამის მიზანია:</p> <ul style="list-style-type: none"> ➤ ბაკალავრის შემდგომი დონის სპეციალისტის მომზადება და მისი აღჭურვა აუცილებელი ცოდნით, უნარებით და კვალიფიკაციით ბიზნესის ადმინისტრირების მიმართულებით; ➤ დამოუკიდებელი სამეცნიერო-კვლევითი მუშაობისათვის საჭირო უნარების განვითარება; ➤ მომზადება პრაქტიკული საქმიანობის განხორციელებისათვის ბიზნესის სფეროში. 	
პროგრამაზე დაშვების წინაპირობა	
<p>მაგისტრატურაში სწავლის უფლება აქვს ბაკალავრს ან მასთან გათანაბრებულ აკადემიური ხარისხის მქონე პირს, რომელიც უნივერსიტეტში სამაგისტრო პროგრამაზე სწავლის უფლებას მოიპოვებს საერთო სამაგისტრო გამოცდების შედეგების საფუძველზე, ჩააბარებს შიდა საუნივერსიტეტო ტესტირებას უცხო ენაში (ინგლისური) და გასაუბრებას სპეციალობაში.</p> <p>ბიზნესის ადმინისტრირების სამაგისტრო პროგრამაზე ჩარიცხვის მსურველმა უნდა შეავსოს უცხო ენის (ინგლისური) B2 დონეზე ცოდნის დამადასტურებელი ტესტი.</p> <p>პირი, რომელსაც აქვს შესაბამის დონეზე ენის ცოდნის დამადასტურებელი სერთიფიკატი ან პირველი საფეხურის აკადემიური საგანმანათლებლო პროგრამა გავლილი აქვს უცხო ენაზე (ინგლისური) ტესტირებისგან თავისუფლდება.</p>	
სწავლის შედეგი	
<p>ბიზნესის ადმინისტრირების სამაგისტრო პროგრამის კურსდამთავრებულს მიღებული ღრმა და სისტემური ცოდნის კრიტიკული გააზრების საფუძველზე შეუძლია:</p> <ul style="list-style-type: none"> ➤ სიღრმისეულად აღწეროს ბიზნესის მართვასთან დაკავშირებული ფუნდამენტური კონცეფციები; ➤ ბიზნესის მართვასთან დაკავშირებული საკითხების კრიტიკულად ახსნა; ➤ ბიზნესის ადმინისტრირებაში მიღებული თეორიული ცოდნა დაუკავშიროს ბიზნესის მართვაში თანამედროვე მიღწევებზე დაფუძნებული ინოვაციური, ორიგინალური იდეების გენერირებას და უახლესი მეთოდებით კვლევას; ➤ გამოიყენოს ბიზნესის ადმინისტრირების თანამედროვე კონცეფციები ბიზნესგარემოში არსებული პრობლემების ილუსტრირებისა და გადაჭრის ინოვაციური გზების მოძიებისათვის; ➤ ბიზნესის კვლევის აპრობირებული და უახლესი მეთოდების გამოყენებით დამოუკიდებლად განახორციელოს კვლევა ბიზნეს გარემოში მიმდინარე კონკრეტული მოვლენების გასაანალიზებლად; ➤ ინფორმაციის კრიტიკული ანალიზის, ინოვაციური სინთეზისა და შეფასების საფუძველზე შეიმუშაოს განსხვავებული ბიზნესის ადმინისტრირების სტრატეგიები კონკრეტული ბიზნეს სიტუაციებისათვის; ➤ წარადგინოს საკუთარი მოსაზრებები როგორც აკადემიურ, ისე პროფესიულ საზოგადოებასთან ეთიკური ნორმების დაცვით; 	

- გამოიყენოს ბიზნესის ადმინისტრირებაში მიღებული თეორიული ცოდნა ახალი მიდგომებით ბიზნესის ცვალებად, კომპლექსური, არაპროგნოზირებადი ან მულტიდისციპლინური გარემოსთან ადაპტირებისათვის;
- გამოიყენოს უნივერსიტეტში მიღებული კომპეტენციები ბიზნესის მართვის სფეროში ახალი მიდგომების ჩამოყალიბებისა და პრაქტიკაში მისი დანერგვისათვის;
- უწყვეტი პროფესიული განვითარებისათვის პასუხისმგებლობის აღება და დამოუკიდებლად წარმართოს სწავლის პროცესი საკუთარი შესაძლებლობების თანმიმდევრული და მრავალმხრივი შეფასების საფუძველზე.

დასაქმების სფერო

ბიზნესის ადმინისტრირების მაგისტრი მომზადებულია ბიზნესის ადმინისტრირების სფეროში კვალიფიციური ბიზნესის ადმინისტრირების პრაქტიკის განსახორციელებლად და ფუნდამენტალური სამეცნიერო მუშაობის გასაგრძელებლად.

პროგრამის სტრუქტურა

სასწავლო კომპონენტი - 90 კრედიტი;

პრაქტიკული კომპონენტი კურსები - 10 კრედიტი;

კვლევითი კომპონენტი - 20კრედიტი;

პროგრამის ხელმძღვანელი

თეიმურაზ ტორონჯაძე - პროფესორი, ბიზნესის სკოლის დეკანი
 ტელ.: (+995) 599 17 17 97
 ელ.ფოსტა: temuritoronjadze@gau.edu.ge

საგანმანათლებლო პროგრამა და სასწავლო გეგმა იხ. ბმულზე:

<https://www.gau.edu.ge/storage/app/media/School%20Program%20Files/Business%20School/mba-curriculum-geo.pdf>

<https://www.gau.edu.ge/storage/app/media/School%20Program%20Files/Business%20School/mba-plan-geo.pdf>

პროგრამის სახელწოდება	სამართალი/Law
საფეხური	მაგისტრატურა
მისანიჭებელი კვალიფიკაცია	სამართლის მაგისტრი/ Master of Law
ECTS	120
განხორციელების ენა	ქართული
განმახორციელებელი ძირითადი ერთეული	სამართლის, სოციალური მეცნიერებების და დიპლომატიის სკოლა
განხორციელების ადგილი	მერაბ ალექსიძის №10, ქ. თბილისი, 0160, საქართველო
პროგრამის მიზანი	
სამაგისტრო პროგრამის დანიშნულებაა სამართლის შესაბამისი დარგების უზრუნველყოფა მაღალკვალიფიციური, უმაღლესი აკადემიური და ეთიკურის სტანდარტების მქონე კადრებით, რომლებიც მზად იქნებიან ევროპული ინტეგრაციის თანმხლები სამართლებრივი ცვლილებებისათვის. ამიტომ იგი ორიენტირებულია, სტუდენტს:	

- შესძინოს ღრმა და სისტემური ცოდნა კერძო, სისხლის, საჯარო, საერთაშორისო სამართლის სფეროებში, აგრეთვე შედარებითი სამართალმცოდნეობის საკითხებში;
- გამოუმუშაოს ინოვაციური მიდგომები ნორმის სწორად ინტერპრეტაციის, რთული სამართლებრივი პრობლემების კომპლექსურად შეფასების და საბოლოოდ სამართლებრივი ამოცანის გადასაწყვეტად;
- გამოუმუშაოს აკადემიური ეთიკის სტანდარტების დაცვით აკადემიური და პროფესიულ საზოგადოებისთვის წერილობითი და ზეპირი ფორმით მშობლიურ და უცხოურ ენებზე საკუთარ კვლევის შედეგების და სამართლებრივი დასკვნების არგუმენტირებულად გადაცემის უნარი;
- განუვითაროს სასამართლო გადაწყვეტილების მიღების და სამართლებრივი წერის უნარი;
- გამოუმუშაოს დამოუკიდებელი სამეცნიერო კვლევის უნარი;
- მაღალი დონის პირადი ავტონომიის და ანგარიშვალდებულების ფარგლებში გამოუმუშაოს სასწავლო ან/და სამუშაო გარემოს სამართლებრივი ღირებულებებით მართვის უნარი.

პროგრამის ინტერნაციონალიზაციის მიზნებიდან გამომდინარე პროგრამა შეიცავს კურსებს, რომლებიც აუცილებელი პირობაა შესაბამისი ქვეყნების სამართლებრივი სისტემების შესასწავლად. (მაგ. სასწავლო კურსი - აშშ-სამართლებრივი სისტემები, რომელსაც ინგლისურ ენაზე უძღვება ნიუ-ორკის უნივერსიტეტის პროფესორი, აუცილებელი წინაპირობაა აშშ-ში სამართლის პროგრამებზე სწავლის გასაგრძელებლად).

პროგრამაზე დაშვების წინაპირობა

მაგისტრატურაში სწავლის უფლება აქვს სამართლის ბაკალავრს ან მასთან გათანაბრებულ აკადემიური ხარისხის მქონე პირს, რომელიც უნივერსიტეტში სამაგისტრო პროგრამაზე სწავლის უფლებას მოიპოვებს საერთო სამაგისტრო გამოცდების შედეგების საფუძველზე, ჩააბარებს შიდა საუნივერსიტეტო ტესტირებას უცხო ენაში (ინგლისური) და გასაუბრებას სპეციალობაში.

სამართლის სამაგისტრო პროგრამაზე ჩარიცხვის მსურველმა უნდა შეავსოს უცხო ენის (ინგლისური) B2 დონეზე ცოდნის დამადასტურებელი ტესტი.

პირი, რომელსაც აქვს შესაბამისი დონეზე ენის ცოდნის დამადასტურებელი სერთიფიკატი ან პირველი საფეხურის აკადემიური საგანმანათლებლო პროგრამა გავლილი აქვს უცხო ენაზე (ინგლისური) ტესტირებისგან თავისუფლდება.

სწავლის შედეგი

საგანმანათლებლო პროგრამის დასრულების შემდეგ კურსდამთავრებული:

- **აღწერს:**
 - კერძო, სისხლის ან საჯარო სამართლის სფეროში ეროვნული და უცხოური კანონმდებლობის განვითარების პერსპექტივებსა და ძირითად ტენდენციებს; თანამედროვე ეროვნული კანონმდებლობის გამოწვევებსა და ხარვეზებს, მისი სრულყოფისა და გადაწყვეტის ძირითად გზებს; საერთაშორისო და ეროვნული სამართლის ურთიერთკავშირისა და ურთიერთმიმართების პრობლემებს;
 - თანამედროვე იურიდიული მეცნიერების მეთოდოლოგიურ პრინციპებს, იურიდიული მეცნიერების აქტუალურ პრობლემებს, იურიდიული კვლევის მეთოდებს, აკადემიური პატიოსნების წესებსა და აკადემიური ეთიკის საკითხებს, პროფესიული სამეცნიერო ტექსტების შექმნის ძირითად წესებს და პრინციპებს;
 - სამართლის ფილოსოფიურ ასპექტებს;
 - ევროკავშირის ძირითად ინსტიტუტებს, მათ კომპეტენციებს და დამახასიათებელ თავისებურებებს; ევროკავშირის სამართლის სისტემას და მის გავლენას ქართული კანონმდებლობის განვითარებაზე;
 - პრაქტიკული პრობლემების გადაწყვეტის ძირითად მეთოდოლოგიურ პრინციპებს, ეროვნული და უცხოური გამოცდილების, უახლესი სასამართლო პრაქტიკის განზოგადებით;
 - სამოსამართლო ეთიკის წესებს, მოსამართლის საზოგადოებასთან კომუნიკაციის საკითხებს და მოსამართლეთა დისციპლინური სამართალაწარმოების თავისებურებებს;
- **განსაზღვრავს** შედარებითი სამართლის არსსა და შედარებითსამართლებრივი მეთოდის გამოყენების დანიშნულებას;

- **განმარტავს** სამართლის ნორმებს პროფესიულ დონეზე და აფასებს იურიდიული შემთხვევის ფაქტობრივ გარემოებებს, არასტანდარტულ სამართლებრივ სიტუაციებს, პოულობს სამართლებრივ ხარვეზებს, რთულ პრობლემებს და აყალიბებს მათი გადაწყვეტის ახალ, ორიგინალური გზებს; განსაზღვრავს საკუთარი გადაწყვეტილებების დადებით და უარყოფით შედეგებს;
- **აანალიზებს** მოქმედ კანონმდებლობას, თანამედროვე სასამართლო პრაქტიკას, საკანონმდებლო ნოვაციებს, უახლეს მეცნიერულ კვლევებს და პრაქტიკაში არსებული კომპლექსური პრობლემების გადაჭრის გზების ან/და კანონმდებლობის სრულყოფის თაობაზე შეიმუშავებს საკუთარ ორიგინალურ სამართლებრივ დასკვნებს;
- **ამყარებს** აკადემიურ, კომპლექსურ და პროფესიულ საზოგადოებასთან საკუთარი კვლევის შედეგების, დასკვნებისა და არგუმენტების თაობაზე წერით და ზეპირ კომუნიკაციას მშობლიურ და უცხოურ ენაზე, აკადემიური კეთილსინდისიერების პრინციპების დაცვით; თანმიმდევრულად, ნათლად გამოხატავს და იცავს თავის კანონისმიერ არგუმენტებს იმ ფორმით, რომელიც მიზანშეწონილია სამიზნე აუდიტორიისთვის;
- **განსაზღვრავს** სასამართლოში საქმის დამუშავების ძირითად სტანდარტებს და სასამართლო გადაწყვეტილების მიღების მეთოდოლოგიას;
- **ამოიცნობს** კერძო, სისხლის ან საჯარო სამართლის სფეროში აქტუალურ სამეცნიერო სამართლებრივ პრობლემას, შეიმუშავებს მისი გადაწყვეტის სამეცნიერო გზებს, სამართლის აქტუალურ საკითხებზე გეგმავს სამეცნიერო კვლევით პროცესს, ახდენს კვლევის უახლესი მეთოდებისა და მიდგომების გამოყენებით სხვადასხვა წყაროებიდან, მიღებული პირველადი მონაცემების, რთული ან არასრული ინფორმაციის სისტემატიზაციას და აკადემიური ეთიკის სტანდარტების დაცვით შეიმუშავებს სამეცნიერო კვლევით პროექტს/ნაშრომს;
- **ავლენს** უახლესი ინფორმაციის ავტონომიურად მოძიებისა და სამართლის სფეროში სწავლის დამოუკიდებლად წარმართვის უნარს;
- **მონაწილეობს** პროფესიული ცოდნისა და სამართლებრივი პრაქტიკის განვითარებაში, იყენებს სტრატეგიულ მიდგომებს და/ან პრობლემის გადაჭრის ინოვაციურ გზებს, ეხმარება კოლეგებს და უზიარებს მათ საკუთარ გამოცდილებას; იღებს პასუხისმგებლობას საკუთარი, სხვების საქმიანობასა და პროფესიულ განვითარებაზე, ქმნის პირობებს საერთო გუნდური გადაწყვეტილების მისაღწევად; გააჩნია მაღალი დონის პირადი ავტონომია და ანგარიშვალდებულება;
- **პატივს სცემს** სამოსამართლო ეთიკის სტანდარტებს, მოსამართლის ღირებულებებით ასპექტებს (მიუკერძოებლობა, შეუვალობა, თანასწორობა, კომპეტენცია და გულისხმიერება); მხარეთა ინტერესების სამართლიანად დაბალანსების უზრუნველსაყოფად აანალიზებს არსებულ სამართლებრივ ღირებულებებს/ინიციატივებს/პრაქტიკას და, საჭიროების შემთხვევაში, წვლილი შეაქვს ახალი ღირებულებების/ინიციატივების/პრაქტიკის ფორმირებაში; აღიარებს დემოკრატიის პირობებში ბალანსის აუცილებლობას თავისუფლებასა და პასუხისმგებლობას შორის;
- **აღიარებს** და პატივს სცემს აკადემიური პატიოსნების წესებს, სამეცნიერო კვლევის ეთიკურ შედეგებს, იღებს სახელმძღვანელო მითითებებს კომპლექსური, არაპროგნოზირებადი ან მულტიდისციპლინური მასალისა თუ გარემოს სამართავად. მათ შორის, გეგმავს და მართავს სამუშაო დროს, შეიმუშავებს სტრატეგიულ მიდგომას კვლევასთან მიმართებით, ნაშრომის მოსამზადებლად.

დასაქმების სფერო

სამართლის მაგისტრის პროფესიული საქმიანობის ძირითადი ადგილები და მისი თანამდებობრივი სტატუსი განისაზღვრება საქართველოს კანონმდებლობით.

სამართლის მაგისტრი მომზადებულია სამართლის სფეროში კვალიფიციური იურიდიული პრაქტიკის განსახორციელებლად და ფუნდამენტალური სამეცნიერო მუშაობის გასაგრძელებლად.

პროგრამის სტრუქტურა

სასწავლო კომპონენტი - 75-90 კრედიტი;

პრაქტიკული კომპონენტი - 15 კრედიტი; (პრაქტიკული კომპონენტი სავალდებულოა სამაგისტრო პროგრამის იმ სტუდენტისთვის, ვინც არ არის დასაქმებული სამართლის მიმართულებით და არ ახორციელებს იურისტის პროფესიასთან დაკავშირებულ საქმიანობას).

კვლევითი კომპონენტი - 30 კრედიტი;

პროგრამის ხელმძღვანელი

ქეთევან ჯინჭარაძე

ტელ.: (+995) 514 39 00 93

ელ.ფოსტა: ketijincharadze@gau.edu.ge

საგანმანათლებლო პროგრამა და სასწავლო გეგმა იხ. ბმულზე:

<https://www.gau.edu.ge/storage/app/media/School%20Program%20Files/Law%20Social%20Sciences%20and%20Diplomacy/law-ma-curriculum-geo.pdf>

<https://www.gau.edu.ge/storage/app/media/School%20Program%20Files/Law%20Social%20Sciences%20and%20Diplomacy/law-ma-plan-geo.pdf>

პროგრამის სახელწოდება	საერთაშორისო ურთიერთობები და დიპლომატია/ International Relations and Diplomacy
საფეხური	მაგისტრატურა
მისანიჭებელი კვალიფიკაცია	საერთაშორისო ურთიერთობების მაგისტრი/ Master of International Relations
ECTS	120
განხორციელების ენა	ქართული (ინგლისური კომპონენტებით)
განმახორციელებელი ძირითადი ერთეული	სამართლის, სოციალური მეცნიერებების და დიპლომატიის სკოლა
განხორციელების ადგილი	მერაბ ალექსიძის №10, ქ. თბილისი, 0160, საქართველო
პროგრამის მიზანი	
<p>სამაგისტრო პროგრამის ძირითადი დანიშნულებაა საერთაშორისო ურთიერთობების დარგში მოამზადოს მაღალი კვალიფიკაციისა და პროფესიული სტანდარტების მქონე, სამაგისტრო დონის სწავლებისთვის შესაფერისი თეორიული და პრაქტიკული ცოდნით აღჭურვილი კადრები, რომლებიც მზად იქნებიან, ეროვნულ თუ საერთაშორისო დონეზე, საჯარო, არასამთავრობო თუ კერძო სექტორის შრომით ბაზარზე არსებული თანამედროვე მოთხოვნების დასაკმაყოფილებლად.</p> <p>შესაბამისად პროგრამა მიზნად ისახავს:</p> <ul style="list-style-type: none"> ➤ შესძინოს სტუდენტს ღრმა და სისტემური ცოდნა საერთაშორისო ურთიერთობების წარმოების თავისებურებებში; ➤ შესძინოს სტუდენტს თანამედროვე მსოფლიოს აქტუალური პოლიტიკური, ეკონომიკური, სავაჭრო თუ უსაფრთხოებასა და თავდაცვასთან დაკავშირებული პროცესების პროფესიული ცოდნა ეროვნულ, საერთაშორისო, რეგიონულ და გლობალურ კონტექსტში; ➤ შესძინოს სტუდენტს უნარები კრიტიკულად გაანალიზოს და კვალიფიციურად შეაფასოს საერთაშორისო პროცესები, მოვლენები, ძირითადი ტენდენციები და გამოწვევები; ➤ საფუძვლიანად შეასწავლოს სტუდენტს საერთაშორისო ურთიერთობების თეორიული და პრაქტიკული ასპექტები, მსოფლიო პოლიტიკის მოქმედ აქტორებს შორის ურთიერთობების თავისებურებები, 	

ძირითადი საერთაშორისო ინსტიტუტები და პლატფორმები, საერთაშორისო პოლიტიკის წარმართვის თანამედროვე მექანიზმები და ინსტრუმენტები, მათ შორის გლობალური და რეგიონალური კუთხით;

- გამოუმუშავოს კვლევის უნარი თანამედროვე მეთოდებისა და ტექნოლოგიების გამოყენებით და მოამზადოს შემდგომი სამეცნიერო საქმიანობისთვის;
- გამოუმუშავოს სტუდენტს პროფესიულ თუ აკადემიურ წრეებში, კოლეგებთან თუ პარტნიორებთან სწორი კომუნიკაციის, საერთაშორისო დონეზე მოლაპარაკების ეფექტიანად წარმოებისა და შედეგზე ორიენტირებული დიპლომატიური ურთიერთობების დამყარების პრაქტიკული უნარ-ჩვევები;
- მისცეს საშუალება კურსდამთავრებულს საერთაშორისო ურთიერთობების დარგში თუ მომიჯნავე სფეროებში თავისუფლად და დამოუკიდებლად განსაზღვროს საკუთარი პროფილი, იქნება ეს საჯარო, კერძო თუ არასამთავრობო სექტორში.

პროგრამა დიფერენცირებულია საერთაშორისო, რეგიონული და სუბრეგიონული ასპექტების მიხედვით და მოიცავს, როგორც საჯარო, ისე არასამთავრობო და კერძო სექტორისთვის დამახასიათებელ ურთიერთობათა ელემენტებს. პროგრამა გამდიდრებულია ისეთი მონათესავე კურსებით, რომელთა შესწავლა, კვალიფიციური კადრების მომზადების თვალსაზრისით, მნიშვნელოვნად ამაღლებს პროგრამის როგორც პრაქტიკულ ისე აკადემიურ ღირებულებას.

პროგრამაზე დაშვების წინაპირობა

მაგისტრატურაში სწავლის უფლება აქვს ბაკალავრს ან მასთან გათანაბრებულ აკადემიურ ხარისხის მქონე პირს, რომელიც უნივერსიტეტში სამაგისტრო პროგრამაზე სწავლის უფლებას მოიპოვებს საერთო სამაგისტრო გამოცდების შედეგების საფუძველზე, ჩააბარებს შიდა საუნივერსიტეტო ტესტირებას უცხო ენაში (ინგლისური) და გასაუბრებას სპეციალობაში.

სამაგისტრო პროგრამაზე ჩარიცხვის მსურველმა უნდა შეავსოს უცხო ენის (ინგლისური) B2 დონეზე ცოდნის დამადასტურებელი ტესტი.

პირი, რომელსაც აქვს შესაბამისი დონეზე ენის ცოდნის დამადასტურებელი სერთიფიკატი ან პირველი საფეხურის აკადემიური საგანმანათლებლო პროგრამა გავლილი აქვს უცხო ენაზე (ინგლისური) ტესტირებისგან თავისუფლდება.

სწავლის შედეგი

საერთაშორისო ურთიერთობების და დიპლომატიის სამაგისტრო პროგრამის დასრულების შემდეგ კურსდამთავრებული:

- ფლობს საერთაშორისო ურთიერთობების თეორიების, მსოფლიო პოლიტიკის, საერთაშორისო ეკონომიკის, თანამედროვე უსაფრთხოების დღის წესრიგის, მათ შორის საერთაშორისო ენერგოპოლიტიკისა და ენერგოუსაფრთხოების ძირითადი ტენდენციების ღრმა და სისტემურ ცოდნას;
- აღწერს პოლიტიკურ მეცნიერებათა კვლევის მეთოდებს; საერთაშორისო ორგანიზაციებში გადაწყვეტილების მიღების პროცესს; საერთაშორისო მოლაპარაკების წარმოების ძირითად მეთოდებს და ინსტრუმენტებს; საგარეო პოლიტიკის, მათ შორის საქართველოს საგარეო პოლიტიკის, ძირითად თავისებურებებს;
- აცნობიერებს და კრიტიკულად იაზრებს საერთაშორისო, რეგიონული და გლობალური პოლიტიკის ჭრილში მიმდინარე პროცესებს, მოვლენებსა და ძირითად გამოწვევებს;
- სასწავლო კურსის ფარგლებში შესწავლილი შესაბამისი თეორიული კონცეფციების თუ დაგროვილი პრაქტიკული ცოდნის გამოყენებით პროფესიულად აანალიზებს და აფასებს თანამედროვე საერთაშორისო ურთიერთობების თუ ზოგადად მსოფლიო პოლიტიკის აქტუალურ მოვლენებს, კონკრეტულ პრობლემებს თუ გამოწვევებს, შეიმუშავებს მათი გადაწყვეტის ახალ, ინოვაციურ და ორიგინალურ გზებს;
- მოცულობითი, კომპლექსური, ხშირად არასრული ინფორმაციის შეგროვებით, სორტირებითა და კრიტიკული გაანალიზებით აყალიბებს საგარეო-პოლიტიკურ პოზიციებს, დასკვნებს, შეიმუშავებს გადაწყვეტილებების პროექტებს; სტრატეგიული დაგეგმვის მეთოდების გამოყენებით ახდენს

საკითხების პრიორიტეტიზაციას, დაყოფას, მსხვილი პოლიტიკური მიზნების განსაზღვრას, კონკრეტული ამოცანების დასახვას, აქტივობებისა და ქვე-აქტივობების ჩამოყალიბებას და მათ ეფექტიან განხორციელებას;

- აკადემიურ და პროფესიულ საზოგადოებას თუ არასპეციალისტებს, წერილობითი და ზეპირი ფორმით, მშობლიურ და უცხოურ ენებზე, წარუდგენს საკუთარი კვლევის შედეგებს და არგუმენტირებულ დასკვნებს, აკადემიური ეთიკის სტანდარტების დაცვით; თანმიმდევრულად, ნათლად და დამაჯერებლად წარმართავს დებატებს, აწარმოებს მოლაპარაკებებს, ერთვება დისკუსიებში, წამოაყენებს და იცავს საკუთარ მოსაზრებებს, სხვისი მოსაზრებების პატივისცემის გათვალისწინებით;
- აკადემიური კეთილსინდისიერების პრინციპის დაცვით, უახლესი მეთოდებისა და მიდგომების გამოყენებით, დამოუკიდებლად წარმართავს კვლევის პროცესს;
- მართავს კომპლექსურ, არაპროგნოზირებად ან მულტიდისციპლინურ სასწავლო ან/და სამუშაო გარემოს, თავისუფლად ადაპტირდება ახალი სტრატეგიული მიდგომების მეშვეობით. გააჩნია მაღალი დონის პირადი ავტონომია და ანგარიშვალდებულება, შეუძლია პასუხისმგებლობის აღება სხვების საქმიანობაზე და მათ შემდგომ პროფესიულ განვითარებაზე;
- კურსის ფარგლებში მიღებული ინფორმაციის გაანალიზებით, დამოუკიდებლად განსაზღვრავს შემდგომი სწავლის საჭიროებებს; მიღებული თეორიული ცოდნის გამოყენებითა და პრაქტიკული მუშაობით, ახდენს ცოდნის გაღრმავებას; თავისუფლად ადაპტირდება ახალ პროფესიულ გარემოსთან;
- პროფესიული საქმიანობისას იცავს დიპლომატიურ, ეთიკურ და აკადემიურ ნორმებს; აფასებს და პატივს სცემს პარტნიორებისა და კოლეგების აზრს.

დასაქმების სფერო

საერთაშორისო ურთიერთობების მაგისტრი მომზადებულია საერთაშორისო და საგარეო ურთიერთობათა სფეროში პრაქტიკის განსახორციელებლად და ფუნდამენტალური სამეცნიერო მუშაობის გასაგრძელებლად.

პროგრამის სტრუქტურა

სასწავლო კომპონენტი - 85-95 კრედიტი;

პრაქტიკული კომპონენტი - 10 კრედიტი; (პრაქტიკული კომპონენტი სავალდებულოა სამაგისტრო პროგრამის იმ სტუდენტისთვის, ვინც არ არის დასაქმებული საკუთარი პროფილით)

კვლევითი კომპონენტი - 25 კრედიტი;

პროგრამის ხელმძღვანელი

თეა ამნიაშვილი - პროფესორი
 ტელ.: (+995) 591 33 14 11
 ელ.ფოსტა: tea.amniashvili@gau.edu.ge
 გიზო ჭელიძე - მოწვეული სპეციალისტი

პროგრამის კოორდინატორი

ტელ.: (+995) 599 06 99 12
 ელ.ფოსტა: gizo.chelidze@gau.edu.ge

საგანმანათლებლო პროგრამა და სასწავლო გეგმა იხ. ბმულზე:

<https://www.gau.edu.ge/storage/app/media/School%20Program%20Files/Law%20Social%20Sciences%20and%20Diplomacy/ir-ma-curriculum-geo.pdf>

<https://www.gau.edu.ge/storage/app/media/School%20Program%20Files/Law%20Social%20Sciences%20and%20Diplomacy/ir-ma-plan-geo.pdf>

პროგრამის სახელწოდება	ევროპული ინტეგრაცია და შრომითი ურთიერთობები (ერთობლივი)/European Integration and Employment Relations (joint)
საფეხური	მაგისტრატურა
მისანიჭებელი კვალიფიკაცია	სოციალურ მეცნიერებათა მაგისტრი/ Master of Social Science
ECTS	120
განხორციელების ენა	ქართული
განმახორციელებელი ძირითადი ერთეული	შპს ქართულ-ამერიკული უნივერსიტეტი - სამართლის, სოციალური მეცნიერებების და დიპლომატიის სკოლა; სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი - სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტი; შპს კავკასიის უნივერსიტეტი - ეკონომიკის სკოლა;
განხორციელების ადგილი	მერაბ ალექსიძის №10, ქ. თბილისი, 0160, საქართველო
პროგრამის მიზანი	
<p>სამაგისტრო პროგრამის მიზანია:</p> <ul style="list-style-type: none"> ➤ შრომითი ურთიერთობების სფეროში კვალიფიციური სპეციალისტების მომზადება, რომლებიც შეძლებენ წამყვანი როლი ითამაშონ საქართველოს დასაქმებისა და შრომითი ურთიერთობების პოლიტიკის სფეროს ტრანსფორმაციაში და ამით კიდევ უფრო დაახლოვონ ქვეყანა ევროკავშირისა და საერთაშორისო შრომის სტანდარტებთან; ➤ გამოუმუშაოს სტუდენტს აკადემიური ეთიკის სტანდარტების დაცვით აკადემიური და პროფესიულ საზოგადოებისთვის საკუთარი დასკვნების, არგუმენტების და კვლევის შედეგების გადაცემის უნარი; ➤ გამოუმუშაოს დამოუკიდებელი სამეცნიერო კვლევის უნარი. 	
პროგრამაზე დაშვების წინაპირობა	
<p>პროგრამაზე სწავლის უფლება აქვს ბაკალავრის ან მასთან გათანაბრებული აკადემიური ხარისხის მქონე პირს, რომელიც საერთო სამაგისტრო გამოცდის ჩაბარების გზით მოიპოვებს მაგისტრატურაში სწავლის გაგრძელების უფლებას და რეგისტრაციისთვის მიმართავს შპს ქართულ-ამერიკულ უნივერსიტეტს. პროგრამაზე სწავლის გასაგრძელებლად აუცილებელია ინგლისური ენის მინიმუმ B2 დონეზე ცოდნა. ინგლისური ენის შესაბამისი ცოდნის დონე დგინდება ტესტირების გზით, დიპლომის დანართით ან ენის შესაბამის დონეზე ფლობის დამადასტურებელი სერტიფიკატით. პროგრამაზე ჩარიცხვის აუცილებელ პირობას წარმოადგენს წერიტი გამოცდა პარტნიორი უნივერსიტეტების ერთობლივი კომისიის წინაშე.</p>	
სწავლის შედეგი	
<p>ევროპული ინტეგრაციისა და შრომითი ურთიერთობების სამაგისტრო პროგრამის დასრულების შემდეგ კურსდამთავრებულნი:</p> <ul style="list-style-type: none"> ➤ ფლობს ღრმა და სისტემურ ცოდნას, უახლეს მიღწევებს, ევროინტეგრაციის, შრომითი ურთიერთობების თანამედროვე სოციალური, ეკონომიკური, სამართლებრივი და ორგანიზაციული ასპექტების, დასაქმებისა და შრომითი პირობების გაუმჯობესების მექანიზმების შესახებ; ➤ აღწერს საქართველოს შრომით ურთიერთობებს ევროინტეგრაციის კონტექსტში ევროპულ სტანდარტებთან და პრაქტიკასთან მიმართებაში. შეძლებს მის კრიტიკულ გააზრებას. ქმნის საფუძველს ინოვაციებისათვის, ახალი, ორიგინალური იდეების განვითარებისათვის; ➤ ევროპის კავშირში დადგენილი სტანდარტების შესაბამისად ახორციელებს სხვადასხვა სფეროში შრომითი ურთიერთობების და მათი სხვადასხვა ასპექტების შეფასებას; 	

- ადეკვატურად იყენებს თანამედროვე ემპირიული კვლევის მეთოდებს საქართველოს შრომითი ურთიერთობების აქტუალური საკითხების შესწავლისთვის;
- ერთვება სხვადასხვა კვლევით თუ სოციალური პოლიტიკის განმახორციელებელ პროექტებში;
- უცნობ ან მულტიდისციპლინურ გარემოში ახდენს რთული შრომითი და სოციალური პრობლემების გადაწყვეტის ახალი, ორიგინალური გზების მოძიებას და კვლევის დამოუკიდებლად განხორციელებას, აკადემიური კეთილსინდისიერების პრინციპების დაცვით, უახლესი მეთოდებისა და მიდგომების გამოყენებით;
- ახდენს შრომითი ურთიერთობების სფეროში რთული ან არასრული ინფორმაციის (მათ შორის, უახლესი კვლევების) კრიტიკულ ანალიზს, ინფორმაციის/სოციალური მონაცემების ინოვაციურ სინთეზს, შეფასებას და დასკვნების ჩამოყალიბებას, რომლებშიც აისახება სოციალური და ეთიკური პასუხისმგებლობები;
- წარადგენს საკუთარ დასკვნებს, არგუმენტებს და კვლევის შედეგებს, როგორც აკადემიური ასევე, პროფესიული საზოგადოების წინაშე აკადემიური ეთიკის სტანდარტების დაცვით;
- მართავს შრომის და დასაქმების თანამედროვე სოციალურ, ეკონომიკურ, სამართლებრივ და ორგანიზაციულ ასპექტებთან დაკავშირებით კომპლექსურ, არაპროგნოზირებად ან მულტიდისციპლინურ სასწავლო ან/და სამუშაო გარემოს და თავისუფლად ადაპტირდება შრომით ურთიერთობებში ახალი სტრატეგიული მიდგომების მეშვეობით;
- პასუხისმგებლობას იღებს სხვების საქმიანობაზე და მათ შემდგომ პროფესიულ განვითარებაზე, დამოუკიდებლად წარმართავს საკუთარი სწავლის პროცესს;
- აანალიზებს სფეროში მიღებულ ცოდნას/ინიციატივებს/პრაქტიკას, და საჭიროების შემთხვევაში, წვლილი შეაქვს პროფესიული ცოდნის და პრაქტიკის განვითარებაში.

დასაქმების სფერო

დასაქმების სფეროები: ევროპული ინტეგრაციისა და შრომითი ურთიერთობების მაგისტრატურის კურსდამთავრებულს შეეძლება დასაქმდეს სამინისტროების, საჯარო უწყებებისა და სააგენტოების, კერძო კომპანიების, დამსაქმებელთა და დასაქმებულთა ასოციაციებისა და სხვა სამოქალაქო ინსტიტუტების სტრუქტურებში შემდეგ პოზიციებზე: ანალიტიკოსი, პროექტის ხელმძღვანელი, მრჩეველი, საზოგადოებასთან ურთიერთობის სპეციალისტი, ევროპულ ურთიერთობებში მრჩეველი, ანალიტიკოსი, პროფკავშირებში აღმასრულებელი რგოლების თანამშრომელი, ადგილობრივ თვითმმართველობებში დასაქმებისა და სოციალურ სამსახურებში და დასაქმების სააგენტოში სპეციალისტისა და წამყვანი სპეციალისტის, ასევე ხელმძღვანელის თანამდებობებზე.

მაგისტრატურის წარმატებით დასრულების შემდეგ კურსდამთავრებულს შეეძლება საქართველოს ან საზღვარგარეთის უნივერსიტეტებში დოქტორანტურის საფეხურზე სწავლის გაგრძელება რომელიც ორიენტირებულია ეკონომიკის პოლიტიკის, დასაქმების ევროკავშირში პოლიტიკის; კეთილდღეობის სახელმწიფოს ევროპული მოდელების; შრომითი ურთიერთობებისა და სოციალური დიალოგის; ადამიანის უფლებათა და შრომით ურთიერთობებში ევროპის საკანონმდებლო რეგულაციების და ევროკავშირში ინტეგრაციისა და ტრანსფორმაციის თვალსაზრისით აღმოსავლეთ ევროპული ქვეყნების გამოცდილების საკითხებზე კვლევების განსახორციელებლად.

პროგრამის სტრუქტურა

სასწავლო კომპონენტი - 85-90 კრედიტი;

პრაქტიკული კომპონენტი - 5 კრედიტი; (პრაქტიკული კომპონენტი სავალდებულოა სამაგისტრო პროგრამის იმ სტუდენტისთვის, ვინც არ არის დასაქმებული სოციალური მეცნიერებების მიმართულებით და არ ახორციელებს პროფესიასთან დაკავშირებულ საქმიანობას)

კვლევითი კომპონენტი - 30 კრედიტი;

პროგრამის ხელმძღვანელი

მაია გონაშვილი - პროფესორი (შპს კავკასიის უნივერსიტეტი)
 ტელ.: (+995) 599 79 36 36
 ელ.ფოსტა: mayagonashvili@gau.edu.ge

	<p>გია ჟორჯოლიანი - პროფესორი (სსიპ ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი) ტელ.: (+995) 32 2 28 12 90 ელ.ფოსტა: gia.jorjoliani@tsu.ge</p> <p>გია ლილუაშვილი - პროფესორი (შპს ქართულ-ამერიკული უნივერსიტეტი) ტელ.: (+995) 599 10 89 73 ელ.ფოსტა: gialiluashvili@gau.edu.ge</p>
<p>საგანმანათლებლო პროგრამა და სასწავლო გეგმა იხ. ბმულზე: https://www.gau.edu.ge/storage/app/media/School%20Program%20Files/Law%20Social%20Sciences%20and%20Diplomacy/eiger-curriculum-geo.pdf https://www.gau.edu.ge/storage/app/media/School%20Program%20Files/Law%20Social%20Sciences%20and%20Diplomacy/EIGER%20Plan%20GEO.pdf</p>	

პროგრამის სახელწოდება	
	ვებ და მულტიმედიური პროექტის ტექნოლოგიები და მართვა/Web and Multimedia Project Technologies and Management
საფეხური	მაგისტრატურა
მისანიჭებელი კვალიფიკაცია	ინფორმატიკის მაგისტრი/ Master of Informatics
ECTS	120
განხორციელების ენა	ქართული
განმახორციელებელი ძირითადი ერთეული	ინფორმატიკისა და ინჟინერიის სკოლა
განხორციელების ადგილი	მერაბ ალექსიძის №10, ქ. თბილისი, 0160, საქართველო
პროგრამის მიზანი	
<p>მაღალი კვალიფიკაციის კადრების მომზადება ინტერდისციპლინური ინფორმატიკის პროექტებისა და კვლევების განსახორციელებლად, ასევე პროექტების ხელმძღვანელობისა და მართვის უზრუნველსაყოფად, რაც წარმოადგენს სახელმწიფო ორგანიზაციების, მსხვილი კორპორაციების, მცირე ბიზნესისა და სხვადასხვა დარგის მეცნიერების სულ უფრო მზარდ მოთხოვნას.</p> <p>სხვადასხვა მიმართულების კომპანიებში, სახელმწიფო დაწესებულებებში ერთ-ერთ ყველაზე მოთხოვნად და მაღალანაზღაურებად პოზიციას წარმოადგენს პროექტის ხელმძღვანელი ინფორმატიკის და ინფორმაციული ტექნოლოგიების დარგში. აქედან გამომდინარე სამაგისტრო პროგრამის მიზანია:</p> <ul style="list-style-type: none"> • მოამზადოს ღრმა და სისტემური ცოდნის მაღალკვალიფიციური სპეციალისტი, რომელიც მზად იქნება პრაქტიკული და კვლევითი საქმიანობისათვის ინფორმატიკის და ინფორმაციული ტექნოლოგიების გამოყენების სხვადასხვა სფეროში; • მოამზადოს ბაზრის მოთხოვნების შესაბამისი ცოდნით და უნარებით აღჭურვილი სპეციალისტი, რომელიც შეძლებს ვებ და მულტიმედიური პროექტების შექმნას, მართვასა და დანერგვას სხვადასხვა სამეცნიერო, საინჟინრო, საგანმანათლებლო, და კომერციულ სფეროში; 	

- განუვითაროს პროფესიული ინოვაციური გადაწყვეტილებების მიღების უნარი, რომელიც დაკავშირებულია არსებული სისტემების კვლევასთან და ანალიზთან და უახლესი ტექნოლოგიების დანერგვასთან.
- გამოუმუშაოს სტუდენტებს ჯგუფური გადაწყვეტილებების შემუშავებაში ინიციატივის გამოვლენის, სწრაფი ორიენტირების და ეფექტური გადაწყვეტილების მიღების უნარი;
- ჩამოუყალიბოს შესაბამის ფორმატში აკადემიურ თუ პროფესიულ საზოგადოებასთან კომუნიკაციის უნარი;
- განუვითაროს დამოუკიდებელი სამეცნიერო-კვლევითი მუშაობისათვის საჭირო უნარ-ჩვევები შემდგომ საფეხურზე სწავლის გასაგრძელებლად;
- მოამზადოს კონკურენტუნარიანი სპეციალისტი დარგში ღირსეული კარიერისთვის, რომელიც მოტივირებული იქნება მეტს მიაღწიოს პროფესიული თვალსაზრისით შიდა და გარე ბაზრებზე.

პროგრამაზე დაშვების წინაპირობა

მაგისტრატურაში სწავლის უფლება აქვს ბაკალავრს ან მასთან გათანაბრებული აკადემიური ხარისხის მქონე პირს, რომელიც სკოლის მიერ განხორციელებულ სამაგისტრო პროგრამაზე სწავლის უფლებას მოიპოვებს საერთო სამაგისტრო გამოცდების შედეგების საფუძველზე; წარმატებით გაივლის საუნივერსიტეტო გასაუბრებას სპეციალობაში. გასაუბრების თემები და საკითხები გამოქვეყნდება ქართულ-ამერიკული უნივერსიტეტის ვებ გვერდზე; კანდიდატს მოეთხოვება ინგლისური ენის არანაკლებ B2 დონეზე ცოდნა.

სწავლის შედეგი

სამაგისტრო პროგრამის დასრულების შემდეგ კურსდამთავრებულს შეუძლია:

- აღწეროს საინფორმაციო-საკომუნიკაციო ტექნოლოგიების გამოყენება სხვადასხვა პრაქტიკულ და კვლევით სფეროში;
- განმარტოს ბაზრის მოთხოვნების შესაბამისი პროექტების განხორციელების აუცილებლობა;
- გამოიყენოს საინფორმაციო-საკომუნიკაციო ტექნოლოგიები სხვადასხვა სამეცნიერო, საინჟინრო, საგანმანათლებლო და კომერციულ სფეროში კვლევითი ან პრაქტიკული ხასიათის პროექტის განხორციელებაში;
- გაანალიზოს არსებული სისტემების ქმედითუნარიანობის კვლევის შედეგები;
- შეაფასოს უახლესი ტექნოლოგიების დანერგვის გადაწყვეტილებების შედეგები;
- შეადგინოს პროექტების შექმნის, მართვისა და დანერგვის გეგმა სხვადასხვა სამეცნიერო, საინჟინრო, საგანმანათლებლო და კომერციულ სფეროში;
- შესთავაზოს აკადემიური კეთილსინდისიერებითა და მიღწევათა გათვალისწინებით საკუთარი დასკვნები, არგუმენტები და კვლევის მეთოდები აკადემიურ ან/და პროფესიულ საზოგადოებას;
- დაგეგმოს, განსაზღვროს და წარმართოს პროფესიული ცოდნისა და გამოცდილების გამდიდრების მიზნით, საკუთარი პერმანენტული სწავლის მიმართულებები.

დასაქმების სფერო

მაგისტრს ინფორმატიკაში, შეუძლია წარმატებით იმუშაოს ნებისმიერ სახელმწიფო, კომერციულ, სამეცნიერო, საინჟინრო, სარეკლამო, საგანმანათლებლო, საბანკო ან სხვა ორგანიზაციაში. მას შეეძლება სხვადასხვა სფეროში ინფორმაციული პროცესებისა და ტექნოლოგიების კვლევა, დაპროექტება, გამოყენება, მულტიმედიური და ვებ პროექტების შემუშავება, მართვა და ადმინისტრირება, ელექტრონული ბიზნესის მენეჯმენტი, ბიზნეს-რესურსების დაგეგმვა, პროექტის მენეჯმენტი, ვებ კონტენტის მენეჯმენტი და სხვა მოღვაწეობა ინფორმატიკის სპეციალობით.

პროგრამის სტრუქტურა

სასწავლო კომპონენტი - 93 კრედიტი;

პრაქტიკული კომპონენტი - 9 კრედიტი;	
კვლევითი კომპონენტი - 18 კრედიტი;	
პროგრამის ხელმძღვანელი	ნინა კარბელაშვილი ტელ.: (+995) 568 98 82 52 ელ.ფოსტა: ninakarbelashvili@gau.edu.ge
საგანმანათლებლო პროგრამა და სასწავლო გეგმა იხ. ბმულზე: https://www.gau.edu.ge/storage/app/media/School%20Program%20Files/Informatics%20and%20Engineering%20School/it-ma-curriculum-geo.pdf https://www.gau.edu.ge/storage/app/media/School%20Program%20Files/Informatics%20and%20Engineering%20School/it-ma-plan-geo.pdf	

პროგრამის სახელწოდება	ბიზნესის ადმინისტრირება/ Business Administration
საფეხური	დოქტორანტურა
მისანიჭებელი კვალიფიკაცია	ბიზნესის ადმინისტრირების დოქტორი/ Doctor of Business Administration
ECTS	სასწავლო კომპონენტს შეიძლება დაეთმოს არაუმეტეს 60 კრედიტისა. დოქტორანტურაში სწავლის ხანგრძლივობა არ შეიძლება იყოს 3 წელზე ნაკლები.
განხორციელების ენა	ქართული
განმახორციელებელი ძირითადი ერთეული	ბიზნესის სკოლა
განხორციელების ადგილი	მერაბ აღექსიძის №10, ქ. თბილისი, 0160, საქართველო
პროგრამის მიზანი	
ბიზნესის ადმინისტრირების სადოქტორო პროგრამის მიზანია: <ul style="list-style-type: none"> ➤ სამეცნიერო-ტექნიკური პროგრესის მოთხოვნათა შესაბამისად კვლევითი საქმიანობისათვის სამეცნიერო კადრის მომზადება, რომელიც შეძლებს ფართო, ღრმა, სისტემური კვლევის წარმოებას; ➤ არსებული პრობლემური საკითხების გამოვლენა და მასზე მეცნიერული კვლევის წარმოება ბიზნესის ადმინისტრირებაში; ➤ მეცნიერული კვლევის შედეგების პრაქტიკაში დანერგვის გზების ძიება და შესაბამისი რეკომენდაციების შემუშავება; ➤ ბიზნესის ადმინისტრირებაში მაღალი ხარისხის სამეცნიერო ნაშრომის შექმნა, რომელიც წარმოაჩენს სიახლეს შესაბამისი საკითხის შესწავლა-განვითარებაში; უმაღლესი განათლების სისტემის სიცოცხლისუნარიანობის უზრუნველსაყოფად თანამედროვე სწავლისა და სწავლების მეთოდოლოგიით აღჭურვილი ახალი აკადემიური კადრის მომზადება. 	
პროგრამაზე დაშვების წინაპირობა	
ბიზნესის ადმინისტრირების სადოქტორო პროგრამაზე სწავლის უფლება აქვს მაგისტრს ან საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად მასთან გათანაბრებულ აკადემიური ხარისხის/კვალიფიკაციის მქონე პირს.	

დოქტორანტურაში სწავლის უფლება შეიძლება მიენიჭოს უცხოეთის უნივერსიტეტის კურსდამთავრებულს „უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 50-ე მუხლის მოთხოვნათა შესაბამისად.

დოქტორანტობის კანდიდატს მოეთხოვება ინგლისური ენის არანაკლებ „B2“ დონეზე ცოდნა, რაც დასტურდება ტესტირებით. პირი, რომელსაც აქვს შესაბამისი დონეზე ენის ცოდნის დამადასტურებელი საერთაშორისო სერთიფიკატი ან/და წარმოადგენს პირველი, მეორე ან მესამე საფეხურის აკადემიურ საგანმანათლებლო პროგრამაზე ინგლისურ ენაზე არანაკლებ ერთი სემესტრის განმავლობაში სწავლის დამადასტურებელ საბუთს, ტესტირებისგან თავისუფლდება.

ბიზნესის ადმინისტრირების სადოქტორო პროგრამაზე ჩარიცხვის პროცედურა განისაზღვრება ბიზნესის სკოლის დოქტორანტურისა და სადისერტაციო საბჭოს დებულებით.

სწავლის შედეგი

საგანმანათლებლო პროგრამის დასრულების შემდეგ კურსდამთავრებულის შეუძლია:

- ბიზნესის ადმინისტრირების უახლეს მიღწევებზე დამყარებული სრულყოფილი ცოდნის საფუძველზე და ინოვაციური მეთოდების გამოყენებით განახორციელოს სამეცნიერო კვლევა და დაწეროს სადისერტაციო ნაშრომი;
- სწავლის ან საქმიანობის სფეროს სისტემური და კრიტიკული გააზრების საფუძველზე განიხილოს ბიზნეს ადმინისტრირების თანამედროვე პრობლემატიკა, მათ შორის მულტიდისციპლინარულ ან ინტერდისციპლინარულ კონტექსტში; ბიზნესის ადმინისტრირების დარგებში საერთაშორისო რეფერირებად ან რეცენზირებად პუბლიკაციაზე მუშაობა;
- სამეცნიერო კონფერენციებში მონაწილეობის, მოხსენების მომზადება;
- ენობრივი სიტუაციის სწორად შეფასება, შესაძლო ენობრივი კონფლიქტების განჭვრეტა და მშვიდობიანად დარეგულირება;
- დებატებში ჩართვა, განსხვავებული აზრის გაგება და ბიზნეს ადმინისტრირების საკითხების ანალიზისას საკუთარი პოზიციის დასაბუთება; ყველა შესაბამისი წყაროს მოძიება, განმარტება და გამოყენება; ფაქტებისა და თეორიული ცოდნის შეჯერება და ობიექტურად შეფასება;
- პრობლემური სიტუაციის გაანალიზების საფუძველზე საჭირო კვლევის მეთოდისა და დიზაინის შემუშავება;
- ჩატარებული კვლევის საფუძველზე დასკვნებისა და რეკომენდაციების შემუშავება;
- არსებული ან მოსალოდნელი პრობლემური სიტუაციის აღქმა და ჰიპოთეზების ფორმულირება;
- დამოუკიდებლად გაანალიზოს ბიზნესის ადმინისტრირების სხვადასხვა პრობლემა, დაგეგმოს და ჩატაროს უახლეს მიღწევებზე დამყარებული მეცნიერული კვლევა ბიზნესის ადმინისტრირების სფეროში.

დასაქმების სფერო

ბიზნესის ადმინისტრირების სადოქტორო პროგრამის კურსდამთავრებული უფლებამოსილია საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად დაიკავოს აკადემიური თანამდებობა უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში ან/და იმუშაოს ნებისმიერ იმ თანამდებობაზე სადაც მოითხოვება დოქტორის აკადემიური ხარისხი.

პროგრამის სტრუქტურა

ბიზნესის ადმინისტრირების სადოქტორო პროგრამა მოიცავს სასწავლო და კვლევით კომპონენტს. სასწავლო კომპონენტს შეიძლება დაეთმოს არაუმეტეს 60 კრედიტისა.

პროგრამის ხელმძღვანელი

თეიმურაზ ტორონჯაძე - პროფესორი, ბიზნესის სკოლის დეკანი
ტელ.: (+995) 599 17 17 97
ელ.ფოსტა: temuritoronjadze@gau.edu.ge

საგანმანათლებლო პროგრამა და სასწავლო გეგმა იხ. ბმულზე:

<https://www.gau.edu.ge/storage/app/media/School%20Program%20Files/Business%20School/phd-business-curriculum-geo.pdf>

პროგრამის სახელწოდება	სამართალი/ Law
საფეხური	დოქტორანტურა
მისანიჭებელი კვალიფიკაცია	სამართლის დოქტორი/ Doctor of Laws
ECTS	სასწავლო კომპონენტს შეიძლება დაეთმოს არაუმეტეს 60 კრედიტისა. დოქტორანტურაში სწავლის ხანგრძლივობა არ შეიძლება იყოს 3 წელზე ნაკლები.
განხორციელების ენა	ქართული
განმახორციელებელი ძირითადი ერთეული	სამართლის, სოციალური მეცნიერებების და დიპლომატიის სკოლა
განხორციელების ადგილი	მერაბ ალექსიძის №10, ქ. თბილისი, 0160, საქართველო
პროგრამის მიზანი	
<p>სამართლის სადოქტორო პროგრამის მიზანია:</p> <ul style="list-style-type: none"> ➤ სამეცნიერო-ტექნიკური პროგრესის მოთხოვნათა შესაბამისად კვლევითი საქმიანობისათვის სამეცნიერო კადრის მომზადება, რომელიც შეძლებს ფართო, ღრმა, სისტემური კვლევის წარმოებას; ➤ მეცნიერული კვლევის შედეგების პრაქტიკაში დანერგვის გზების ძიება და შესაბამისი რეკომენდაციების შემუშავება; ➤ სამართლის სფეროში მაღალი ხარისხის სამეცნიერო ნაშრომის შექმნა, რომელიც წარმოაჩენს პრობლემას და სიახლეს შესაბამისი საკითხის შესწავლა-განვითარებაში; ➤ უმაღლესი განათლების სისტემის სიცოცხლისუნარიანობის უზრუნველსაყოფად ხელი შეუწყოს თანამედროვე სწავლება-სწავლის მეთოდოლოგიით აღჭურვილი აკადემიური კადრის მომზადებას. 	
პროგრამაზე დაშვების წინაპირობა	
<p>სამართლის სადოქტორო პროგრამაზე სწავლის უფლება აქვს სამართლის მაგისტრს ან საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად მასთან გათანაბრებულ აკადემიური ხარისხის/კვალიფიკაციის მქონე პირს.</p> <p>დოქტორანტურაში სწავლის უფლება შეიძლება მიენიჭოს უცხოეთის უნივერსიტეტის კურსდამთავრებულს „უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 50-ე მუხლის მოთხოვნათა შესაბამისად.</p> <p>დოქტორანტობის კანდიდატს მოეთხოვება ინგლისური ენის არანაკლებ „B2“ დონეზე ცოდნა, რაც დასტურდება ტესტირებით. პირი, რომელსაც აქვს შესაბამის დონეზე ენის ცოდნის დამადასტურებელი საერთაშორისო სერთიფიკატი ან/და წარმოადგენს პირველი, მეორე ან მესამე საფეხურის აკადემიურ საგანმანათლებლო პროგრამაზე ინგლისურ ენაზე არანაკლებ ერთი სემესტრის განმავლობაში სწავლის დამადასტურებელ საბუთს, ტესტირებისგან თავისუფლდება.</p> <p>სამართლის სადოქტორო პროგრამაზე ჩარიცხვის პროცედურა განისაზღვრება სამართლის, სოციალური მეცნიერებების და დიპლომატიის სკოლის დოქტორანტურისა და სადისერტაციო საბჭოს დებულებით.</p> <p>სამართლის სადოქტორო პროგრამაზე მიღება შეიძლება გამოცხადდეს წელიწადში ორჯერ - შემოდგომის და გაზაფხულის სემესტრებისთვის.</p>	
სწავლის შედეგი	
პროგრამის დასრულების შემდეგ კურსდამთავრებულს:	

- აქვს სამართლის სფეროში უახლეს მიღწევებზე დამყარებული ცოდნა, რომელიც არსებული ცოდნის გაფართოებისა თუ ინოვაციური მეთოდების გამოყენების საშუალებას იძლევა, მათ შორის, მულტიდისციპლინურ ან ინტერდისციპლინურ კონტექსტში;
- შეუძლია სამართლის სფეროში განხორციელებული ცვლილებების, სიახლეების და არსებული პრობლემატიკის კრიტიკულად გააზრება;
- გეგმავს და ახორციელებს კვლევას აკადემიური კეთილსინდისიერების პრინციპების დაცვით;
- შეიმუშავებს ახალ კვლევით ან ანალიტიკურ მეთოდებს ან/და მიდგომებს, რომლებიც ახალი ცოდნის შექმნაზეა ორიენტირებული (საერთშორისო რეფერირებადი პუბლიკაციისათვის აუცილებელი სტანდარტის დონეზე);
- სამართლის სფეროში ახდენს ახალი, რთული და წინააღმდეგობრივი იდეებისა და მიდგომების კრიტიკულ ანალიზს, სინთეზს და შეფასებას, რის შედეგადაც დამოუკიდებლად იღებს (კვლევას ან/და ინოვაციაში) კომპლექსური პრობლემების გადაჭრისათვის სწორ და ეფექტურ გადაწყვეტილებას;
- შეიმუშავებს მეცნიერულ რეკომენდაციებს და ნორმატიული ხასიათის წინადადებებს სამართლის დარგის განვითარებისათვის;
- ახდენს არსებულ ცოდნასთან ურთიერთკავშირში ახალი ცოდნის დასაბუთებულად, გარკვევით წარმოჩენასა და გადაცემას როგორც კოლეგების, ასევე ფართო საზოგადოების, შესაბამისი აუდიტორიისთვის;
- სამართლის სფეროში აკადემიური ან/და პრაქტიკული პროფესიული საქმიანობისას ახორციელებს უახლეს მიღწევებზე დამყარებულ კვლევით პროექტებს ან/და განვითარებაზე ორიენტირებულ ღონისძიებებს ხელმძღვანელობითი, აკადემიური ან/და პროფესიული კეთილსინდისიერების პრინციპების დაცვით, ასევე ინოვაციურობისა და დამოუკიდებლობის დემონსტრირებით.

დასაქმების სფერო

სამართლის სადოქტორო პროგრამის კურსდამთავრებული უფლებამოსილია საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად დაიკავოს აკადემიური თანამდებობა უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში ან/და იმუშაოს ნებისმიერ იმ თანამდებობაზე სადაც მოითხოვება დოქტორის აკადემიური ხარისხი.

პროგრამის სტრუქტურა

ბიზნესის ადმინისტრირების სადოქტორო პროგრამა მოიცავს სასწავლო და კვლევით კომპონენტს. სასწავლო კომპონენტს შეიძლება დაეთმოს არაუმეტეს 60 კრედიტისა.

პროგრამის ხელმძღვანელი

გია ლილუაშვილი - პროფესორი
 ტელ.: (+995) 599 10 89 73
 ელ.ფოსტა: gialiluashvili@gau.edu.ge

საგანმანათლებლო პროგრამა და სასწავლო გეგმა იხ. ბმულზე:
<https://www.gau.edu.ge/storage/app/media/School%20Program%20Files/Law%20Social%20Sciences%20and%20Diplomacy/law-phd-curriculum-geo.pdf>

პროგრამის სახელწოდება		საერთაშორისო ურთიერთობები/International Relations
საფეხური	დოქტორანტურა	
მისანიჭებელი კვალიფიკაცია	საერთაშორისო ურთიერთობების დოქტორი/ Doctor of International Relations	
ECTS	სასწავლო კომპონენტს შეიძლება დაეთმოს არაუმეტეს 60 კრედიტისა. დოქტორანტურაში სწავლის ხანგრძლივობა არ შეიძლება იყოს 3 წელზე ნაკლები.	
განხორციელების ენა	ინგლისური	
განმახორციელებელი ძირითადი ერთეული	სამართლის, სოციალური მეცნიერებების და დიპლომატიის სკოლა	
განხორციელების ადგილი	მერაბ ალექსიძის №10, ქ. თბილისი, 0160, საქართველო	
პროგრამის მიზანი		
საერთაშორისო ურთიერთობების სადოქტორო პროგრამის მიზანია:		
<ul style="list-style-type: none"> ➤ სამეცნიერო-ტექნიკური პროგრესის მოთხოვნათა შესაბამისად კვლევითი საქმიანობისათვის სამეცნიერო კადრის მომზადება, რომელიც შეძლებს ფართო, ღრმა, სისტემური კვლევის წარმოებას; ➤ მეცნიერული კვლევის შედეგების პრაქტიკაში დანერგვის გზების ძიება და შესაბამისი რეკომენდაციების შემუშავება; ➤ საერთაშორისო ურთიერთობების სფეროში მაღალი ხარისხის სამეცნიერო ნაშრომის შექმნა, რომელიც წარმოაჩენს პრობლემას და სიახლეს შესაბამისი საკითხის შესწავლა-განვითარებაში; ➤ უმაღლესი განათლების სისტემის სიცოცხლისუნარიანობის უზრუნველსაყოფად თანამედროვე სწავლება-სწავლის მეთოდოლოგიით აღჭურვილი აკადემიური კადრის მომზადების ხელშეწყობა. 		
პროგრამაზე დაშვების წინაპირობა		
<p>საერთაშორისო ურთიერთობების სადოქტორო პროგრამაზე სწავლის უფლება აქვს მაგისტრს ან საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად მასთან გათანაბრებულ აკადემიური ხარისხის/კვალიფიკაციის მქონე პირს.</p> <p>დოქტორანტურაში სწავლის უფლება შეიძლება მიენიჭოს უცხოეთის უნივერსიტეტის კურსდამთავრებულს „უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 50-ე მუხლის მოთხოვნათა შესაბამისად.</p> <p>დოქტორანტობის კანდიდატს მოეთხოვება ინგლისური ენის არანაკლებ „C1“ დონეზე ცოდნა, რაც დასტურდება ტესტირებით. პირი, რომელსაც აქვს შესაბამისი დონეზე ენის ცოდნის დამადასტურებელი საერთაშორისო სერთიფიკატი ან/და წარმოადგენს პირველი, მეორე ან მესამე საფეხურის აკადემიურ საგანმანათლებლო პროგრამაზე ინგლისურ ენაზე არანაკლებ ერთი სემესტრის განმავლობაში სწავლის დამადასტურებელ საბუთს, ტესტირებისგან თავისუფლდება.</p> <p>საერთაშორისო ურთიერთობების სადოქტორო პროგრამაზე ჩარიცხვის პროცედურა განისაზღვრება სამართლის, სოციალური მეცნიერებების და დიპლომატიის სკოლის დოქტორანტურისა და სადისერტაციო საბჭოს დებულებით.</p> <p>სადოქტორო პროგრამაზე მიღება შეიძლება გამოცხადდეს წელიწადში ორჯერ - შემოდგომის და გაზაფხულის სემესტრებისთვის.</p>		
სწავლის შედეგი		
პროგრამის დასრულების შემდეგ კურსდამთავრებული:		

- აქვს საერთაშორისო ურთიერთობების სფეროში უახლეს მიღწევებზე დამყარებული ცოდნა, რომელიც არსებული ცოდნის გაფართოებისა თუ ინოვაციური მეთოდების გამოყენების საშუალებას იძლევა, მათ შორის, მულტიდისციპლინურ ან ინტერდისციპლინურ კონტექსტში;
- კრიტიკულად იაზრებს საერთაშორისო ურთიერთობების სფეროში განხორციელებულ ცვლილებებს, სიახლეებს და არსებულ პრობლემატიკას;
- გეგმავს და ახორციელებს კვლევას აკადემიური კეთილსინდისიერების პრინციპების დაცვით;
- შეიმუშავებს ახალ კვლევით ან ანალიტიკურ მეთოდებს ან/და მიდგომებს, რომლებიც ახალი ცოდნის შექმნაზეა ორიენტირებული (საერთაშორისო რეფერირებადი პუბლიკაციისათვის აუცილებელი სტანდარტის დონეზე);
- საერთაშორისო ურთიერთობების სფეროში ახდენს ახალი, რთული და წინააღმდეგობრივი იდეებისა და მიდგომების კრიტიკულ ანალიზს, სინთეზს და შეფასებას, რის შედეგადაც დამოუკიდებლად იღებს (კვლევას ან/და ინოვაციაში) კომპლექსური პრობლემების გადაჭრისათვის სწორ და ეფექტურ გადაწყვეტილებას;
- შეიმუშავებს მეცნიერულ რეკომენდაციებს (ნორმატიული ხასიათის წინადადებებს) დარგის განვითარებისათვის;
- ახდენს არსებულ ცოდნასთან ურთიერთკავშირში ახალი ცოდნის დასაბუთებულად, გარკვევით წარმოჩენასა და გადაცემას როგორც კოლეგების, ასევე ფართო საზოგადოების, შესაბამისი აუდიტორიისთვის;
- საერთაშორისო ურთიერთობების სფეროში აკადემიური ან/და პრაქტიკული პროფესიული საქმიანობისას ახორციელებს უახლეს მიღწევებზე დამყარებულ კვლევით პროექტებს ან/და განვითარებაზე ორიენტირებულ ღონისძიებებს ხელმძღვანელობითი, აკადემიური ან/და პროფესიული კეთილსინდისიერების პრინციპების დაცვით, ასევე ინოვაციურობისა და დამოუკიდებლობის დემონსტრირებით.

დასაქმების სფერო

საერთაშორისო ურთიერთობების სადოქტორო პროგრამის კურსდამთავრებული უფლებამოსილია საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად დაიკავოს აკადემიური თანამდებობა უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში ან/და იმუშაოს ნებისმიერ იმ თანამდებობაზე სადაც მოითხოვება დოქტორის აკადემიური ხარისხი.

პროგრამის სტრუქტურა

ბიზნესის ადმინისტრირების სადოქტორო პროგრამა მოიცავს სასწავლო და კვლევით კომპონენტს. სასწავლო კომპონენტს შეიძლება დაეთმოს არაუმეტეს 60 კრედიტისა.

პროგრამის ხელმძღვანელი

პეტრ ოცელიკი - ასოცირებული პროფესორი

ელ.ფოსტა: ocelik@mail.muni.com

პროგრამის კოორდინატორი

გიორგი გობრონიძე - მოწვეული სპეციალისტი

ტელ.: (+995) 577 07 05 01

ელ.ფოსტა: giorgi.gobronidze@gau.edu.ge

საგანმანათლებლო პროგრამა და სასწავლო გეგმა იხ. ბმულზე:

<https://www.gau.edu.ge/storage/app/media/School%20Program%20Files/Law%20Social%20Sciences%20and%20Diplomacy/ir-phd-curriculum-geo.pdf>